

ქართული ენის
დაჩქარებული კურსი
არაქართულენოვანთათვის

თბილისი
2015

ქართული ენის
დაჩქარებული კურსი
არაქართულენოვანთათვის

თბილისი
2015



იბეჭდება საქართველოს პრეზიდენტის მხარდაჭერით

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში
ქართული ენის დაჩქარებული მეთოდით სწავლების პროგრამა

ვისწავლოთ
ქ ა რ თ უ ლ ი

ISBN 978-9941-0-7559-9

გაკვეთილი 1

ქართული ანბანი

ქართულში 33 ასო-ბგერაა. ყოველ ბგერას შეესაბამება ერთი ასო-ნიშანი. ქართული ანბანი ძალიან მარტივია: ყოველი ბგერა როგორც გამოითქმის, ისე იწერება. ეს აადვილებს ქართული წერა-კითხვის სწავლას.

მაშასადამე, ქართულ ანბანში 33 ასო-ბგერაა.

ქართულს არა აქვს დიდი და პატარა ასოები.



1. **მოისმინეთ და გაიმეორეთ (№1):**
2. **ისწავლეთ ასო-ბგერათა თანამიმდევრობა.**

ქართულ ენაში 5 ხმოვანი და 28 თანხმოვანია.
ხმოვნებია:



3. **მოისმინეთ და გაიმეორეთ ხმოვნები (№2):**

4. **ამოიწერეთ ხმოვნები.**

ყველა დანარჩენი ბგერა თანხმოვანია.

თანხმოვნებია:

ბ, გ, დ, ვ, ზ, ლ, მ, ნ, ჟ, რ, ღ, ძ, ჯ.

თ, კ, პ, ს, ტ, ფ, ქ, ყ, შ, ჩ, ც, წ, ჭ, ხ, ჰ.

5. მოისმინეთ და გაიმეორეთ თანხმოვნები (№3):

6. ამოიწერეთ თანხმოვნები.

7. მოუსმინეთ და ამოიწერეთ; თანხმოვანია თუ ხმოვანი (№4)?

(ვისმენთ ხმოვნებსა და თანხმოვნებს არეულად; მსმენელებმა უნდა ამოიცნონ, ხმოვნებია თუ თანხმოვნები):

ბ, გ, ფ, ა, ქ, ყ, შ, დ, ვ, ზ, ც, წ, ე, ჭ, ხ, ლ, თ,

კ, ი, პ, მ, ნ, ჟ, რ, ღ, ო, ძ, ჯ, ს, ტ, ჩ, უ, ჰ.

ხმოვნები: _____

თანხმოვნები: _____

8. ვივარჯიშოთ წარმოთქმაში (№5):

ბ – ფ – პ

გ – ქ – კ

დ – თ – ტ

ძ – ც – წ

ჯ – ჩ - ჭ

ღ – ხ

ზ – ს

ჟ – შ

9. ვივარჯიშოთ ბგერების წარმოთქმაში (№6):

პაპა	-	ფაფა	ქუდი	-	კუდი
თარო	-	ტარო	გორი	-	ღორი
		სარი - ზარი			

10. განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ღ – ხ – ყ ბგერების გამოთქმას; და ვივარჯიშოთ გამოთქმაზე (№7):

ღრუ – ყრუ	ყელი - ხელი
ღია – ყია	ყვავი - ხვავი
ღრმა – ყრმა	ყმა - ხმა
ღორი – ყორე	ყანა - ხანა

11. წაიკითხეთ და წარმოთქვით სწორად.

ს – ზ
სოლი – ზოლი
სარი - ზარი
ნესვი – ნეზვი
სარი – ზარი

თ – ტ
თარი – ტარი
თარო – ტარო
ჩითი – ჩიტი
თუში – ტუში

ქ – კ
ქარი – კარი
ქუდი – კუდი
ქერა – კერა
ქაქანი – კაკანი

ფ – პ
ფაფა – პაპა
ფური – პური
ფირი – პირი
ფაქტი – პაქტი

ც – წ
ცელი – წელი
ცურავს – წურავს

ჩ – ჭ
ჩალა – ჭალა
ჩია – ჭია
ჩირი – ჭირი

გ – ღ
გომი – ღომი
გუგუნი – ღულუნი
გონიერი – ღონიერი
გორი – ღორი

ღ – ყ
ღრუ – ყრუ
ღია – ყია
ღრმა – ყრმა
ღორი – ყორე

ყ – ხ
ყელი – ხელი
ყვავი – ხვავი
ყმა – ხმა
ყანა – ხანა

11. იმარჯიშეთ ქართულისთვის სპეციფიკური ბგერების გამოწერაში:

ჯ _____

ღ _____

ყ _____

ძ _____

წ _____

ჭ _____

12. წაიკითხეთ სიტყვები და ივარჯიშეთ მათს გამოწერაში:

ღორი _____

ცელი _____

წელი _____

ჩირი _____

ჭირი _____

წრე _____

ჰიმნი _____

ჰამაკი _____

ღრუ _____

ყრუ _____

ყელი _____

ჯვარი _____

ყაყაჩო _____

ყვითელი _____

ყანჩა _____

წყალი _____

13. მოძებნეთ შ, ჩ, ც, ძ, წ თანხმოვნების შემცველი სიტყვები და ამოიწერეთ.

ვაშლი	წამი	ჩირი	ცომი	ძალა
ცილა	ძილი	წუწუნი	ჩემი	შავი

შ _____

ჩ _____

ც _____

ძ _____

წ _____

14. შეარჩიეთ ჟ, ხ, ჯ, ჰ ბგერების შემცველი სიტყვები და შეავსეთ ცხრილი.

ეჟვანი	ჯარი	ხარი	ჟოლო
ჯამი	ჰაერი	ხილი	ჰამაკი

ჟ	ხ	ჯ	ჰ
_____	_____	_____	_____
_____	_____	_____	_____

15. შეარჩიეთ ყ ბგერის შემცველი სიტყვები და ამოიწერეთ.

კაცი	~~ტყე~~	ჯარი	ყელი	კუდი	ყვავი
ყველი	თოვლი	ყური	ბარი	ყანა	

~~ტყე~~ _____

_____

მარცვალი

16. მოისმინეთ (№8):

18. ვივარჯიშოთ მარცვლების წარმოთქმაში:

ბა ბე ბი ბო ბუ
გა გე გი გო გუ
და დე დი დო დუ
ვა ვე ვი ვო ვუ
ზა ზე ზი ზო ზუ
თა თე თი თო თუ
კა კე კი კო კუ
ლა ლე ლი ლო ლუ
მა მე მი მო მუ
ნა ნე ნი ნო ნუ
პა პე პი პო პუ
ჟა ჟე ჟი ჟო ჟუ
რა რე რი რო რუ

სა სე სი სო სუ
ტა ტე ტი ტო ტუ
ფა ფე ფი ფო ფუ
ღა ღე ღი ღო ღუ
ყა ყე ყი ყო ყუ
ცა ცე ცი ცო ცუ
ძა ძე ძი ძო ძუ
წა წე წი წო წუ
ჭა ჭე ჭი ჭო ჭუ
ხა ხე ხი ხო ხუ
ჯა ჯე ჯი ჯო ჯუ
ჰა ჰე ჰი ჰო ჰუ

19. წაიკითხეთ და დამარცვლეთ:

თ

თითი. ათი თითი. ადამიანს ათი თითი აქვს.
თასი. აი თასი. თასში ღვინო ასხია.
ათასი. ათასი გვერდი. წიგნში ათასი გვერდია.

ტ

ტატო. ტატო ბიჭია. ტატო ძალიან კარგი ბიჭია.
ტასო. ტასო გოგოა. ტასო ძალიან კარგი გოგოა.
ტურა. ტურა ცხოველია. ტურა გარეული ცხოველია.

ქ

ქუდი. დიდი ქუდი. ეს ქუდი ძალიან დიდია.
ქარი. ძლიერი ქარი. დღეს ძლიერი ქარია.
ქერა. ქერა თმა. ტასოს ქერა თმა აქვს.

ღ

ღორი. დიდი ღორი. ეს ძალიან დიდი ღორია.
ღომი. ღომი გემრიელია. ეს ღომი ცხელია.
ღონიერი. ღონიერი კაცი. ტატოს მამა ძალიან ღონიერია.

ყ

ყანა. დიდი ყანა. ზურაბს დიდი ყანა აქვს.
ყაყაჩო. ყაყაჩო ყვავილია. ყაყაჩო ძალიან ლამაზი ყვავილია.
ბაყაყი. ბაყაყი მწვანეა. ბაყაყი წყალში ყიყინებს.

პ

პეპელა. პეპელა ლამაზია. ჭრელი პეპელა ძალიან ლამაზია.
პაპა. პაპა მოხუცია. პეტრე პაპა ძალიან მოხუცია.

პური. პური გემრიელია. ცხელი პური ძალიან გემრიელია.
პირი. დიდი პირი. ბავშვმა დიდი პირი დააღო.

ჟ

ჟუჟუნა. ჟუჟუნა ქალია. ჟუჟუნა ქალის სახელია.
ჟამი. ჟამი დროა. კარგი ჟამი დადგა.
ჟღერს. ზარი ჟღერს. ეს ზარი ძალიან კარგად ჟღერს.

ფ

ფაფა. ფაფა გემრიელია. ბავშვს გემრიელი ფაფა აჭამეს.
ფეხი. ფეხი სტკივა. პეტრე პაპას ფეხი სტკივა.
ოფოფი. ოფოფი ფრინველია. ოფოფს ფერადი ბუმბული აქვს.

ძ

ძიძია. ძიძია ქალია. ძიძია ქალის ქართული სახელია.
ძროხა. ძროხა ცხოველია. ძროხა შინაური ცხოველია.
ძეხვი. ძეხვი გემრიელია. ზურას ძეხვი ძალიან უყვარს.

წ

წიწილა. პატარა წიწილა. პატარა წიწილა ძალიან წივის.
წყარო. ცივი წყარო. ამ წყაროს წყალი ძალიან ცივია.
წამალი. მწარე წამალი. ბავშვმა მწარე წითელი წამალი დალია.

ჭ

ჭა. ღრმა ჭა. ჭაში ძალიან ცივი წყალია.
ჭაჭა. ბევრი ჭაჭა. ჭაჭისგან არაყს ამზადებენ.
ჭამს. ბევრს ჭამს. დიდი ღორი ბევრ საჭმელს ჭამს.
ჭრიჭინა. ჭრიჭინა პატარაა. ზაფხულში ჭრიჭინა ჭრიჭინებს.
კაჭკაჭი. კაჭკაჭი ფრინველია. კაჭკაჭი ტყეში ცხოვრობს.
საჭმელი. გემრიელი საჭმელია. ბავშვმა საჭმელი შეჭამა.

ჯ

ჯაბა. ჯაბა ბიჭია. ჯაბა ძალიან ღონიერი ბიჭია.
ჯოხი. გრძელი ჯოხი. ჯაბამ გრძელი ჯოხი შორს გადააგდო.
უჯრა. დიდი უჯრაა. ჯაბამ უჯრაში ჯაყვა ჩადო.
ფანჯარა. ფართო ფანჯარა. ჯაბამ ფინჯანი ფანჯრიდან გადააგდო.

ხ

ხარი. დიდი ხარი. ხარი შინაური ცხოველია.
ხელი. დიდი ხელები. ხათუნას დიდი ხელები აქვს.
ხმა. მაღალი ხმა. ხათუნას ხმამღლა ლაპარაკი უყვარს.

ჰ

ჰავა. თბილი ჰავა. საქართველოში თბილი ჰავაა.
ჰაერი. კარგი ჰაერი. მთაში კარგი ჰაერია.
ჰამაკი. კარგი ჰამაკი. ჰამლეტს კარგი ჰამაკი ჰქონდა.

20. შეაერთეთ მარცვლები ისე, რომ მიიღოთ სიტყვა:

დ ე	გ ო	
გ ო	ლ ი	
ს ა ხ	თ ი	
ბ უ რ	დ ა	

21. მოცემული მარცვლებისგან ააგეთ სიტყვები:

ფინ- სა- ხე- ძრო- წი- - ხა- წი- პა- ტა- ლა- რა- წყა-
წყა- ლი- ძა- ლი- ან- ცი- ვი- ფან- წა- ლი- მა- ჯა- ღა-
ლი- მწა- ნი- რე- ბავ- შვი- რო - პა- ტა- ლი- რა- ვე- გრძე-
ზაფ- ხუ- ლი- ლი- საჭ- მე- ვა- ლი- ღო- ე- რი- ჯა- რა- ლი-
ნი- ცხო- ხმა- მა- ლი- ჰა- თბი-

ლექსიკონი

აადვილებს - asanlaşdırır
ამოიწერეთ - Yazın, köçürün
ამოცნობა - tanımaq
ანბანი - əlifba
არეული - qarışıq
ასო - hərf
ბგერა - Səs
გამოითქმის - deyilir
გამოწერა - Köçürmə
დანარჩენი - Qalan, digər
თანამიმდევრობა - ardıcıllıq
თანხმოვანი - samit
იწერება - yazılır
მარტივი - sadə
მარცვალი - heca
მაშასადამე - Beləliklə
მოისმინეთ - dinləyin:
მოძებნა - axtardı
სპეციფიკური - spesifik
შეარჩიეთ - Seçin
შეესაბამება - müvafiqdir
შემცველი - əvəz edən, ibarət olan
წარმოთქმა - Tələffüz etmək
წერა-კითხვა - Yazı-oxu
ხმოვანი - Sait

ფრაზები - İFADƏLƏR

მოისმინეთ და გაიმეორეთ - Dinləyin və təkrar edin
მოუსმინეთ და ამოიწერეთ - Dinləyin və yazın
ვივარჯიშოთ ბგერების წარმოთქმაში (№6): - Səslərin tələffüzündə çalışaq (N6):
განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ - Xüsusi diqqət verək
წაიკითხეთ და წარმოთქვით სწორად. - Oxuyaq və düzgün tələffüz edək
წაიკითხეთ სიტყვები და ივარჯიშეთ მათს გამოწერაში: - Sözləri oxuyun və onların yazılışında çalışın:
ივარჯიშეთ ბგერების მარცვლების წარმოთქმაში - Səslərin hecalarda yazılışında məşq edin
წაიკითხეთ და დამარცვლეთ - Oxuyaq və hecalara ayıraq
შეაერთეთ მარცვლები ისე, რომ მიიღოთ სიტყვა - Hecaları elə birləşdirin ki, söz ala biləsiniz
მოცემული მარცვლებისგან ააგეთ სიტყვები - Verilən hecalardan sözlər qurun

გაკვეთილი 2

პიროვნება

1. მოისმინეთ ტექსტი (№9); უცნობი სიტყვების განმარტებები მოიძიეთ ლექსიკონში და მიუწერეთ თარგმანი მშობლიურ ენაზე:

მე - _____; ვარ _____; მასწავლებელი - _____;

კაცი - _____; ქალი_____; ბიჭი _____; გოგო - _____;

დიდი - _____; პატარა - _____; მაღალი - _____;

დაბალი - _____; უშნო - _____; ლამაზი - _____.

2. ამ სიტყვების გამოყენებით ააგეთ წინადადებები და წარმოთქვით.

3. დააკავშირეთ ერთმანეთთან:

ის ქალი	ლამაზია.
ეს კაცი	დაბალია.
ის ბიჭი უშნო არ არის,	მაღალია.

4. წაიკითხეთ დიალოგები:

- ვინ ხარ?
- მე მასწავლებელი ვარ.
- თქვენ ვინ ხართ?
- მე არქიტექტორი ვარ. ის ვინ არის?
- ის დირექტორია.
- ჩვენ ლექტორები ვართ. თქვენ ვინ ხართ?
- ჩვენ სტუდენტები ვართ. ისინი ვინ არიან?
- ისინი მოსწავლეები არიან.

- მე ამირან გოგოლაძე ვარ. თქვენ?
- მე ვლადიმერ სმირნოვი ვარ. ის ვინ არის?
- ის არის ალი ისკანდეროვი.

- თქვენ ვინ ხართ?
- მე ვარ სალომე.
- თქვენ მასწავლებელი ხართ?
- დიახ, მე მასწავლებელი ვარ.

დიალოგების აგებისას აუცილებლად დაგჭირდება პირის ნაცვალსახელები:

I პირი:	მე	ჩვენ
II პირი:	შენ	თქვენ
III პირი:	ის	ისინი

5. დაალაგეთ ნაცვალსახელები პირების მიხედვით:

შენ ის მე

I პირი II პირი III პირი

„არის“ ზმნა

I პირი:	მე ვ-არ	ჩვენ ვარ-თ
II პირი:	შენ ხ-არ	თქვენ ხარ-თ
III პირი:	ის არი-ს	ისინი არი-ან

არის –> ა

ქართულში არის ზმნა ხშირად შემოკლებით იხმარება.

ის კაცი არის –> ის კაცი-ა

ის ლამაზი არის –> ის ლამაზი-ა

6. შეარჩიეთ ზმნები და დაალაგეთ პირების მიხედვით:

არის ხართ ვარ არიან ხარ ვართ

1.

2.

3.

7. წაიკითხეთ ტექსტი:

* * *

- მე ნანა მიქავა ვარ. ვცხოვრობ თბილისში. მე სტუდენტი ვარ. ვსწავლობ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე, პირველ კურსზე. მე 17 წლის ვარ. ეროვნებით ვარ ქართველი, ვცხოვრობ საქართველოში, ვარ საქართველოს მოქალაქე.

8. უპასუხეთ კითხვებს:

ვინ არის ნანა მიქავა?

_____

სად ცხოვრობს?

_____

სად სწავლობს?

_____

რამდენი წლისაა?

_____

9. უპასუხეთ კითხვებს წერილობით:

<u>**ნიმუში**</u>: მე ვარ არმენ მანუკიანი... მე ვცხოვრობ ახალქალაქის რაიონის სოფელ კუმურდოში...

შენ ვინ ხარ?

_____

სად ცხოვრობ?

_____

სად სწავლობ?

_____

სად მუშაობ?

_____

ვინ? და რა?

კითხვა ვინ? დაესმის მხოლოდ ადამიანს:

ვინ? კაცი, ქალი, ბავშვი, დედა, მოსწავლე, სტუდენტი, მასწავლებელი. ლექტორი...

კითხვა რა? დაესმის ყველა ნივთისა და ცხოველის გამომხატველ სახელს:

რა? ძაღლი, კატა, ბურთი, ჩიტი, ულვაშები, ბაზარი...

10. დააჯგუფეთ:

ნიკა საქართველო მოქალაქე ბურთი თბილისი ძაღლი ქალაქი მოსწავლე
სტუდენტი არტური მეგობარი აზიზი ქვეყანა ლექტორი წიგნი კატა

ვინ?	რა?

სულიერი და უსულო საგნები

ქართულში სულიერი და უსულო საგნები კითხვის მიხედვით არ განირჩევა. თუმცა, მათ განვასხვავებთ იმის მიხედვით, რას ვიტყვით - ჰყავს თუ აქვს:

ჰყავს	აქვს
დედა	ბურთი
ლექტორი	ულვაშები
ძაღლი	წიგნი
ჩიტი	ტელევიზორი

11. დაალაგეთ:

დედა საქართველო ლექტორი ჩიტი ბურთი თბილისი ძაღლი ქალაქი
მოსწავლე სტუდენტი არტური მეგობარი ტელევიზორი ქვეყანა წიგნი

სულიერი	უსულო
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____

12. ჩასვით სათანადო ფორმა – აქვს ან ჰყავს

მას ———————— ბევრი წიგნი.
მას ———————— კარგი მასწავლებელი.
მას ———————— დიდი ბურთი.
მას ———————— ცოტა დრო.
მას ———————— ლამაზი დედა.
მას ———————— ერთი ძმა.

ჩვენებითი ნაცვალსახელები (ეს – ის)

ეს ნაცვალსახელი მოლაპარაკესთან ახლოს მყოფ ადამიანზე ან ნივთზე მიუთითებს: ეს ბიჭი = ბიჭი ჩემთან ახლოს არის.

ეს ბურთი= ბურთი ჩემთან ახლოს არის.

ის ნაცვალსახელი იმ ნივთზე ან პირზე მიუთითებს, რომელიც ჩემგან შორსაა:

ის ბიჭი = ბიჭი შორსაა.

ის ბურთი= ბურთი შორსაა.

ლექსიკონი

ა რ - Yox (inkar)
არა - Yox, xeyr
არის - var
ბიჭი - oğlan
გოგო - qız
დაბალი - alçaq
დიდი - böyük
ეს - Bu
ექიმი - Həkim
ია - Bənövşə
ის - O
კარგი - yaxşı
კაცი - kişi
ლამაზი - Gözəl
მასწავლებელი - Müəllim
მაღალი - Hündür,uca
მე - Mən
მწვანე - Yaşıl
პატარა - balaca
რა - Nə
რვეული - Dəftər
უშნო - Çirkin
ქალი - qadın
ყაყაჩო - Lalə
ყვავილი - Gül
ყვითელი - Sarı
შენ - Sən
ცუდი - Pis
წიგნი - Kitab
წითელი - Qırmızı

გაკვეთილი 3

კუთვნილება

1. მოისმინეთ დიალოგი №10:

2. შეაერთეთ კითხვებთან სწორი პასუხები:

შენი და ვინ არის?	ჩემი და მოსწავლეა.
შენი და მაღალია?	არა, ის მაღალი არ არის, ის დაბალია.
ეს ვისი წიგნია?	ეს ჩემი დის წიგნია.

3. ჩასვით სათანადო ადგილას:

რეული წიგნია და

ეს . . . . . .ჩემია.

ეს ჩემი დის . . . . . .

შენი . . . . . მაღალია?

4. თანმიმდევრობით დაალაგეთ დიალოგი (მიუწერეთ რიცხვები):

–შენი და მაღალია?	_____
–შენი და ვინ არის?	_____
–არა, ის მაღალი არ არის, ის დაბალია.	_____
ჩემი და პატარაა.	_____
–ეს ვინ არის?	_____
– ეს ნანაა, ჩემი და.	_____
–ჩემი და მოსწავლეა.	_____
	_____

კუთვნილებას ქართულში კუთვნილებითი ნაცვალსახელები გამოხატავენ:

1.	მე – ჩემი	ჩვენ - ჩვენი
2.	შენ – შენი	თქვენ - თქვენი
3.	ის – მისი	ისინი - მათი

მე - ჩემი	*შენ - შენი*	*ის - მისი*
ჩვენ – ჩვენი	*თქვენ – თქვენი*	*ისინი - მათი*

5. მოძებნეთ კუთვნილებითი ნაცვალსახელები და დააჯგუფეთ პირების მიხედვით:

– შენი და მაღალია? ჩვენი სკოლა ლამაზია

– ეს მისი წიგნია. მათი წიგნები საინტერესოა..

– ეს ნანაა, ჩემი და. თქვენი რვეულები კლასშია.

1. _____ _____

2. _____ _____

3. _____ _____

სახელობითი ბრუნვა

ქართულში თანხმოვანზე დაბოლოებული სახელები წინადადებაში არ გვხვდება: აუცილებელია ბოლოში ხმოვანი –ი.. არასწორია: *კაც, ექიმ, მასწავლებელ, ბაყაყ...* მათ აუცილებლად უნდა დავუმატოთ ბოლოში -ი: *კაც-ი, ექიმ-ი, მასწავლებელ-ი, ბაყაყ-ი...*

ხმოვნებზე დაბოლოებულ სახელებს ბოლოში -ი არ დაერთვით: *ია, გოგო, უშნო, მწვანე...*

-ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია.

6. სათანადო ადგილას ჩასვით -ი:

ეს ქალ მასწავლებელ არ არის.

ის კაც ექიმია.

ის ბიჭ უშნოა.

ის კაც ვინ არის?

ნათესაობითი ბრუნვა

ნათესაობითი ბრუნვა კუთვნილებას გამოხატავს და –ის დაბოლოებით გადმოიცემა:

ბიჭ–ი - *ბიჭ–ის*

დირექტორ–ი - *დირექტორ–ის*

ფეხბურთელ–ი - *ფეხბურთელ–ის*

7. ჩასვით ნათესაობით ბრუნვაში:

კაც–ი _____

ფეხბურთ–ი _____

წიგნ–ი _____

ალი _____

კითხვითი ნაცვალსახელი ვისი?

იმისათვის, რომ გავიგოთ, ვის ეკუთვნის რამე, უნდა დავსვათ კითხვა ვისი?

ვისი წიგნია?

ეს გოგო ვისი დაა? – ეს გოგო მაღალი ბიჭის დაა.

ეს ვისი წიგნია? – ეს წიგნი დირექტორისაა.

ეს ვისი ბურთია? – ეს ბურთი ფეხბურთელისაა.

8. დასვით კითხვა სწორად:

_____ ?

– ეს ნანას კაბაა.

9. წაიკითხეთ ტექსტი:

მე ვარ ანა. *ჩემი* გვარია მაისურაძე. *დედაჩემი* მასწავლებელია, *მამაჩემი* ინჟინერია. *ჩემი* და 12 წლისაა. *მისი* სახელია მარიამი. ის მოსწავლეა, სწავლობს სკოლაში, მეექვსე კლასში. *ჩემი* ძმა 10 წლისაა. ისიც მოსწავლეა. *მისი* სახელია ირაკლი. ის მეოთხე კლასში სწავლობს. *ჩვენი* სახლი აბაშიძის ქუჩაზეა. *ჩვენი* სახლი დიდია.

- *ეს შენი* წიგნია? – არა, ეს *დედაჩემის* წიგნია.
- *ის* რა არის? – *ის* ჩემი ჩანთაა.
- ეს ტანსაცმელი *ვისია*? – ეს ტანსაცმელი *ირაკლისაა*.
- ეს ჩემი **დის** სათამაშოა, ეს ჩემი *ძმის* რვეულია.
- ეს *ჩემი* ფეხსაცმელებია, ის *ჩემი ძმის* ფეხსაცმელებია.
- ეს *შენი* შარვალია? – არა, ეს *მამაჩემის* შარვალია.
- ძალიან ლამაზი კაბაა. *ვისია*? – *დედაჩემის* კაბაა.

10. სწორი ფორმები დატოვეთ, არასწორი – გადახაზეთ.

ის ჩემი მეგობარი ხარ.	ჩვენ შენი მეგობრები ხართ.
მე შენი მეგობარი არის.	ის ჩემი მეგობარი ვარ.
თქვენ ჩემი მეგობრები არიან.	ისინი ჩემი მეგობრები ხართ.
მე შენი მეგობარი ხარ.	ის ჩემი მეგობარი არის.

შენ ჩემი მეგობარი ვარ.
შენ ჩემი მეგობარი ხარ.
ჩვენ შენი მეგობრები ვარ.
ჩვენ შენი მეგობრები არიან.
თქვენ ჩემი მეგობრები ხართ.
ის ჩვენი მეგობარია.

მე შენი მეგობარი ვარ.
ჩვენ შენი მეგობრები ვართ.
თქვენ ჩემი მეგობრები ვართ.
შენ ჩემი მეგობარი არის.
ისინი ჩემი მეგობრები არიან.
ის თქვენი მეგობარი ხარ.

11. შეადგინეთ წინადადებები *ჩემი, შენი, მისი, ჩვენი, თქვენი, მათი* ნაცვალსახელების გამოყენებით:

_____

_____

_____

_____

_____

12. წაიკითხეთ დიალოგები და შემდეგ თქვენ თვითონ დაწერეთ დიალოგი მოცემული ფორმების გამოყენებით:

– ვინ ხარ?
– მე გიორგი ვარ.
– თქვენ ვინ ხართ?
– მე მასწავლებელი ვარ. ის ვინ არის?
– ის ჩემი მეგობარია.
– ჩვენ მეგობრები ვართ. თქვენ ვინ ხართ?
– ჩვენ სტუდენტები ვართ.
– სად სწავლობთ?
– ჩვენ უნივერსიტეტში ვსწავლობთ.
– ისინი ვინ არიან?
– ისინი ფეხბურთელები არიან.

– _____
– _____
– _____
– _____
– _____
– _____

- _____
- _____
- _____
- _____

13. დაწერეთ თანაკლასელის, მასწავლებლის, მეგობრის შესახებ (ვინ არის? სად ცხოვრობს? სად სწავლობს / სად მუშაობს?
(ინდივიდუალური მუშაობა; მონაწილეობას იღებს მთელი ჯგუფი).

14. მოისმინეთ ტექსტი №11:

15. ტექსტის მიხედვით განსაზღვრეთ, სწორია თუ არა და მიუწერეთ (კი ან არა):

ნიკა საქართველოს მოქალაქეა. _____
ნიკა მოსწავლეა. _____
ნიკა სტუდენტი არ არის. _____
საქართველო ნიკას სამშობლოა. _____
ნიკა ქართულის მასწავლებელია. _____

16. მოისინეთ ტექსტი № 12.

17. ტექსტის მიხედვით გაითამაშეთ დიალოგი.

ლექსიკონი

კუთვნილება - Mənsubiyyət
და - bacı
დედა - ana
ერთი - bir
ვინ - kim
ვისი - kimin
მამა - ata
მოსწავლე - şagird
მშობელი - valideyn
ორი - iki
სტუდენტი - Tələbə
ქართველი - gწrcწ
შენი - Sənin
ჩემი - Mənim

გაკვეთილი 4

მისალმება, გაცნობა, მოკითხვა, დამშვიდობება

მისალმების ფორმები

გამარჯობა! – მისალმების ეს ფორმა ყველაზე ხშირად გამოიყენება.
გაგიმარჯოს! – ეს ფორმა პასუხად იხმარება.

– **გამარჯობა!**
– **გაგიმარჯოს!**

გამარჯობა! ფორმას პასუხად ზოგჯერ ისევ **გამარჯობა!** მოსდევს:

– **გამარჯობა!**
– **გამარჯობა!**

საუბრისას, ზრდილობის, პატივისცემის გამოსახატავად გამოიყენება **გამარჯობათ!**

- **გამარჯობათ, ბატონო გიორგი!**

დილა მშვიდობისა! –გამოიყენება დილით მისალმებისას.

საღამო მშვიდობისა! – გამოიყენება საღამოს მისალმებისას.

სალამი! – ზოგჯერ ეს ფორმაც გამოიყენება. Iგივეა, რაც **გამარჯობა**.

მისალმების ზრდილობიანი ფორმაა ასევე -
მოგესალმებით!

მისალმების ეს ფორმა უფრო ხშირად საზოგადოებრივ შეკრებებევრ ხალხთან, აუდიტორიის წინაშე გამოსვლისას გამოიყენება:

– **მოგესალმებით!**
– **გამარჯობათ!**

1. როგორ მიესალმებით ერთმანეთს დილით? საღამოს?

დილით _____

საღამოს _____

2. წარმოთქვით მისალმების სათანადო ფორმა:



3. მოისმინეთ დიალოგი №13:

4. ისრებით დაუკავშირეთ კითხვებს სწორი პასუხები:

– გამარჯობა!	– დიახ, ჩვენ სტუდენტები ვართ.
–თქვენ სტუდენტები ხართ?	– არა, ჩვენ კარგად არ ვიცით ქართული.
–ქართული კარგად იცით?	– კი, ეს ქართული ენის ჯგუფია.
–ეს ქართული ენის ჯგუფია?	– გაგიმარჯოთ!

5. ჩასვით სათანადო ადგილას:

ცუდად კარგად სასიამოვნოა

ქართული ..... იცით?

ჩვენ ..... ვლაპარაკობთ ქართულად.

..... თქვენი გაცნობა.

6. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით, მიესალმეთ ერთმანეთს ან მასწავლებელს.

მხოლობითი და მრავლობითი რიცხვი

როცა სახელი საგანი (ან ადამიანი) ორი ან ორზე მეტია, მას მრავლობითი რიცხვის ნიშანი (-ებ) დაესმის:

ერთი *კაცი*, მაგრამ - ბევრი თუ არის - *კაც-ებ-ი*.

თანხმოვანზე დაბოლოებულ სახელებს **-ებ** პირდაპირ ფუძეზე დაერთვის:

ულვაშ-ებ-ი

ჩიტ-ებ-ი

წიგნ-ებ-ი

ლექტორ-ებ-ი

-ო, -უ, -ე ხმოვნებზე დაბოლოებული სახელებიც -ებ ბოლოსართს პირდაპირ ფუძეზე დაირთავენ:

ხბო-ებ-ი

რუ-ებ-ი

ხე-ებ-ი

-ა ხმოვანზე დაბოლოებული სახელებს ხმოვანი -ა ეკარგებათ:

დედა + -ებ + ი => დედ-ებ-ი

ქუჩა + -ებ + ი => ქუჩ-ებ-ი

7. სიტყვები გადაიყვანეთ მრავლობით რიცხვში და დაწერეთ

დათვ–ი - _____

ქალაქ-ი - _____

მოსწავლე - _____

უთო - _____

„არის“ ზმნის მრავლობითი რიცხვი

	მხოლობითი		*მრავლობითი*	
I პირი:	მე	ვ-არ	ჩვენ	ვარ–თ
II პირი:	შენ	ხ-არ	თქვენ	ხარ–თ
III პირი:	ის	არი-ს	ისინი	არი–ან

8. შეაერთეთ ისრით სათანადო მრავლობითის ფორმასთან

ვარ	არიან
ხარ	ვართ
არის	ხართ

9. წაიკითხეთ და დაიმახსოვრეთ:

გაცნობის ფორმები

გაიცანი, ეს ...!

იცობდეთ ერთმანეთს, ეს ..., ეს ...

ჩვენ ვიცნობთ (არ ვიცნობთ) ერთმანეთს?

თუ შეიძლება, გამაცანით თქვენი მეგობარი!

ნება მომეცით, გაგაცნოთ ბატონი ...

რა გვარი ბრძანდებით?

ნება მიბოძეთ წარმოგიდგეთ: ჩემი გვარია...

გავიცნოთ ერთმანეთი, მე ... ვარ // გახლავართ.

სასიამოვნოა თქვენი გაცნობა!

10. მოისმინეთ დიალოგი №14:

11. გაითამაშეთ მისალმებისა და გაცნობის სცენები.

(მუშაობა წყვილებში).

12. შეადარეთ კითხვასთან სწორი პასუხი:

ვინ არის გურამ აბესაძე?	ნიკა ბერიძე დაიბადა და გაიზარდა გორის რაიონის სოფელ სკრაში.
სად ცხოვრობს გურამი?	ბაგრატი დაიბადა ჯავახეთში, ნინოწმინდის რაიონის სოფელ ფოკაში.
სად დაიბადა ნიკა ბერიძე?	აჰმედი ახლა ცხოვრობს თბილისში, კრწანისის რაიონში, ორთაჭალაში.
სად ცხოვრობს ახლა ნიკა?	გურამი ქართული ენის ახალი მასწავლებელია.
სად დაიბადა ბაგრატი?	ახლა ნიკა ცხოვრობს თბილისში, კრწანისის რაიონში.
სად ცხოვრობს ახლა აჰმედი?	გურამი ცხოვრობს თბილისში, მთაწმინდის რაიონში.

დამშვიდობება

ნახვამდის! – გამომშვიდობების ეს ფორმა ყველაზე ხშირად გამოიყენება და იგი გულისხმობს, რომ მომავალი შეხვედრა მალე შედგება.

კარგად ბრძანდებოდეთ! – ეს ფრაზა განსაკუთრებით საპატივცემულო პიროვნების მიმართ გამოიყენება.

კარგად იყავი! (კარგად იყავით!) -
ეს ფორმა კი ახლობლებს, თანატოლებს შორის იხმარება.

მშვიდობით! – გამომშვიდობების ეს ფორმა იშვიათად გამოიყენება და მხოლოდ მაშინ, თუ შეხვედრა დიდი ხნით ან სამუდამოდ გადადებულია.

მომავალ შეხვედრამდე! – გამომშვიდობების თავაზიანი ფორმაა და მალე შეხვედრის იმედს გულისხმობს.

მშვიდობით ბრძანდებოდეთ! – ეს იგივეა, რაც **კარგად ბრძანდებოდეთ**, მაგრამ განშორება უფრო ხაზგასმულია, გამკვეთრებულია.

ღამე მშვიდობისა! - ოფიციალური ფორმებია
მშვიდობიან ღამეს გისურვებთ! დამშვიდობებისა.

ძილი ნებისა! – დამშვიდობების ეს ფორმა ძილის წინ გამოიყენება.

ყურადღება მიაქციეთ და დაიმახსოვრეთ:
დილა მშვიდობისა! და **საღამო მშვიდობისა!** - მისალმების ფორმებია; **ღამე მშვიდობისა!** კი – გამომშვიდობებისა.

13. მოისმინეთ დიალოგი №15:

14. შემოხაზეთ ფრაზა, რომელსაც გამომშვიდობებისას გამოიყენებთ.

დილა მშვიდობისა!

საღამო მშვიდობისა!

ღამე მშვიდობისა!

15. წარმოთქვით მისალმების ან დამშვიდობების სათანადო ფორმა:





ლექსიკონი

ასწავლის - Öyrədir

გაგიმარჯოს - Salam(dostlara)

გამარჯობა - Salam

გახლავართ - Mənəm

დილა - Səhər

ლაპარაკობს - Danışır

ნახვამდის - Xudahafiz

ფრაზები - İFADƏLƏR

დილა მშვიდობისა - Sabahınız xeyir

კარგად ბრძანდებოდეთ - Salamat qalın

მოგესალმები - Salamlayıram

გაკვეთილი 5

მოკითხვა, მადლიერების გამოხატვა, მობოდიშება

1. მოისმინეთ დიალოგი №16:

2. კიდევ ერთხელ მოისმინეთ ტექსტი და ჩასვით სათანადო სიტყვები / ფრაზები მრავალწერტილის ნაცვლად:

როგორ ბრძანდებით? *გმადლობთ* *საღამო მშვიდობისა* *კარგად* *შეიძლება?*

–ქალბატონო მარიამ, ...

–....., ქალბატონო მარიამ, ...

–....., დეა, შენ?

–....., კარგად, ქალბატონო მარიამ!

3. მოისმინეთ დიალოგები №17:

4. შეადგინეთ მსგავსი დიალოგები.

5. მოუსმინეთ ტექსტს № 18:

6. მიუწერეთ, სწორია თუ არასწორი:

   დეა პატარა გოგოა. .....

   დეა სკოლაში დადის. .....

   დეას ძმას სკოლაში დადის. .....

   დეამ კითხვა იცის. .....

   დეა ძმას სთხოვს წაუკითხოს ზღაპრები. .....

დაიმახსოვრეთ:

როგორ ხარ? – მოკითხვის ფორმა ახლობელ ადამიანთა შორის.

როგორ ბრძანდებით? – მოკითხვის ფორმა საპატივცე-მულო ადამიანის მიმართ.

როგორ გიკითხოთ? – ეს ფორმაც განსაკუთრებულ პატივისცემას გულისხმობს.

საპასუხო ფორმებია:



7. დაჯგუფდით წყვილებად და გაითამაშეთ დიალოგი (მოიკითხეთ ერთმანეთი).

8. ამოიწერეთ ახალი სიტყვები და შეავსეთ თქვენი ლექსიკონი. ივარჯიშეთ წარმოთქმაში.

მადლიერების ფორმები:

მადლი სიკეთეს ნიშნავს. მადლიერების გამომხატველ ფორმაში ჩადებულია ის აზრი, რომ მთქმელი მეორე ადამიანს სიკეთედ უთვლის ნამოქმედარს.

გმადლობ! – მადლიერების გამომხატველი ფორმა.

გმადლობთ! – მადლიერებასთან ერთად თავაზიანობასა და პატივისცემასაც გულისხმობს.

მადლობელი ვარ! // მადლიერი ვარ! - მადლობის გამოსახატავად ეს ფორმებიც გამოიყენება.

საპასუხო ფორმაა: **არაფრის!**

9. დაჯგუფდით წყვილებად და გაითამაშეთ დიალოგი (მადლიერების ფორმების გამოყენებით).

მობოდიშების ფორმები:

ბოდიში! – ეს ფორმა გამოიყენება თანატოლებს ან ახლობლებს შორის.

მაპატიეთ! – დიდ მორიდებასა და მოწიწებას გულისხმობს.

უკაცრავად! – ეს ფორმა მეტად თავაზიანია და გამოიყენება პატივისცემისა და ჩადენილის მონანიების განცდით.

საპასუხო ფორმაა: **არა უშავს!**

ვითარებითი ბრუნვა

კითხვაზე როგორ? ქართულ ენაში მეტწილად –ად ბოლოსართიანი სახელები პასუხობენ:

როგორ?

კარგ–ად

ცულ–ად

ავ–ად

10. აწარმოეთ ვითარებითი ბრუნვის ფორმა

ნიმუში – დიდ–ი – დიდ–ად

კარგი –

ცუდი –

ლამაზი –

11. ტექსტიდან ამოიწერეთ ვითარებით ბრუნვაში დასმული სახელები.

12. აღწერეთ სურათები. გამოიყენეთ თქვენ მიერ ნასწავლი მისალმება-გამომშვიდობებისა და მადლიერება-მობოდიშების გამომხატველი ფორმები.

მოკითხვა გადაეცი ან მომიკითხე		თავაზიანი მიმართვის ფორმაა. გამოიყენება ნაცნობისათვის გახსენების, მოკითხვის გადაცემის დროს. კეთილ სურვილებს გამოხატავს.

13. უპასუხეთ კითხვებს:

I. რას უსურვებენ გამომშვიდობებისას ქართველები ერთმანეთს?

II. როგორ ესალმებიან ქართველები ერთმანეთს?

III. რომელია მისალმების თავაზიანი ფორმა?

IV. როგორ ვესალმებით საღამოს ერთმანეთს?

V. როგორ ემშვიდობებიან ღამით ერთმანეთს?

VI. რომელია მობოდიშების ფორმები? ჩამოთვალეთ.

VII. ჩამოთვალეთ მადლიერების გამომხატველი ფორმები.

VIII. რომელია მოკითხვის ფორმები?

IX. როგორ პასუხობენ მოკითხვის ფორმებზე?

14. მოისმინეთ ტექსტები (№ 16). დაიმახსოვრეთ ახალი სიტყვები და ფრაზები; ამოიწერეთ და შეავსეთ თქვენი ლექსიკონი:

15. გაითამაშეთ მოსმენილი დიალოგები.

დიახ, კი, ჰო დადასტურებითი ნაწილაკები

დადასტურებისთვის ქართულში გამოიყენება ***დიახ, ჰო, კი*** ნაწილაკები.

დიახ თავაზიანი ფორმაა; ***ჰო*** და ***კი*** მხოლოდ თანატოლებთან, მეგობრებთან საუბრისას შეიძლება გამოვიყენოთ.

16. გაეცით დადებითი პასუხი თანატოლს, მეგობარს:

1. ეს ყვავილი ლამაზია?

- _____

2. ეს წიგნი შენია?

- _____

უარყოფა (არა, არ ნაწილაკები)

უარყოფისთვის ქართულში გამოიყენება **არა, არ** ნაწილაკები. მოკლე პასუხისთვის წინადადებაში შეიძლება მხოლოდ **არა** გამოვიყენოთ:

- ის მასწავლებელია?
- არა.

სრული პასუხისთვის მხოლოდ არა საკმარისი არ არის: აუცილებელია **არ** ნაწილაკი:

- ის მასწავლებელია?
- არა, ის მასწავლებელი არ არის.

17. გაეცით უარყოფითი პასუხი კითხვას:

ეს კაცი მასწავლებელია?

- _____

წოდებითი ბრუნვა

როდესაც ადამიანს მიმართავენ, სახელს დაერთვის ბრუნვის ნიშნები –ო და –ვ (–ო – თანხმოვანზე დაბოლოებულ სახელებთან; –ვ – ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებთან):

ბატონ–ო
ლამაზ–ო
დიდ–ო
პატარა–ვ

საკუთარი სახელები წოდებითი ბრუნვის ნიშანს არ დაირთავენ:

გურამ! გიორგი! აზიზ! ბაგრატ!

ჩასვით წოდებით ბრუნვაში სახელები

მაღალი – _____

იაკობი – _____

თბილისი – _____

დაბა – _____

ლექსიკონი

ბატონი - Cənab
გაიცნობს - Tanış olacaq
გახლავართ - Mənəm
გვარი - Soyad
გმადლობ - Sağ olun
ერთმანეთი - Bir-birinə
იცის - Bilir
კი - Hə,bəli
მეზობელი - Qonşu
სახელი - Ad
ჯგუფი - Qrup
ჰქვია - Adlanır,deyilir

ფრაზები İFADƏLƏR

არა მიშავს -Yavaş-yavaş
როგორ ბრძანდებით -Necəsiniz
სასიამოვნოა თქვენი გაცნობა - Sizinlə tanış olmağıma şadam
ძალიან სასიამოვნოა - Çox xoşdur
წარმატებას გისურვებ - Uğurlar arzu edirəm

გაკვეთილი 6

ოჯახი

1. მოისმინეთ ტექსტი №19:

2. გაეცანით სქემას, ამოიწერეთ უცნობი სიტყვები თქვენს პირად ლექსიკონში და თარგმნეთ.



3. მოისმინეთ და დაიმახსოვრეთ (№20):

4. უცნობი სიტყვები მოძებნეთ ლექსიკონში, განმარტეთ და ამოიწერეთ თქვენს პირად ლექსიკონში.

5. უპასუხეთ კითხვებს:

   რა ჰქვია დედის დას?

   რა ჰქვია მამის დას?

   რა ჰქვია დედის მამას?

   რა ჰქვია მამის დედას?

   რა ჰქვია შვილის შვილს?

   რა ჰქვიათ ერთად დედას და მამას?

   რა ჰქვია დედის ძმის შვილს?

   რა ჰქვია მამის დის შვილს?

6. ამ სიტყვების გამოყენებით მოუყევით მასწავლებელს თქვენი ოჯახის შესახებ.

7. დაიმახსოვრეთ:

ჩემი ძმა	მაგრამ:
ჩემი და	**დედაჩემი, მამაჩემი;**
შენი ბიძა	**დედაშენი, მამაშენი.**
შენი დეიდა	

8. წაიკითხეთ ტექსტი:

ცოლ-ქმრის ნათესავები

ვაჟიშვილის ცოლს რძალი ჰქვია, ხოლო ქალიშვილის ქმარს ჰქვია სიძე.

ქმრის ძმას ცოლისთვის ჰქვია მაზლი, დას კი – მული. დედაჩემს ერთი მაზლი და ერთი მული ჰყავს. დედაჩემის მაზლი ჩემი ბიძაა, ხოლო დედაჩემის მული ჩემი მამიდაა. ბიძაჩემის ცოლი და დედაჩემი რძლები არიან, ანუ მაზლის ცოლებს ერთმანეთისთვის რძლები ჰქვიათ.

ცოლის ძმას ქმრისთვის ჰქვია ცოლისძმა, დას კი – ცოლისდა. მამაჩემს ჰყავს ერთი ცოლისძმა და ერთი ცოლისდა. დების ქმრებს ერთმანეთისთვის ჰქვიათ ქვისლები. მამაჩემს ქვისლი ჰყავს, იგი დეიდაჩემის ქმარია.

ქმრის დედას ცოლისთვის ჰქვია დედამთილი, ხოლო მამას – მამამთილი. დედაჩემის დედამთილი და მამამთილი ჩემი ბებია და პაპაა.

ცოლის დედას ქმრისთვის ჰქვია სიდედრი, ხოლო მამას – სიმამრი. მამაჩემის სიდედრი და სიმამრი ჩემთვის ბებია და პაპაა.

9. გაეცანით სქემას, ამოიწერეთ უცნობი სიტყვები თქვენს პირად ლექსიკონში და თარგმნეთ.



10. **უცნობი სიტყვები მოძებნეთ ლექსიკონში, განმარტეთ და ამოიწერეთ თქვენს პირად ლექსიკონში.**

11. **უპასუხეთ კითხვებს:**

რა ჰქვია ცოლის დედას? - _____

რა ჰქვია ქმრის მამას? - _____

რა ჰქვია ქმრის დას? - _____

რა ჰქვია ქმრის ძმას? - _____

რა ჰქვია ცოლის დას? - _____

რა ჰქვია ცოლის ძმას? - _____

რა ჰქვია ქალიშვილის ქმარს? - _____

რა ჰქვია ვაჟიშვილის ცოლს? - _____

რა ჰქვიათ ცოლს და ქმარს ერთად? - _____

12. **წაიკითხეთ დიალოგი:**

* * *

– სად ცხოვრობენ შენი ბაბუა და ბებია?

– ისინი სოფელში ცხოვრობენ.

– მართლა? რა კარგია!

– ჰო, ჩემი მაზლი და მულიც იქ ცხოვრობენ.

– თქვენი რძალი სად ცხოვრობს?

– ისიც სოფელში ცხოვრობს.

13. **უპასუხეთ კითხვებს:**

სად ცხოვრობენ ბაბუა და ბებია?

_____

მაზლი სად ცხოვრობს?

_____

მული სად ცხოვრობს?

_____

სად ცხოვრობს რძალი?

_____

14. **წაიკითხეთ ტექსტი:**

მე ქეთევანი ვარ. ჩემი გვარია იაძე. ჩემი ოჯახი თბილისში ცხოვრობს. მე ახლა ბათუმში ვარ, თბილისიდან ბათუმში ჩამოვედი. ამ ქალაქში ვსწავლობ.

ჩემი ოჯახი დიდია. მე მყავს დედა, მამა, ორი ძმა და ერთი და.

ჩემი ბებია და ბაბუა სოფელში ცხოვრობენ. ჩემი ძმები პატარები არიან. ჩემი და დიდია. მას ერთი შვილი ჰყავს. ის ჩემი დისშვილია. მას ილია ჰქვია.

მამაჩემს ერთი და ჰყავს და ერთი ძმა. მამაჩემის და ჩემი მამიდაა. მამიდას ორი შვილი ჰყავს: მაია და ლუკა. ისინი ჩემი მამიდაშვილები არიან.

მამაჩემის ძმა ჩემი ბიძაა. მისი ცოლი ჩემი ბიცოლაა. ჩემს ბიძას და ბიცოლას ორი შვილი ჰყავს: მათე და თამარი. ისინი ჩემი ბიძაშვილები არიან.

ჩემს ბებიასა და ბაბუას სამი შვილი, რვა შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი ჰყავთ.

დედას და და ძმა ჰყავს. მისი და ჩემი დეიდაა. მე ერთი დეიდაშვილი მყავს, ის ძალიან პატარაა. ჩემს ბიძას ცოლი არ ჰყავს. ის უცოლოა.

დედაჩემის დედა და მამა ქუთაისში ცხოვრობენ. ჩემს ბებიასა და ბაბუას სამი შვილი და ხუთი შვილიშვილი ჰყავთ.

ჩემი ოჯახი ძალიან დიდია.

15. წერილობით უპასუხეთ კითხვებს:

რა გვარია ქეთევანი?

_____

სად ცხოვრობს ქეთევანის ოჯახი?

_____

ახლა სად არის ქეთევანი?

_____

დიდია ქეთევანის ოჯახი? ჩამოთვალეთ მისი ოჯახის წევრები.

_____

სად ცხოვრობენ ქეთევანის ბებია და ბაბუა?

_____

რამდენი და ჰყავს ქეთევანის მამას?

_____

რა ჰქვია ქეთევანის დისშვილს?

_____

რამდენი მამიდაშვილი ჰყავს ქეთევანს?

_____

რამდენი ბიძაშვილი ჰყავს ქეთევანს?

_____

რამხელაა ქეთევანის დეიდაშვილი?

_____

სად ცხოვრობენ ქეთევანის დედის მშობლები?

_____

რამდენი შვილი და რამდენი შვილიშვილი ჰყავთ ქეთევანის ბებიასა და ბაბუას?

_____

16. აღწერეთ თქვენი ოჯახი:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

მხოლობითი და მრავლობითი რიცხვი ზმნაში

ქართულ ზმნაში გარკვეული ნიშნით (ბოლოსართით) გამოიხატება მასთან შეწყობილი პირის მრავლობითი რიცხვი:

მე (1 პირი) – ვ–წერ	ჩვენ (მე და შენ ან მე და ის / ისინი) – ვ–წერ–თ
შენ (1 პირი) – წერ	ჩვენ (შენ და ის / ისინი) – წერ–თ
ის (1 პირი) –წერ–ს	ისინი (ის და ის / ისინი) –წერ–ენ

17. ნაცვალსახელებს მიუწერეთ ზმნის სათანადო ფორმები

წერენ, წერ, ვწერთ, ვწერ, წერს, წერთ

მე – _____	ჩვენ – _____
შენ – _____	თქვენ – _____
ის – _____	ისინი – _____

არის ზმნის უღლება მომავალსა და წარსულ დროში

დრო სამია ქართულში: ახლანდელი, წარსული და მომავალი.

ჩვენ უკვე ვისწავლეთ არის ზმნის პირთა მიხედვით ცვლილება ***ახლანდელ*** დროში. წარსულსა და მომავალში ეს ზმნა ასე იუღლება:

	წარსული		*მომავალი*	
	მხოლობითი	მრავლობითი	მხოლობითი	მრავლობითი
1	მე ვიყავი	ჩვენ ვიყავით	მე ვიქნები	ჩვენ ვიქნებით
2	შენ იყავი	თქვენ იყავით	შენ იქნები	თქვენ იქნებით
3	ის იყო	ისინი იყვნენ	ის იქნება	ისინი იქნებიან

18. სათანადო ადგილას ჩასვით შესაბამისი სიტყვა

იქნება ვიქნები ვიქნებით იქნებიან იქნებით

1. ხვალ საღამომდე ჩვენ აქ _____
2. ისინი ჩემთან _____
3. მე მთელი დღე სახლში _____
4. ვინ _____ შენთან?
5. 2 საათისთვის თქვენ ალბათ დაკავებული _____

19. შეაერთეთ ისრებით ზმნის სათანადო ფორმები:

მე	იყავით
ჩვენ	იყვნენ
შენ	იყო
თქვენ	ვიყავი
ის	ვიყავით
ისინი	იყავი

20. გახაზეთ წარსული დროის გამომხატველი ფორმები

ვიქნებით ვიყავი იყავი იქნება იყვნენ იქნებით

21. შეაერთეთ ისრებით ზმნის სათანადო ფორმები

მე	იქნება
ჩვენ	იქნებით
შენ	იქნებიან
თქვენ	ვიქნები
ის	ვიქნებით
ისინი	იქნები

ლექსიკონი

ბაბუა - baba
ბებია - Nənə
ბიცოლა - əmidostu,dayıdostu
ბიძა - əmi,dayı
ბიძაშვილი - əmiuşağı,dayıuşağı
დეიდა - xala
დეიდაშვილი - xalauşağı
დისშვილი - bacıuşağı
თავისი - özünün
კლასელი - Sinif yoldaşı
კლასი - sinif
მამიდა - bibi
მამიდაშვილი - bibiuşağı
ნახვა - Baş çəkmək,görmə
ოჯახი - Ailə
პაპა - Baba(böyük)
უმცროსი - Balaca,kiçik
უფროსი - böyük
უცოლო - subay
უხარია - Sevinir
ქმარი - ər
შვილთაშვილი - Nəticə
შვილი - Övlad,uşaq
შვილიშვილი - Nəvə
ცოლი - arvad
ძმისშვილი - qardaşuşağı

გაკვეთილი 7

ადგილმდებარეობა და მიმართულება

1. ეს გლობუსია. იცით რომელიმე ქვეყნის ქართული სახელწოდება? ჩამოთვალეთ:

2. რა ჰქვია იმ ქვეყანას, სადაც თქვენ ცხოვრობთ (თქვენს ენაზე, ქართულად)?

3. ისწავლეთ ქართულად:



4. ამ სიტყვების გამოყენებით აღწერეთ ქვეყნები – საქართველო, აზერბაიჯანი, რუსეთი, თურქეთი, სომხეთი - ერთმანეთის მიმართ რა მდებარეობა აქვთ.

5. აღწერეთ თქვენი სოფელი. გამოიყენეთ სიტყვები: აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით, სამხრეთით, დასავლეთით (წერითი დავალება).

6. მოისმინეთ დიალოგi № 21:

7. გაეცანით სქემას:



8. გაიმეორეთ და დაიმახსოვრეთ ანტონიმები:

ახლოს	–	შორს
ზემოთ	–	ქვემოთ
მარჯვნივ	–	მარცხნივ

ადგილმდებარეობისა და მიმართულების გამომხატველი სიტყვები

ადგილსა და მიმართულებას ქართულში ზმნიზედა გამოხატავს.

ზმნიზედა ქართულში სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენება; ძალიან ხშირად იგი ადგილს გამოხატავს: *აქ, იქ, ზევით, ქვევით, უკან, წინ...*

ზმნიზედას ქართულში მოქმედების მიმართულების ჩვენებაც შეუძლია. ზმნიზედა *იქ* ადგილს გამოხატავს, *იქით / იქითკენ* – მოქმედების მიმართულებას გვიჩვენებს...

მიმართულების გამოსახატავად ძირითადად *–კენ* თანდებული გამოიყენება: *იქითკენ, აქეთკენ, წინისკენ...*

–იდან თანდებულის დართვით კი მოქმედების საწყისი ადგილი გამოიხატება:
იქიდან, წინიდან, უკნიდან, ზევიდან...

9. ტექსტიდან ამოიწერეთ ადგილმდებარეობისა და მიმართულების აღმნიშვნელი ზმნიზედები და დააჯგუფეთ.

ადგილი	მიმართულება

10. წაიკითხეთ ტექსტი:

ნიკა, აჩი და ბესო მეგობრები არიან. ისინი სწავლობენ თბილისში, უნივერსიტეტში. მესამე კურსზე არიან. სამივეს ძალიან უყვარს მოგზაურობა და ხშირად დადიან სამოგზაუროდ. ამ ზაფხულს ისინი წავიდნენ ხევსურეთში და იქიდან გადავიდნენ გუდამაყრის ხეობაში. ხევსურეთი საქართველოს მთიანი მხარეა. აქ სოფლები მთებზეა და ძალიან ძნელია სოფლებში ასვლა. ნიკა, აჩი და ბესო ბევრს დადიოდნენ, დაათვალიერეს ბევრი ლამაზი ადგილი. ისინი სოფელ როშკაში ავიდნენ. სოფელი ძალიან მაღლაა, მთის წვერზე. იქ ასვლას დიდი დრო სჭირდება. მეგობრებიც დიდხანს ადიოდნენ სოფლამდე. გაიარეს ტყე, მინდორი და ბოლოს, ოთხი საათის მერე, ავიდნენ როშკაში. ამ სოფელში რამდენიმე მოსახლეა. სოფელში ძალიან გაუხარდათ სტუმრების ნახვა. ისინი ერთ ოჯახში შევიდნენ. იქ ხევსურებმა სუფრა გაუშალეს, ხინკლები მოხარშეს და ლუდი დაალევინეს. ლუდს საქართველოს მთიან კუთხეებში ოჯახებში ამზადებენ. ის ძალიან გემრიელი სასმელია.

იმ დამეს ბიჭები როშკაში დარჩნენ, მეორე დღეს კი დაემშვიდობნენ მასპინძლებს და ქვევით ჩამოვიდნენ. როშკიდან ჩამოსვლა უფრო ადვილი იყო. ისინი ორ საათში ქვემოთ იყვნენ.

როშკის ძირში ჩანჩქერი ჩამოედინება. ამ ჩანჩქერის თავი მაღლა მთაშია.

ბიჭები ახლა გუდამაყრის ხეობისაკენ მიდიან, მთაზე გადადიან. ისინი სოფელ ჩოხში უნდა ჩავიდნენ და მერე იქიდან ფასანაურის გავლით თბილისში დაბრუნდებიან.

ბიჭები ხშირად დადიან ხევსურეთსა და გუდამაყარში და კარგად იციან გზა ხევსურეთიდან გუდამაყრისაკენ.

მომავალ ზაფხულს ისინი აპირებენ თუშეთისაკენ წასვლას. თუშეთიც საქართველოს მთიანი მხარეა. თუშეთში ასვლა მათ დიდი ხანია უნდათ. მათი მეგობარი ერეკლე თუშია. ის თუშეთიდანაა. სოფელ შენაქოდან. ერეკლე მათთან ერთად წავა და აიყვანს მეგობრებს თუშეთში.

11. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი, მოიძიეთ ადგილისა და მიმართულების აღმნიშვნელი სიტყვები და ამოიწერეთ პირად ლექსიკონში (ნიმუში: ზევით, ჩავიდნენ...).

12. უპასუხეთ კითხვებს:

სად წავიდნენ ბიჭები?

რომელ სოფელში გაათიეს ღამე მეგობრებმა?

რით გაუმასპინძლდნენ ბიჭებს სტუმრები?

რა გზით აპირებენ ბიჭები თბილისში ჩასვლას?

რა გეგმა აქვთ ბიჭებს მომავალი ზაფხულისათვის?

ვინ იქნება მეგობრების მასპინძელი თუშეთში?

13 გაეცანით გეგმას:

14. ამ გეგმის მიხედვით:

I. როგორ მიხვალთ სახლიდან სადგურამდე?

II. როგორ მიხვალთ სახლიდან სკოლამდე?

III. როგორ მიხვალთ სკოლიდან საავადმყოფომდე?

IV. როგორ მიხვალთ სკოლიდან უნივერსიტეტამდე?

გამოიყენეთ სიტყვები:

მარჯვნივ	*დაღმართი*
მარცხნივ	*პირდაპირ*
წინ	*მოსახვევი*
უკან	*აღმართი*

კუთხე (კუთხეში)

ზმნისწინები: გეზი

ზმნას თავში ხშირად დაერთვის ზმნისწინი და ფორმას ახალი მნიშვნელობა ეძლევა: ზმნისწინი ზმნაში მოქმედების მიმართულებას აჩვენებს:

გა–ვიდა, შე–ვიდა, ა–ვიდა, ჩა–ვიდა, გადა–ვიდა...

ზმნისწინები გამოხატავენ:

ა– და ამო–

მოძრაობა ქვევიდან ზევით:



და, ჩა– და ჩამო-

მოძრაობა ზევიდან ქვევით



შე– და შემო–

მოძრაობა შიგნიდან გარეთ



გა– და გამო–

მოძრაობა გარედან შიგნით



გადა– და გადმო–

დაბრკოლების გადალახვა

წა–

მოძრაობა იქით

წამო–

მოძრაობა აქეთ

15. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სათანადო ზმნისწინები:

ა ჩა გა გადა ჩამო წა

რამდენიმე წლის წინ ჩემი დეიდაშვილი ინგლისში .....ვიდა სამუშაოდ. შემდეგ ქმარ-შვილიც .....ვიდა იქ საცხოვრებლად. იქიდან საფრანგეთში ჩავიდნენ, შემდეგ კი ამერიკაში .....ვიდნენ. ახლა იქ ცხოვრობენ. ახლა რამდენიმე დღით .....ვიდნენ თბილისში ნათესავების სანახავად. გუშინ

მთაწმინდაზე .....ვედით, მერე კი ქალაქგარეთაც .....ვედით.

ლექსიკონი

აეროპორტი - Aeroport

არაფრის! - Dəyməz!

აუყვება - Qaldırır, aparır, çatdırır

ემშვიდობება - Sağollaşır

კალათბურთი - Basketbol

ლუდი - Pivə

მაღლა - Yuxarı

მოგზაურობა - Yolçuluq

მოსახლე - Sakin

ქვევით - Aşağı

ქვემოთ - Aşağıya

შეჯიბრი - Yarışma

ძნელი - Çətin

ფრაზები - İFADƏLƏR

მთის წვერი - Dağın zirvəsi

სპორტის სასახლე - İdman Sarayı

ხელოვნების მუზეუმი - İncəsənət muzeyi

გაკვეთილი 8

სად ცხოვრობ?

1. მოისმინეთ დიალოგები: №22, 23, 24

2. უპასუხეთ კითხვებს:

   რა ჰქვია ახალ მასწავლებელს?

   სად ცხოვრობს გურამ მასწავლებელი?

   სად გაიზარდა ნიკა ბერიძე?

   სად სწავლობს ბაგრატ კარაპეტიანი?

   სად ცხოვრობს აჰმედი?

3. დაალაგეთ დიალოგი თანამიმდევრობით (მიუწერეთ ციფრები):

   –გამარჯობა!

   –გაგიმარჯოთ! ბატონო ზურაბ, როგორ ბრძანდებით?

   – არა მიშავს! შენ როგორ ხარ?

   –გმადლობთ ,მე კარგად ვარ.

   –შენი მშობლები როგორ არიან?

   –არა უშავთ, კარგად არიან!

   –დედა სად არის?

   –დედა აქ არის, თბილისში, ის სკოლის მასწავლებელია.

   –მამა?

   –მამა უნივერსიტეტის ლექტორია, ის ახლა აქ არ არის. ინგლისშია, მალე ჩამოვა.

4. კიდევ ერთხელ მოუსმინეთ დიალოგებს და მონიშნეთ, სწორია თუ არასწორი:

თეკლა უნივერსიტეტში სწავლობს	
თეკლა ქუთაისიდანაა	
თეკლას სახლიდან უნივერსიტეტამდე შორია	
თეკლას სახლიდან უნივერსიტეტი ახლოსაა	

5. შეადგინეთ და გაითამაშეთ მსგავსი დიალოგები თქვენი გამოცდილებიდან.

6. წაიკითხეთ დიალოგები:

...

–გიგა... შენ სადაური ხარ?

–მე კახელი ვარ. თელავიდან. შენ?

–მე ქართლელი ვარ, გორიდან.

–საინტერესოა... გორი დიდი ქალაქია?

–არა... გორი დიდი ქალაქი არ არის.

ბ.

–თეკლა, ეს პატარა გოგო ვინ არის, იცნობ?

–რომელი?

–ეი ეს ლამაზი ბავშვი, იქ დგას, მომესალმა და ვერ ვიცანი!

–ის არის ქეთის პატარა და - ანა, შენ იცნობ მას!

– ვწუხვარ, არა, ვერ ვიცანი, სად არის ქეთი?

–ქეთი სოფელში.

–როდის ჩამოდის თბილისში?

–დღეს.

–კარგი, მომიკითხე, ნახვამდის!

–ნახვამდის ელენე!

7. უპასუხეთ კითხვებს:

სადაურია გიგა?

რამხელა ქალაქია გორი?

ქეთის და ლამაზია?

სად არის ქეთი?

როდის ჩამოდის ქეთი?

8. მონიშნეთ, სწორია თუ არასწორი:

გიგა კახელია.	
გორი დიდი ქალაქია.	
ქეთის და დიდია.	
ქეთის და ლამაზია.	
ქეთი დღეს ჩამოდის თბილისში.	

9. წაიკითხეთ ტექსტი:

ნიკა სოფელში დაიბადა. მის სოფელს აგარა ჰქვია. იქ არის მისი სახლი. იმ სახლში გაიზარდა. ნიკას სახლი სოფელში დიდია და ძალიან ლამაზი. სახლში ბევრი ოთახია. ერთი ოთახი ნიკასია. ოთახი დიდია. იქ დგას მაგიდა, სკამი, ტახტი და ტელევიზორი. სახლს დიდი ეზო აქვს. ეზოში ორი თუთის ხე დგას: წითელი და თეთრი. თეთრი თუთის ხე დიდია, წითელი თუთის ხე პატარაა. ეზოში ლამაზი ყვავილები იზრდება: ეზოს ია, ვარდი, გვირილა.

ნიკა სოფლიდან თბილისში ჩამოვიდა. ის ახლა თბილისში ცხოვრობს, სტუდენტია და უნივერსიტეტში სწავლობს. ის კარგი სტუდენტია, კარგად სწავლობს. თბილისის სახლი დიდი არ არის, ეს სახლი პატარაა. ამ სახლში ორი ოთახია, ერთი დიდია და ერთი პატარა. სახლს აქვს სამზარეულო და აბაზანა–ტუალეტი.

ნიკას თბილისის სახლს ეზო არა აქვს. ის დიდი კორპუსის ბინაა. ნიკა უნივერსიტეტიდან შორს არ ცხოვრობს. მისი სახლიდან უნივერსიტეტამდე პატარა გზაა.

10. უპასუხეთ კითხვებს:

სად დაიბადა ნიკა?
რა ჰქვია ნიკას სოფელს?
რამდენი ოთახია ნიკას სახლში?
რა დგას ნიკას ოთახში? ჩამოთვალეთ.
რა ყვავილები იზრდება ნიკას ეზოში?
სად ცხოვრობს ახლა ნიკა?
სად სწავლობს ნიკა?
შორია ნიკას სახლიდან უნივერსიტეტი?

11. გადმოეცით ტექსტის შინაარსი წერილობით:

კითხვითი სიტყვები: სად? საიდან?

მოქმედების ადგილის გასარკვევად დაისმის კითხვები: სად? და საიდან?

სად? ზოგადად ადგილზე მიუთითებს:

სად ხარ? სახლში. სად მიდიხარ? თბილისში მივდივარ...

საიდან? მოქმედების დაწყების ადგილზე მიანიშნებს:

საიდან მოდიხარ?

საიდან? დაისმის წარმომავლობის გარკვევის დროსაც:

საიდან ხარ? სოფელ დიღმიდან ვარ.

12. მონიშნეთ, რომელ წინადადებას დაესმის კითხვა სად?

– სახლიდან მოვდივარ.

– 15 წლის ვარ.

– ქუთაისში მივდივარ.

– გაკვეთილებს ვამზადებ.

13. მონიშნეთ, რომელ წინადადებას დაესმის კითხვა საიდან?

– მე გიორგი ვარ.

– მე ნინოწმინდიდან ვარ.

– მე 16 წლის ვარ.

–თბილისიდან მოცდივარ.

–ში თანდებული

ადგილის გამოხატვის დროს ხშირად გამოიყენება –ში თანდებული, რომელიც რაიმეს შიგნით მდებარეობას აღნიშნავს:

სახლ–ში ვარ; ქალაქ–ში მივდივარ, თბილის–ში ვცხოვრობ...

14. ხაზი გაუსვით –ში თანდებულიან სიტყვებს და ამოიწერეთ:

მე ვცხოვრობ თბილისში, მთაწმინდის რაიონში.

დავიბადე და გავიზარდე სკრაში, ჩემი სოფელი გორის რაიონშია.ჩამოვედი და ვცხოვრობ თბილისში, კრწანისის რაიონში.

ვსწავლობ უნივერსიტეტში. დავიბადე ჯავახეთში, ნინოწმინდის რაიონის სოფელ ფოკაში და გავიზარდე ნინოწმინდაში,

ჩამოვედი და ვცხოვრობ თბილისში, ისნის რაიონში.

დავიბადე და გავიზარდე ქვემო ქართლში, დმანისში, ვცხოვრობ კრწანისის რაიონში, ორთაჭალაში.

_____
_____
_____
_____
_____

-იდან, –მდე თანდებულები

მოქმედების (// მოძრაობის) დაწყების აღსანიშნავად გამოიყენება თანდებული –იდან:
სახლ–იდან წამოვიდა; სოფლ–იდან ჩამოვიდა,
მოქმედების (// მოძრაობის) დასრულების აღსანიშნავად გამოიყენება თანდებული –მდე:
თბილისამდე წამიყვან? სახლამდე მიაცილა...
ადამიანის წარმომავლობის გასარკვევად –იდან თანდებული გამოიყენება:
მე დმანისის რაიონიდან ვარ... არმენი ნინოწმინდის რაიონის სოფელ ფოკიდანაა.

15. ხაზი გაუსვით –იდან, –მდე თანდებულიან სიტყვებს და ამოიწერეთ:

–მე კახელი ვარ. თელავიდან. შენ?
–მე ქართლელი ვარ, გორიდან.
–საბურთალომდე შორია.
–სახლამდე მიაცილა.

–იდან _____
–მდე _____

ლექსიკონი

აბაზანა - Vanna otağı
ახალი - Yeni,təzə
ახლოს - Yaxın,yaxınlıqda
ბავშვი - Uşaq
ბევრი - çox
გაეცნობა - tanışlıq
გვირილა - Çobanyastığı
გზა - yol
დგას - Durur
დღეს - Bu gün
ეზო - Həyət
ესალმება - Salamlaşmaq
ვარდი - qızılgül
თეთრი - Ağ
თუთა - Tut(ağac)
იბადება - Doğulur

იზრდება - Böyüyür
იცნობს - Tanıyır
კორპუსი - Korpus
მაგიდა - Masa,miz
მალე - Tez
მოიკითხავს - Hal-əhval tutmaq
ოთახი - otaq
რაიონი - rayon
რომელი - hansı
სად - hara
სადაური - haralı
საიდან - haradan
სამზარეულო - Mətbəx
სახლი - Ev
სკამი - stul
სკოლა - Məktəb
სოფელი - Kənd
ტახტი - taxt
ტელევიზორი - televizor
ტუალეტი - tualet
ქვემო - Aşağı
შორი - Uzaq
შორს - Uzağa
ჩამოდის - Gəlir (haradansa)
ცხოვრობს - Yaşayır
წუხს - Narahat olur
ხე - Ağac

ფრაზები - İFADƏLƏR

დიდი მადლობა - Çox sağ olun
ერთი წუთით - Bir dəqiqə
მაპატიეთ - Bağışlayın
უღრმესი მადლობა - Dərin təşəkkürlər
ფულს იხდის - Pulu ödəyir
შეიძლება შეგაწუხოთ? - Sizi narahat edə bilərəm?
ძალიან გთხოვ - Çox xahiş edirəm

გაკვეთილი 9

საჭმელი, სასმელი, კვების პროდუქტები

მიცემითი ბრუნვა

მიცემითი ბრუნვა ხშირად გამოიყენება ისეთ შემთხვევებში, როცა მოქმედება ერთი საგნიდან მეორეზე გადადის:

მე ვსვამ	ყავა-ს, წყალ-ს, ლიმონათ-ს...
მე ვჭამ	პურ–ს, ყველ–ს, ხილ-ს...

1. **იხილეთ სქემები:**







2. ამოიწერეთ უცნობი სიტყვები პირად ლექსიკონში და მიუწერეთ თარგმანი.

3. წაიკითხეთ ტექსტი:

კომბოსტო, პამიდორი, კარტოფილი, ბადრიჯანი, სტაფილო, ლობიო, ჭარხალი, კიტრი – ბოსტნეულია.

ჭერამი, გარგარი, ვაშლი, მსხალი, ატამი, ბალი, მარწყვი, ყურძენი – ხილია.

წყალი, კაკაო, ჩაი, რძე, ღვინო, ლიმონათი, ყავა – სასმელია.

სასმელს ვსვამთ ჭიქით, საჭმელს ვჭამთ დანა-ჩანგლით.

4. რომელი ბოსტნეულის, სასმელის და ხილის სახელები იცით კიდევ? ჩამოთვალეთ:

სასმელი	ბოსტნეული	ხილი
_____	_____	_____
_____	_____	_____
_____	_____	_____
_____	_____	_____

მოქმედებითი ბრუნვა (ხელ-ით, ჩანგლ-ით, კოვზით)

მოქმედებითი ბრუნვა აღნიშნავს საგანს (ინსტრუმენტს), რომლითაც (რომლის გამოყენებითაც, რომლის მეშვეობითაც) ხორციელდება მოქმედება:

ჩანგლით ვჭამ

ჭიქით ვსვამ წყალს

კოვზით ვჭამ ფაფას

მოქმედებითი ბრუნვის ნიშანია –ით:

დან–ით, ჩანგლ–ით, თეფშ–ით...

5. ამოიწერეთ ტექსტიდან მოძმედებითი ბრუნვის ფორმები.

6. მიუწერეთ სათანადო მოძმედებითი ბრუნვის ფორმა

ხელ-ი – _____

ფეხ-ი – _____

გულ-ი – _____

7. მოისმინეთ ტექსტი №25:

8. უცნობი სიტყვები ამოიწერეთ პირად ლექსიკონში და განმარტეთ.

9. ახალ სიტყვებზე ააგეთ 10 წინადადება და წარმოთქვით.

10. მიუწერეთ, სწორია თუ არასწორი:

ბადრიჯანი ტკბილია. _____

კომბოსტო მწარე არ არის. _____

ჩემთვის არ შეიძლება შემწვარი და ცხარე საჭმელები. _____

ყველაფერი ძალიან გემრიელია. _____

ატამი და ვაშლი არ მიყვარს. _____

11. მოისმინეთ დიალოგები №26:

12. შეაერთეთ კითხვასთან სწორი პასუხი:

რა იყიდება სურსათის მაღაზიაში?	ახლა მარიამი მაღაზიაშია და ხორცს ყიდულობს.
რას ყიდულობს სურსათის მაღაზიაში მარიამი?	ხინკალი ადუღებულ წყალში იხარშება.
რას ყიდულობს ახლა მარიამი?	სურსათის მაღაზიაში იყიდება კვების პროდუქტები და სასმელები.
რა მოიტანა მამამ პარკით?	მარიამი სურსათის მაღაზიაში ყიდულობს პურს, ყველს, შაქარს, კარაქს, კვერცხს.
რაში იხარშება ხინკალი?	მამამ მოიტანა ლიმონათი, მინერალური წყალი და წვენები.

13. უცნობი სიტყვები მოკებნეთ, განმარტეთ და ამოიწერეთ თქვენს პირად ლექსიკონში.

14. ახალ სიტყვებზე ააგეთ 5 წინადადება და დაწერეთ.

_____

_____

_____

_____

15. კიდევ ერთხელ მოუსმინეთ დიალოგს (№26) და გაითამაშეთ.

ზმნის მომავალი და წარსული დრო

ჩვენ ვისწავლეთ არის ზმნის უღლება წარსულსა და მომავალ დროებში. სადილობს, ჭამს ზმნები განსხვავებულად იუღლებიან (მესამე პირში განსხვავებულ ნიშნებს დაირთავენ როგორც მხოლობით, ისე მრავლობით რიცხვში:

შევადაროთ:

ახლანდელი დრო

	მხ.რ.		მრ.რ.	
1	ვ–სადილობ	ვ–არ	ვ–სადილობ–თ	ვ–არ–თ
2	სადილობ	ხ–არ	სადილობ–თ	ხ–არ–თ
3	სადილობ–ს	არი–ს	სადილობ–ენ	არი–ან

	წარსული დრო		მომავალი დრო	
	მხ.რ.	მრ.რ.	მხ.რ.	მრ.რ.
1	ვისადილე	ვისადილეთ	ვისადილებ	ვისადილებთ
2	ისადილე	ისადილეთ	ისადილებ	ისადილებთ
3	ისადილა	ისადილეს	ისადილებს	ისადილებენ

ჭამ-ს, სვამ-ს ზმნების უღლება

ზმნები ჭამს, სვამს - ახლანდელ დროს გამოხატავენ:

ახლანდელ დროში პირების მიხედვით ზმნები ასე იცვლებიან:

	მხოლობითი რიცხვი		მრავლობითი რიცხვი
I	(მე) ვ-ჭამ	(მე) ვ-სვამ	(ჩვენ) ვ-ჭამ-თ(ჩვენ) ვ-სვამ-თ
II	(შენ) ჭამ	(შენ) სვამ	(თქვენ) ჭამ-თ(თქვენ) სვამ-თ
III	(ის) ჭამ-ს	(ის) სვამ-ს	(ისინი) ჭამ-ენ(ისინი) სვამ-ენ

16. აიღეთ ნიმუშად ზმნა *სადილობს* და აუღლეთ ზმნა *ჭამს* მომავალ და წარსულ დროებში.

	წარსული დრო			მომავალი დრო	
1					
2					
3					

17. შეადგინეთ წინადადებები სადილობს, ჭამს, სვამს ზმნების სხვადასხვა დროის ფორმების გამოყენებით.

ლექსიკონი

აგემოვნებს - Dadına baxır, dadır
ადუღებს - Qaynadır
აკეთებს - Düzəldir
ატამი - Şaftalı
ბადრიჯანი - Badımcan
გაკეთებული - Hazırlanmış
გემრიელი - Dadlı,ləzzətli
დესერტი - Desert
ეხმარება - Kömək edir
ვაშლი - Alma
ვენახი - Üzümlük
თეფში - Boşqab
ინახავს - Saxlayır
კარაქი - Yağ
კარტოფილი - Kartof
კვერცხი - Yumurta
კომბოსტო - Kələm
კრეფა - Yığım
ლიმონათი - Limonad
მარილი - Duz
მეტრი - Metr
მოსული - Gəlmiş
მოხარშული - Qaynadılmış
მსხალი - Armud
მწვადი - Kabab
პარკი - Paket
პური - Çörək
რთველი - Üzüm yığımı
საჭმელი - Xörək
სვამს - Içir
სინჯავს - yoxlayır
სუფრა - Süfrə
ტკბილი - Şirin
ტონა - Ton
უკან - Arxa
ქათამი - Toyuq
ღვეზელი - qutab
ღვინო - Çaxır
ყურძენი - Üzüm
შემწვარი - Qızardılmış
ჩანთა - Çanta
ცხარე - qaynar
წვენი - Şirə(içki)
წინ - Qabaq,ön
წურავს - Şirə çəkir
წყალი - Su
ხაჭაპური - Xaçapuri
ხილი - Meyvə
ხინკალი - Xəngəl
ხორცი - ət

ფრაზები - İFADƏLƏR

გემრიელად მიირთვით - Nuş olsun

მინერალური წყალი - Mineral su

სურსათის მაღაზია - Ərzaq mağazası

გაკვეთილი 10

ქართული სუფრა

1. მოისმინეთ დიალოგები № 27, 28

2. დავასრულოთ წინადადებები:

   დღეს ჩემი ძმის, გუგას ——————————————

   გილოცავთ, ძალიან გამიხარდა, ——————————————.

   დიდი სუფრა ——————————————.

   კარგი, ნახვამდის, ——————————————!

   დაბრძანდით, თუ შეიძლება მაგიდასთან. ნიკა, ——————————————.

   უფროსები იქით ——————————————.

   ნოდარი ბიძია სად ——————————————?

   მწვადი შამფურებზე ——————————————.

3. მონიშნეთ, სწორია თუ არასწორი:

დღეს თეას ძმის, გუგას დაბადების დღეა.	
ამ საღამოს გუგასთან იქნებიან გუგას ბიძა, ბიცოლა, მამიდა და დეიდები, ბიძაშვილები და მამიდაშვილები. გუგას მეგობრებიც მოვლენ.	
გუგას პატარა სუფრა ექნება.	
თამადა იქნება გუგა.	
ნოდარი ბიძია თამადაა, ის სუფრის თავში დაჯდება.	
დედა და ბებია გაშლიან სუფრას, შემოიტანენ კერძებს და დასხდებიან.	
მწვადი ქვაბში იწვება.	

4. კიდევ ერთხელ მოუსმინეთ დიალოგებს და გაითამაშეთ.

5. წაიკითხეთ ტექსტი:

ახალი წლის სუფრა

ქართულ ოჯახებში ახალი წლის ღამეს სუფრა იშლება ხოლმე. სუფრას თორმეტი საათისთვის აწყობენ. თორმეტი საათისთვის სუფრა უკვე გაწყობილია. ახალ წელს ოჯახის წევრები ხვდებიან ერთად. სუფრაზე დებენ ტკბილეულს, ხილს, სასმელს:

ღვინოს შამპანურს, კონიაკს, თხილსა და წაბლს. ახალი წლის სუფრაზე აუცილებლად დებენ გოზინაყს, ჩურჩხელას და ჩირს.

გოზინაყს ნიგვზითა და თაფლით აკეთებენ. ის ძალიან ტკბილი და გემრიელია. გოზინაყი მხოლოდ ახალი წლის სუფრისთვის კეთდება.

თორმეტ საათზე ახალი წელი დგება. ამ დროს ოჯახის წევრები ულოცავენ ერთმანეთს ახალ წელს და სვამენ ახალი წლის სადღეგრძელოს.

პირველ იანვარს, სტუმრები მოდიან ხოლმე სახლში.

ახლა უკვე დიდი საახალწლო სუფრა იშლება. საახალწლო სუფრის მთავარი კერძია საცივი. საცივი ცივი კერძია. მას ინდაურის ან ქათმის ხორცისაგან აკეთებენ. საცივი გემრიელი საჭმელია. სუფრაზე საცივის გარდა დევს სალათა, თევზი – შემწვარი და მოხარშული, ხაჭაპური, კუჭმაჭი, ფხალი, ბაჟე და, რა თქმა უნდა, მწვადი.

ქართულ სუფრას თავისი წესი აქვს. სუფრისთვის თამადას ირჩევენ. თამადას ოჯახის უფროსი ირჩევს. სტუმრები გაშლილ მაგიდასთან სხდებიან. თამადა სუფრის თავში ჯდება. ის იწყებს და ამთავრებს სუფრას, ის ამბობს პირველ და ბოლო სადღეგრძელოს. სუფრის წევრები უსმენენ, მერე სვამენ ამ სადღეგრძელოს. ქართული სუფრა თამადის გარეშე არ შეიძლება.

სუფრაზე მოაქვთ დესერტი: ხილი, ტკბილეული და ყავა.

ახალი წლის სუფრა დიდხანს გრძელდება.

6. უპასუხეთ კითხვებს:

რა ხდება ქართულ ოჯახებში ახალი წლის ღამეს?

რომელი საათისთვის აწყობენ ხოლმე სუფრას?

რას დებენ საახალწლო სუფრაზე?

რისგან კეთდება გოზინაყი?

რომელ საათზე ულოცავენ ოჯახის წევრები ერთმანეთს ახალ წელს?

რა კერძები კეთდება საახალწლო სუფრისთვის?

ვინ იწყებს და ამთავრებს საახალწლო სუფრას?

რამდენ ხანს გრძელდება ახალი წლის სუფრა?

7. თქვენი სიტყვებით აღწერეთ ახალი წლის სუფრა და დაწერეთ.

8. წაიკითხეთ ტექსტი:

დაბადების დღე

დღეს გუგას დაბადების დღეა, ამ საღამოს გუგასთან მისი ნათესავები და მეგობრები არიან. გუგა უკვე თორმეტი წლისაა. დღეს დიდი სუფრა გაიშლება. დედა და ბებო საჭმელებს ამზადებენ. ბებოს თეფშები და ჭიქები შემოაქვს და მაგიდას შლის. თეა დანა-ჩანგალს და ჭიქებს აწყობს მაგიდაზე. მაგიდაზე დებენ ცივ კერძებს: სალათებს, კუჭმაჭს, ფხალს, თევზს, ყველს და მჟავე კიტრსა და ჯონჯოლს. მერე ამატებენ ხაჭაპურს.ხაჭაპური ცხელია. დედა სტუმრებისთვის მაგიდაზე ალაგებს თეფშებს ღომით. ცხელ ღომი და ყველი ძალიან გემრიელია. ღომს საცივთან ან ბაჟესთან ერთად ჭამენ.

სუფრაზე შემოაქვთ ცხელი კერძები: ყაურმა, ხაშლამა, მწვადი, ჩაქაფული.

სუფრას თამადა ჰყავს. ამ სუფრის თამადა, გუგას ბიძაა, გუგას მამის ძმა.

სტუმრები ულოცავენ გუგას დაბადების დღეს.

ქართული ლხინი დიდხანს გრძელდება. ლხინის სუფრას ქართულად პურმარილი ჰქვია. სტუმრები და მასპინძლები ილხენენ. მღერიან, ცეკვავენ, სვამენ შამპანურს, ღვინოს ან ლიქიორს.

ლხინს თამადა ამთავრებს.

სტუმრები გვიან მიდიან. დედა და ბებია სუფრას ალაგებენ. თეა და გუგა ეხმარებიან ბებიას და დედას. დედამ ერთად დაალაგა თეფშები და ჭიქები და გუგა მათ ახლა სამზარეულოში გაიტანს. თეა სუფრას ალაგებს. მან სამზარეულოდან ჯამი გამოიტანა, ის დანა-ჩანგალს ერთ ჯამში აწყობს და მერე გაიტანს სამზარეულოში.

ისინი სუფრას ერთად უფრო მალე აალაგებენ და მერე ლოგინებს გაშლიან. გუგას და თეას ძალიან ეძინებათ.

9. უპასუხეთ კითხვებს:

ვისი დაბადების დღეა დღეს?

ვინ არიან ამ საღამოს გუგასთან?

რამდენი წლის გახდა გუგა?

ვინ ამზადებს საჭმელებს?

რას დებენ თავიდან სუფრაზე?

რასთან ერთად ჭამენ ღომს?

რომელი ცხელი კერძები შემოაქვთ სუფრაზე?

რა ჰქვია სხვანაირად ქართულ სუფრას?

ვინ იწყებს და ამთავრებს ქართულს სუფრას?

10. წაიკითხეთ ტექსტი:

ქართული სუფრა.

ქართველებს ლამაზი *სუფრა* უყვართ. სუფრა ყოველთვის *უხვია – ნაირნაირი კერძებით გაწყობილი.*

მაგიდაზე ჯერ დაალაგებენ *ჭურჭელს:* თეფშებს, დანა-ჩანგალს და ჭიქებს. შემდეგ აუცილებლად მარილს და პურს, რაც, ქართველების *აზრით, მთავარია,*

რადგან ლხინის სუფრას ქართულად *პურმარილი* ჰქვია – ასე ამბობენ: „კარგი პურმარილი ჰქონდა", ანუ კარგი სუფრა გაშალაო.

სუფრაზე საჭმელი და კერძები ბევრი შემოაქვთ. ჯერ ცივი კერძები – *სალათები, საცივი,* სოკო, *თევზი,* ყველი, *მოხარშული* და *შემწვარი ხორცი, მჟაე, მწვანილი.* შემდეგ კი შემოაქვთ ცხელი კერძები – ჯერ აუცილებლად *ხაჭაპური,* მერე კი *ხორციანი კერძები.*

სუფრაზე აუცილებელია ქართული ღვინო. განსაკუთრებით კარგი სასმელია კახური ღვინო. სხვა სასმელები კი *შერჩევითაა.*

ქართული ლხინი დიდხანს გრძელდება. ბოლოს დესერტი შემოაქვთ – ხილი, ტკბილეული და ცხელი სასმელი – ჩაი ან ყავა.

ქართულ სუფრას თავისი წესი აქვს. სუფრა *თამადას* მიჰყავს. იგი *არჩეულია.*

ქართული კერძები

I. ცხელი კერძები:

ჩაქაფული – ცხვრის ხორცისგან გაკეთებული *წვნიანი* კერძი *ტყემლით.*

ხაშლამა – მოხარშული ძროხის ხორცი მწვანილით.

ყაურმა – *შიგნეულობისგან დამზადებული* წვნიანი.

მწვადი – *შამფურზე* შემწვარი ხორცი.

ხინკალი – *ცომში გახვეული* და ისე მოხარშული ხორცი.

ღომი – მოხარშული სიმინდის *ფქვილისგან* გაკეთებული კერძი.

ხაჭაპური – ყველი, ცომში გახვეული და *გამომცხვარი.*

10. ამოიწერეთ ახალი სიტყვები და დაისწავლეთ.

11. დაწერეთ მცირე ზომის ტექსტი: „ჩემი დაბადების დღის სუფრა“.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

ზედსართავი სახელი

ზედსართავი სახელი საგნის რაიმე თვისებას გამოხატავს:

ბრაზიანი კატა

დიდი მაგიდა

კარგი ბურთი

მალალი პოლიციელი

12. ტექსტიდან ამოიწერეთ ზედსართავი სახელები.

_____

_____

_____

ზედსართავი სახელის ბრუნება არსებითთან ერთად

ხმოვნით დასრულებული ზედსართავი სახელები არსებით სახელთან ერთად ბრუნებისას საერთოდ არ იცვლიან ფორმას:

სახ.	სუფთა	სახლ-ი
მოთხ.	სუფთა	სახლ-მა
მიც.	სუფთა	სახლ-ს
ნათ.	სუფთა	სახლ-ის
მოქმ.	სუფთა	სახლ-ით
ვით.	სუფთა	სახლ-ად
წოდ.	სუფთა	სახლ-ო

თანხმოვანზე დაბოლოებული ზედსართავი არსებით სახელთან ერთად ბრუნებისას შემდეგ თავისებურებებს გვიჩვენებს: დაირთავს –ი სუფიქსს სახელობითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში, დაირთავს –მა სუფიქსს მოთხრობითში, დაირთავს –ო სუფიქსს

წოდებითში და ფუძის სახითაც გვხვდება მაშინ, როცა მისი თანმხლები არსებითი სახელი მიცემითსა და ვითარებითშია:

სახ.	მაღალ-ი	სახლ-ი
მოთხ.	მაღალ-მა	სახლ-მა
მიც.	მაღალ	სახლ-ს
ნათ.	მაღალ-ი	სახლ-ის
მოქმ.	მაღალ-ი	სახლ-ით
ვით.	მაღალ	სახლ-ად
წოდ.	მაღალ-ო	სახლ-ო

13. ამოიწერეთ ტექსტიდან ზედსართავისა და არსებითის ერთად გრუნების მაგალითები.

_____

_____

_____

_____

14. მიუწერეთ საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვა (ანტონიმი):

ცხელი – _____

მსუბუქი – _____

ბევრი – _____

დიდი – _____

გრძელი – _____

თბილი – _____

ძვირი – _____

მეტი – _____

15. ერთად აბრუნეთ სახელები:

სახ.	დიდი	მაღაზია
მოთხ.	_____	
მიც.	_____	
ნათ.	_____	
მოქმ.	_____	
ვით.	_____	
წოდ.	_____	

ლექსიკონი

გაიტანს - Çıxaracaq, ötürəcək
გარეშე - Xaricində
გაწყობილი - Düzəldilmiş, bəzədilmiş, təchiz edilmiş
თამადა - Tamada
თევზი - Balıq
ინდაური - Hind toyuğu
ირჩევს - seçir
იწვება - yanır
კერძი - Yemək
კიტრი - Xiyar
კუჭმაჭი - Içalat
ლოგინი - Yataq
ლხინი - Məclis
სადღეგრძელო - sağlıq
სალათა - Salat
საცივი - sasivi
ტკბილეული - Şirniyyat
ულოცავს - Təbrik edir
ფხალი - pxali
ღომი - Ğomi
ყაურმა - qovurma
შამფური - Şiş(kabab üçün)
შემოაქვს - Içəri(gətirir)
ჩანგალი - Çəngəl
ჩაქაფული - Çakapuli
წესი - Qayda
ჭამს - Yeyir
ჭიქა - Stəkan
ხაშლამა - Xaşlama
ჯამი - Cam
ჯდება - Oturur

ფრაზები - İFADƏLƏR

ლოგინს შლის - Yataq açır
მჟავე კიტრი - Xiyar turşusu
ოჯახის წევრი - Ailə üzvü
რა თქმა უნდა - Əlbəttə ki
საახალწლო სუფრა - Yeni il süfrəsi
სუფრის გაშლა - Süfrə açmaq
სუფრის გაწყობა - Süfrəni düzmək
სუფრის თავში - Süfrənin başında

გაკვეთილი 11

ცხოველები და ფრინველები

შინაური ცხოველებია:

კატა



ძაღლი



ცხენი



ძროხა



ხარი

კამეჩი



ღორი

თხა



ცხვარი

გარეული ცხოველებია:

დათვი

ვეფხვი

ლომი

მელია

ირემი

მგელი

კურდღელი

შინაური ფრინველებია:

ქათამი

იხვი

ინდაური

ბატი

გარეული ფრინველებია:

ბუ

მტრედი

თუთიყუში

მერცხალი

არწივი

1. ამოიწერეთ ცხოველებისა და ფრინველების დასახელებები თქვენს პირად ლექსიკონში. მიუწერეთ თარგმანი.

* * *

ფრინველები კვერცხებს დებენ.

ვდებ – დავდებ – დავდე

2. კიდევ რომელი ცხოველების და ფრინველების სახელები იცით? ჩამოთვალეთ:

3. წაიკითხეთ ტექსტი:



ძროხა ზმუის.
ცხვარი ბღავის.
ცხენი ჭიხვინებს.
ღორი ღრუტუნებს.
ძაღლი ყეფს.
კატა კნავის.
დედალი კაკანებს.
მამალი ყივის.

3. მოისმინეთ ტექსტი № 29.

4. პასუხეთ კითხვებს:

რას უწოდებდნენ ძველი ბერძნები ბეჰემოთს?

ა) წყლის ცხენს

ბ) დიდ ცხოველს

გ) დიდ ცხენს

რომელია ბეჰემოთის სამშობლო?

ა) აფრიკა

ბ) საბერძნეთი

გ) სამხრეთ ამერიკა

რატომ წვანან ბეჰემოთები დღისით წყალში?

ა) იმიტომ, რომ აფრიკის სიცხეში სიგრილე შეინარჩუნონ.

ბ) იმიტომ, რომ მხოლოდ ცურვა შეუძლიათ.

გ) იმიტომ, რომ ზარმაცები არიან.

5. ტექსტის მიხედვით ჩაწერეთ ინფორმაცია:

როგორი გარეგნობა აქვს ბეჰემოთს?

_____

_____

_____

_____

6 მოისმინეთ ტექსტი №30.

7. პასუხეთ კითხვებს (შემოხაზეთ სწორი პასუხები):

კატა ერთ წამსაც არ გაიჩერებდა ტანზე ჭუჭყს, რადგან:

ა. პატრონის ეშინოდა, ჭუჭყიანი რომ ენახა.

ბ. მხოლოდ სუფთა ბეწვზე მოეფერებოდა პატრონი.

გ. სიუფთავე ძალიან უყვარდა.

დ. ჭუჭყიანს სახლში არ შეუშვებდნენ.

ვის ეჯავრებოდა კატა ყველაზე მეტად?

ა. მეზობლებს

ბ. უცხო გამვლელებს

გ. ბავშვებს .

დ. თაგვებს.

8. რისთვის გამოდიოდნენ თაგვები სოროებიდან ღამღამობით?

9. როგორ შეძლო კატამ თაგვის დაჭერა აღწერეთ თქვენი სიტყვებით?

10. ჩამოთვალეთ ყველაფერი, რაც კატისთვისაა დამახასიათებელი.

11. როგორ დაწერდით ტექსტს 2-3 წინადადებით?

12. წაიკითხეთ და დაიმახსოვრეთ:

გარეული ცხოველები და ფრინველები

ლომი, ვეფხვი, დათვი, მელა, მგელი, ციყვი, გარეული ცხოველები არიან. ლომი, ვეფხვი, დათვი, მელა, მგელი მტაცებელი ცხოველები არიან. ციყვი არ არის მტაცებელი ცხოველი. ის ხეზე, ფუღუროში ცხოვრობს. ფუღუროში აგროვებს კაკალს, თხილს, გირჩებს. ციყვს დიდი თვალები და გრძელი კუდი აქვს.

ლომი ძლიერი ცხოველია. მას ცხოველების მეფეს ეძახიან.

ვეფხვიც ძლიერია. ვეფხვი მარტო ცხოვრობს. დათვიც მარტო ცხოვრობს. დათვს ძალიან უყვარს თაფლი, მაყვალი. ზამთარში დათვს თბილად სძინავს. ის გაზაფხულზე იღვიძებს. მელა წიწილებს იპარავს. ის მოხერხებული და ცბიერია. მგელი ძაღლს ჰგავს. მგელი მარტო არ ცხოვრობს. მგლების ხროვა ერთად დადის სანადიროდ. ისინი ღამით დადიან.

ზამთარში ტყეში არ არის საკვები ისინი ხშირად სოფელში ჩამოდიან. მგელი ძალიან საშიში ცხოველია.

არწივი, ქორი, ძერა, ხოხობი, ბულბული გარეული ფრინველები არიან. არწივი, ქორი და ძერა მტაცებელი ფრინველები არიან. ხოხობი და ბულბული არ არიან მტაცებლები.

არწივს ფრინველთა მეფეს ეძახიან. ის დიდია და ძლიერი. არწივი იტაცებს კურდღელს, მელიას, სხვა ფრინველებსა და ცხოველებს.

ქორი და ძერა უფრო პატარები არიან, ისინიც მტაცებლები არიან. სოფელში ძალიან ეშინიათ ქორისა და ძერასი. ისინი შინაურ ფრინველებს იტაცებენ.

ხოხობი ქათამს ჰგავს. ის პატარაა. ხოხობზე ნადირობენ. ბულბულიც პატარაა. ის ძალიან კარგად გალობს.

13. ამოიწერეთ ახალი სიტყვები პირად ლექსიკონში და განმარტეთ.

14. უპასუხეთ კითხვებს:

რომელ ცხოველს უწოდებენ „ცხოველთა მეფეს“?
რომელი გარეული ცხოველი ცხოვრობს მარტო?
რით იკვებება დათვი?
რომელი ცხოველი ატარებს ზამთარს ძილში?
რომელია ყველაზე მოხერხებული ცხოველი?
რომელი ფრინველები იტაცებენ შინაურ ცხოველებს?
რომელ ფრინველს უწოდებენ „ფრინველთა მეფეს“?
რომელი ფრინველი გალობს ძალიან ლამაზად?

15. ახალი სიტყვების გამოყენებით დაწერეთ მცირე ზომის მოთხრობა.

_____
_____
_____
_____
_____
_____

ხმოვანფუძიანი და თანხმოვანფუძიანი სახელები

არსებითი სახელი ქართულში ან ხმოვანზე ბოლოვდება, ან თანხმოვანზე.

ხმოვანზე დაბოლოებული სახელებია:

დედა, მამა, ძმა, ხე, უთო, კუ...

თანხმოვანზე დაბოლოებულ სახელებს სახელობით ბრუნვაში აუცილებლად –ი დაბოლოება დაერთვის:

კაც–ი, ბიჭ–ი, ქალ–ი, გაზაფხულ–ი, იანვარ–ი...

ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებს ნათესაობით ბრუნვაში ან ეს ხმოვანი ეკარგებათ *(დედა – დედ–ის, მამა – მამ–ის, ხე – ხ–ის...)*, –ო-ზე და უ–ზე დაბოლოებული სახელები კი მხოლოდ –ს დაბოლოებას დაირთავენ:

უთო–ს, კუ–ს...

16. მიუწერეთ ნათესაობითი ბრუნვის ფორმები სახელებს

მამა - _____

ყინვა - _____

თვე - _____

მზე - _____

წვიმა - _____

დღე - _____

17. მიუწერეთ ნათესაობითი ბრუნვის ფორმები სახელებს

კუ – _____

რუ – _____

გოგო – _____

ნინო – _____

ხბო – _____

უყვარ-ს, მოსწონ-ს ზმნების უღლება

უყვარს, მოსწონს ზმნები თავისებური ზმნებია. მათი უღლება განსხვავებულია:

ახლანდელი დრო

	მხ. რ.			*მრ. რ.*	
მე	მ–იყვარ–ს	მე	მო–მ–წონ–ს	ჩვენ გვ–იყვარ–ს	ჩვენ მო–გვ–წონ–ა
შენ	გ–იყვარ–ს	შენ	მო–გ–წონ–ს	თქვენ გ–იყვარ–თ	თქვენ მო–გ–წონ–თ
მას	უყვარ–ს	მას	მო–ს–წონ–ს	მათ უყვარ–თ	მათ მო–ს–წონ–თ

მომავალი

	მხ. რ.			*მრ. რ.*	
მე	მ–ეყვარებ–ა	მე	მო–მ–ეწონებ–ა	ჩვენ გვ–ეყვარებ–ა	ჩვენ მო–გვ–ეწონებ–ა
შენ	გ–ეყვარებ–ა	შენ	მო–გ–ეწონებ–ა	თქვენ გ–ეყვარებ–ა–თ	თქვენ მო–გ–ეწონებ–ა–თ
მას	ეყვარებ–ა	მას	მო–ეწონებ–ა	მათ ეყვარებ–ა–თ	მათ მო–ეწონებ–ა–თ

წარსული

	მხ. რ.			*მრ. რ.*	
მე	მ–იყვარდ–ა	მე	მო–მ–წონდ–ა	ჩვენ გვ–იყვარდ–ა	ჩვენ მო–გვ–წონდ–ა
შენ	გ–იყვარდ–ა	შენ	მო–გ–წონდ–ა	თქვენ გ–იყვარდ–ა–თ	თქვენ მო–გ–წონდ–ა–თ
მას	უყვარდ–ა	მას	მო–ს–წონდ–ა	მათ უყვარდ–ა–თ	მათ მო–ს–წონდ–ა–თ

18. შეადგინეთ 5–5 წინადადება მიყვარს, მომწონს ზმნების სხვადასხვა პირისა და დროის ფორმების გამოყენებით

ლექსიკონი

აგროვებს - toplayır
ავი - Hirsli
აპურებს - Çörək verir(məcazi)
არწივი - qartal
ბალახი - Ot
ბატი - Qaz
ბაჭია - Dovşan balası
ბეღურა - Sərçə
ბულბული - Bülbül
ბღავილი - Bağırtı, mələmə, böyürmə
გალობს - Aydın səslə mahnı oxuyur
გამოათრევს - Sürüyüb çıxardır
გამორბის - Qaçır
გაფრინდება - Uçacaq
გირჩი - Qoza
გოჭი - Donuz balası
დაათრევს - Sürüyür
დათვი - Ayı
ვეფხვი - Pələng
ზმუის - Böyürür(alçaqdan)
თაგვი - Siçan
თხა - Keçi
თხილი - Fındıq
იკბინება - Dişləyir
იტაცებს - Oğurlayır
იცინის - Gülür
ირვი - Ördək
კაკალი - Qoz
კაკანებს - Qaqqıldayır
კეთილი - Uğurlu,xoş
კიკინებს - Mələyir
კნავის - Miyoldayır
კნუტი - Pişik balası
კურდღელი - Dovşan
ლომი - Şir
მამალი - Xoruz
მარცვალი - Dən
მგელი - Canavar
მებატე - Qaz saxlayan
მელა - tülkü
მეცხვარე - çoban
მოფერება - sığallamaq
მოხერხებული - əlverişli
მტრედი - Göyərçin
მშიერი - Ac
ნაგაზი - Qurdbasan
საკენკი - Quş dənliyi
საქმე - Iş
საყვარელი - Sevimli
სულელი - Ağılsız
სუნი - Iy,qoxu
სძინავს - Yatır
ტეხს - Qırır,sındırır
უდებს - Qoyur
უვლის - Qulluq edir
უქნევს - Yırğalayır, yelləyir, əsdirir
ფუღურო - Koğuş
ქორი - qırğı
ღმუის - ulayır
ღორი - Donuz
ღუღუნებს - Quruldayır
ყივის - banlayır
ჩამორეკავს - Zəng çalır
ცბიერი - Hiyləgər, məkrli, məharətli
ცოყვი - Dələ
ცხვარი - Qoyun
ძერა - Çərpələng
ძლიერი - gწclწ
ძროხა - Inək
წევს - Uzanır
წიწილა - Cücə
ჭიხვინებს - Kişnəyir
ხბო - Dana,buzov
ხმა - Səs
ხოხობი - Qırqovul
ჯიში - Növ,çeşid
ჰგონია - Elə fikirləşir

ფრაზები - İFADƏLƏR

გარეული ცხოველი - Çöl heyvanı

ინდაურის ჭუკი - Hinduşka balası

მგლების ხროვა - Canavarların ulaşması

მტაცებელი ფრინველი - Yırtıcı quş

მტაცებელი ცხოველი - Yırtıcı heyvan

შინაური ცხოველი - Ev heyvanı

გაკვეთილი 12

ჩემი სოფელი

1. გაეცანით ნახატს:

2. რა სიტყვები იცით? ჩამოთვალეთ.

3. ამოიწერეთ სიტყვები, რომლებიც ვერ გაიგეთ; დაიხმარეთ ლექსიკონი.

4. თქვენი სიტყვებით აღწერეთ ნახატი.

5. მოისმინეთ ტექსტი №31.

6. დაიმახსოვრეთ და ჩაიწერეთ პირად ლექსიკონში ახალი სიტყვები:

7. ახალი და ადრე შესწავლილი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით, ააგეთ დიალოგები წყვილებში (დავალებას ასრულებს ინდივიდუალურად ყველა სტუდენტი).

8. მოისმინეთ დიალოგები №32,33:

9. ახალ სიტყვებზე ააგეთ დიალოგები და გაითამაშეთ ერთმანეთში (დაიყავით წყვილებად).

10. მოისმინეთ ტექსტი №34:

11. გადმოეცით შინაარსი თქვენი სიტყვებით.

12. წაიკითხეთ ტექსტი:

* * *

გაზაფხულზე ქალაქი ლამაზია, მაგრამ სოფელი განსაკუთრებით ლამაზია, ულამაზესია. ამ გაზაფხულზე ჩემს მეგობართან ერთად სოფელში წავედი პაპასთან და ბებიასთან.

პაპა და ბებია ბოლნისის რაიონის ერთ პატარა და ლამაზ სოფელში ცხოვრობენ. მათ კარგი მეურნეობა აქვთ: ყანა, ბაღი ხილისთვის, ვენახი, რომელსაც პაპა უვლის და კარგი ბოსტანი, სადაც ბებია მუშაობს ხოლმე.

* * *

გიორგი ჩემი მეგობარია. იგი თბილისელია, ჩემთან ერთად სწავლობს. გიორგი ქვემო ქართლში, საქართველოს ულამაზეს კუთხეში, არასოდეს ყოფილა. მას ძალიან მოეწონა იქაურობა, განსაკუთრებით კი ჩვენი სოფელი.

ბებია და პაპა გახარებულები იყვნენ ჩვენი მისვლით.

პაპას ხისგან გაკეთებული დიდი ორსართულიანი სახლი აქვს. პირველ სართულზე ერთი ოთახი და მარანია, მეორე სართულზე კი ხუთი ოთახი – სამი საძინებლებისთვის, ერთი ოთახი სტუმრებისთვის და ერთიც - კაბინეტი ჩემთვის. როცა მივდივარ, ამ ოთახში ვიძინებ ხოლმე. აქ წიგნის თაროები და ბევრი წიგნია. მე კითხვა ძალიან მიყვარს. ეს იცის პაპამ და ეს ოთახი თავისი შვილიშვილისთვის მოაწყო.

სახლს წინ დიდი ეზო აქვს. ეზოში ხილის ხეებია. სახლის უკან ვენახია, სახლის გვერდით კი ბოსტანია. სახლს წინა მხარეს რკინისგან გაკეთებული კიბე აქვს. კიბით აივანზე ადიხარ. ზაფხულობით ჩემი ბიძაშვილები და მამიდაშვილები აივანზე ვიკრიბებით და დიდხანს ვსაუბრობთ, ვხუმრობთ, ვიცინით, ვთამაშობთ.

გიორგიმ ერთ-ერთ საძინებელში დაიძინა. აქ დგას ორი საწოლი, კარადა, პატარა მაგიდა, სამი სკამი და ერთი სავარძელი. ოთახი ნათელია. აქვს ორი ფანჯარა, კარებთან კი სარკეა დაკიდებული.

მე ძალიან მიყვარს პაპაჩემის სოფელი და ჩვენი სახლი. პაპას ძალიან კარგი მეზობლები ჰყავს. მეც სოფელში ბევრი ამხანაგი, მეგობარი, ნაცნობი და ახლობელი მყავს. ჩვენ მათაც ვესტუმრეთ.

ჩვენს სოფელში ბევრი ჩვენი ნათესავი და ახლობელი ცხოვრობს, მაგრამ მე ყველას არ ვიცნობ. ზოგი ჩემთვის უცნობია, ბევრი კი ნაცნობია. სოფელში მე ბევრი ამხანაგი მყავს. მე და გიორგი ჩემი ბავშვობის მეგობარს ვესტუმრეთ. მას ძალიან გაუხარდა ჩვენი სტუმრობა.

ჩემი ამხანაგის პაპა პაპაჩემის თანამშრომელი იყო. ისინი სკოლაში ერთად მუშაობდნენ, კოლეგები იყვნენ. ახლა კი პენსიაზე არიან, მაგრამ ხშირად ხვდებიან ერთმანეთს.

მათ აგურისგან აშენებული ორსართულიანი სახლი აქვთ. პირველ სართულზე სასტუმრო და სასადილო ოთახებია, მეორე სართულზე კი – საძინებლები. სასტუმრო ოთახში ტელევიზორი დგას. ტელევიზორის წინ ტახტი, ორი საავარძელი და მაგიდაა ჟურნალებისთვის. სასადილო ოთახში კი დიდი მაგიდაა. ამ მაგიდის ირგვლივ ექვსი სკამი დგას. იქვე ჭურჭლის ქვისგან გამოთლილი კარადაა. ამ მაგიდაზე ვისადილეთ. ჩემმა ამხანაგმა ბევრი სადღეგრძელო თქვა.

13. ამოიწერეთ უცნობი სიტყვები, მოიძიეთ მათი განმარტებები სახლში და მომდევნო ლექციაზე საპრეზენტაციოდ მოამზადეთ.

ნათესაობითი ბრუნვა დანიშნულების გამოსახატავად

თანდებულები სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენება; მაგალითად, –თვის თანდებული აღნიშნავს დანიშნულებას. ეს თანდებული მხოლოდ ნათესაობითი ბრუნვის ფორმას დაერთვის:

სახლ–ის–თვის

კაც–ის–თვის

სახლისთვის ინსტრუმენტები ვიყიდე; ამ კაცისთვის ვალი მაქვს დასაბრუნებელი...

14. სათანადო ფორმაში ჩასვით სახელები დანიშნულების გადმოსაცემად:

შენი ———————— (მეგობარი) ნუთუ არაფერი გემეტება?

ამ ———————— (გოგო) კარგი საჩუქარი მაქვს.

———————— (სახლი) საჭმელი ვიყიდე.

15. ამოიწერეთ ტექსტიდან *–ის-თვის* ფორმაში დასმული სახელები დანიშნულების გადმოსაცემად:

_____

_____

_____

ნათესაობითი ბრუნვა მასალის გამოსახატავად (ხის სახლი)

–გან თანდებული აღნიშნავს მასალას, რისგანაც საგანია დამზადებული. ეს თანდებულიც ნათესაობით ბრუნვას დაერთვის:

ხ–ის–გან

მიწ–ის–გან

რკინ–ის–გან

16. ამოიწერეთ ტექსტიდან –ის-გან ფორმაში დასმული სახელები დანიშნულების გადმოსაცემად:

_____

_____

_____

17. შეადგინეთ 5 წინადადება –გან თანდებულიანი ფორმების გამოყენებით:

_____

_____

_____

მი- და მო- ზმნისწინები

მი- და **მო-** ზმნისწინებია. ისინი თავში დაერთვიან ზმნას და აღნიშნავენ ორიენტაციას. ორიენტაცია განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ სადაა პირველი პირი, ანუ მოლაპარაკე პირი:



თუმცა, **მი–** და **მო–** ზმნისწინები ზოგ ზმნასთან სულაც არ გამოხატავენ მოლაპარაკე პირის მიმართ ორიენტაციას:

მომიკითხე, მოკლა, მივიღე...

18. ჩასვით სწორად მი– ან მო–

ჩემთან ..... ვიდა.

ჩემგან წავიდა და გიორგისთან ..... ვიდა.

ნანამ წერილი ..... მწერა.

ილიას წერილი ..... ვწერე.

ლექსიკონი

ალუჩა - Alça
ბალი - Gilas
ბარავს - əkir
ბოლოკი - Turp
ბოსტანი - Bostan
ბუზი - Milçək
ვაზი - Tənək
ვიტამინი - Vitamin
თესავს - Səpir
თესია - Səpilmişdir
თოხნის - Toxalayır
კამა - Şüyüd
კარალიოკი - Xurma
კომში - Heyva
ლეღვი - əncir
მანდარინი - Naringi
მარწყვი - Çiyələk
მაყვალი - Böyürtkən
მიწა - Torpaq
მოსავალი - Məhsul
მწვანილი - Göyərti
მწყემსავს - Otarır
მწყემსი - Çoban
ნათესი - Səpilmiş
ნაყოფიერი - Məhsuldar
ნესვი - Yemiş
ნიახური - Kərəviz
ოხრახუში - Cəfəri
პამიდორი - Pomidor
რქა - Buynuz
საქონელი - Mal
სახნავ-სათესი - əkin-biəin
სეტყვა - dolu
სტაფილო - Yer kökü
ფიწალი - Yaba
ფორთოხალი - Portağal
ქინძი - Keşniş
ქლიავი - Gavalı
ყანა - Tarla
ცელი - Dəryaz
ხარი - Öküz
ხარობს - yetişir
ხნავს - Şumlayır
ხორბალი - Buğda
ხურმა - Xurma

გაკვეთილი 13

ზომა-წონის ერთეულები

1. **გაეცანით რიცხვით სახელებს 0-დან 10-მდე, ამოიწერეთ ლექსიკონში და თარგმნეთ.**

0 - ნული

1 – ერთი	6 - ექვსი
2 – ორი	7 - შვიდი
3 – სამი	8 - რვა
4 – ოთხი	9 - ცხრა
5 – ხუთი	10 – ათი

რაოდენობითი რიცხვითი სახელები

ათიდან 19-მდე რიცხვითი სახელები ქართულში ნაწარმოებია ფუძეების შეერთებით. იმისათვის, რომ ადვილად დავიმახსოვროთ რიცხვითი სახელები, წარმოვადგენთ მათი წარმოების წესს.

ჩვენ უკვე ვიცით რიცხვითი სახელი ათი; მას ემატება მეორე რიცხვითი სახელი და სიტყვა მეტი, რომელიც გამოხატავს ათს დამატებულ ოდენობას.
რიცხვითი სახელები ათიდან 19-მდე შემდეგნაირად იწარმოება:

ათ + [1.2.3.4.5.6.7.8.9] + მეტი

რიცხვითი სახელი 20 სულ სხვა ფუძით გადმოიცემა:

20 – ოცი

ოცის ზემოთ რიცხვითი სახელებიც ქართულში ნაწარმოებია ფუძეების შეერთებით, თუმცა განსხვავებულია წარმოების ტიპი: ორი რიცხვითი სახელი ერთმანეთს **და** კავშირის საშუალებით უერთდება:

2. **წაიკითხეთ და დაიმახსოვრეთ:**

თვის პირველი დღე ასე აღინიშნება: **პირველი.**
დანარჩენი დღეები კი ჩვეულებრივ:

2, 3, 4, 16. 25 . . . იანვარი.

ასევე ითქმის: **პირველი საათია**

წაიკითხეთ:

ნახევარი	1 / 2	ერთი მეორედი
მესამედი	1 / 3	ერთი მესამედი
მეოთხედი	1 / 4	ერთი მეოთხედი.

მეხუთედი (1 / 5), მეექვსედი (1 / 6), მეთხუთმეტედი (1 / 15), მეოცედი (1 / 20)...

რიგისა და ნაწილის გამომხატველი რიცხვები

	რომაული ციფრები	*არაბული ციფრები*
I	პირველი	1-ლი
II	მეორე	მე-2
III	მესამე	მე-3
IV	მეოთხე	მე-4
V	მეხუთე	მე-5
VI	მეექვსე	მე-6
VII	მეშვიდე	მე-7
VIII	მერვე	მე-8
IX	მეცხრე	მე-9
X	მეათე	მე-10
XI	მეთერთმეტე	მე-11
XII	მეთორმეტე	მე-12
. . . . .		
XX	მეოცე	მე-20
XXI	ოცდამეერთე	21-ე
XXII	ოცდამეორე	22-ე
XXIII	ოცდამესამე	23-ე
XXIV	ოცდამეოთხე	24-ე
. . . . .		
XXXVIII	ოცდამეთვრამეტე	38-ე
XXXIX	ოცდამეცხრამეტე	39-ე
. . . . .		
IX	ორმოცდამეთხუთმეტე	55-ე
. . . . .		
XXXIX	ოთხმოცდამეცხრე	89-ე

3. სიტყვებით დაწერეთ რიგისა და წილის აღმნიშვნელი სახელები

1. 1 იანვარი -
2. 21-ე საუკუნე -
3. 1 / 3 -
4. 11. 1985 წ. -
5. 1996 წელი -
6. 1 / 2 -

4. რამდენლარიანი ბანკნოტებია გამოსახული სურათებზე? მიუწერეთ.





_____ _____

_____ _____

5. შემოხაზეთ სწორი ფორმები:

თრვამეტი	თერთმეტი	ცამეტი	ათოთხმეტი
შვიდმეტი	ჩვიდმეტი	სამმეტი	თოთხმეტი

6. ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲤᲠᲐᲖᲔᲑᲘ:

რა ღირს?

ძვირია / იაფია.

ინებეთ ხურდა!

რამდენი გაქვს ხელფასი?

ფულის გადახურდავება.

7. ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘ:

– რა არის ფულის ერთეული საქართველოში?

– ლარი.

– აზერბაიჯანში რა არის?

– მანათი.

– სომხეთში?

– დრამი.

– რუსეთში?

– რუბლი.

– ამერიკაში?

– დოლარი.

– გერმანიაში?

– ევრო.

– ინგლისში?

– სტერლინგი.

8. ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲗ:

– რამდენი გრამია ერთ კილოგრამში?

– ერთ კილოგრამში არის ათასი გრამი.

– რამდენი კილოა (კილოგრამია) ერთ ცენტნერში?

– ცენტნერში არის ასი კილო (კილოგრამი).

– რამდენი კილოა ტონაში?

– ტონაში არის ათასი კილო (კილოგრამი)

– რამდენი მილიმეტრია ერთ სანტიმეტრში?

– ერთ სანტიმეტრში არის ათი მილიმეტრი.

– რამდენი სანტიმეტრია მეტრში?

– მეტრში არის ასი სანტიმეტრი.

– რამდენი მეტრია კილომეტრში?

– კილომეტრში არის ათასი მეტრი.

– რამდენია თქვენი სიმაღლე?

ჩემი სიმაღლე არის (ჩემი სიმაღლეა):

– მეტრი და ოთხმოცდაოთხი სანტიმეტრი.

– რამდენ კილოს (კილოგრამს) იწონით?

– მე ვიწონი:

– ოთხმოც კილოს // კილოგრამს.

9. წაიკითხეთ დიალოგები ახალი სიტყვების გამოყენებით:

* * *

– რამდენი კილოა ეს საზამთრო?

– შვიდი?

– თქვენი სასწორი ზუსტია?

– დიახ, ბატონო.

– აბა, ვნახოთ. ექვსი კილო და შვიდასი გრამი ყოფილა.

– ბოდიში. ინებეთ სამასი გრამის ხურდა.

* * *

– რამდენია თქვენი სიმაღლე?

– ჩემი სიმაღლე არის:

– მეტრი და ოთხმოცდაოთხი სანტიმეტრი

* * *

– იცი, რამხელაა ყველაზე დიდი კაბა მსოფლიოში?

– არ ვიცი.

– ოცდაათი მეტრი და ორმოცდარვა სანტიმეტრი.

– მართლა?

– ჰო. წონით, იცი, რამდენს იწონის?

– რამდენს?

– ოთხას ორმოცდაცამეტ კილოსა და ექვსას გრამს.

– მერე ვის ჩააცვეს ეგ კაბა?

– თავისუფლების ქანდაკებას ამერიკაში.

– აჰა, გასაგებია.

10. ტექსტიდან ამოიწერეთ რიგისა და წილის აღმნიშვნელი სახელები

_____

_____

_____

11. მოისმინეთ დიალოგები № 35,36,37,38.

12. ტექსტში მოიძიეთ და წარმოთქვით რაოდენობის, რიგისა და ნაწილის გამომხატველი სიტყვები.:

13. შეადგინეთ დიალოგები (5-6 დიალოგი) ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით (წერითი დავალება).

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

14. თქვენ უკვე ისწავლეთ მარტივი და რთული რიცხვები. ძირითადი მათემატიკური მოქმედებების დროს დაგჭირდებათ შემდეგი კონსტრუქციების ცოდნა:

ოთხ-ს მივუმატოთ ორ-ი უდრის ექვს-ს
არის / იქნება ექვს-ი ტოლია ექვს-ის
ოთხ-ს გამოვაკლოთ ორ-ი უდრის ორ-ს
არის / იქნება ორ-ი ტოლია ორ-ის
ოთხ-ი გავამრავლოთ ორ-ზე უდრის რვა-ს
არის / იქნება რვა ტოლია რვ-ის
ოთხ-ი გავყოთ ორზე უდრის ორ-ს
არის / იქნება ორ-ი ტოლია ორ-ის

15. ივარჯიშეთ წარმოთქმაში:

3 X 5 =15	12 – 5 = 7
4 X 6 = 24	10 – 2 = 8
10 : 2 = 5	5 + 4 = 9
9 : 3 = 3	3 + 4 = 7

16. **წაიკითხეთ ტექსტი და გადმოეცით მოკლე შინაარსი (წერითი დავალება).**

მეგობრები შაბათ-კვირას ლაშქრობებზე დავდივართ ხოლმე. იმ დღეს მცხეთაში მივდიოდით. დილით ადრე ავდექი, ხელ-პირი დავიბანე და მაღაზიაში ჩავედი. ვიყიდე პური, ერთი კილო ძეხვი, კილო-ნახევარი სოსისი, ნახევარი კილო შაქარი, ორი სამასგრამიანი პაშტეტი, ორასი გრამი ყავა, სამასი გრამი ჩაი, ორი ცალი ლიტრ-ნახევრიანი ლიმონათი; ხილიც ავიღე: ორი კილო ვაშლი, ორი კილო ატამი. წინა დღეს ნაყიდი მქონდა სამი კილო სამწვადე ხორცი, – ეგეც გამოვიღე მაცივრიდან. ჩემი მეგობრებიც კარგად იყვნენ მომზადებულები. ღამე ბუნებაში გავატარეთ. *მინდორზე* კოცონი დავანთეთ, მწვადები ავაშიშხინეთ, კარგად ვიქეიფეთ.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

17. **წერილობით უპასუხეთ კითხვებს:**

რომელი წელია ახლა?

_____

როდისაა თქვენი დაბადების დღე?

_____

რომელ წელს დაიბადეთ?

_____

დაასახელეთ თქვენი ერთ-ერთი მეგობრის დაბადების წელი.

_____

დაასახელეთ თქვენი ოჯახის წევრების დაბადების წლები.

_____

18. **რიცხვები დაწერეთ სიტყვიერად:**

1 იანვარი _____

21-ე საუკუნე _____

1 / 3 _____

1985 წ. 1. 01. _____

1006 წელი _____

1 / 2 _____

19. ისრებით დააკავშირეთ ერთმანეთთან:

რამდენი?	პირველი
რომელი?	ხვალ
როდის?	ხუთი

20. დაუსვით სწორი კითხვა:

მეცხრე _____

მეშვიდედი _____

მეოცე _____

ორმოცდაათი _____

ნახევარი _____

პირველი _____

ორას ოცდამეშვიდედი _____

ლექსიკონი

ავტობუსი - Avtobus
ბარათი - kartoçka
გრამი - Qram
დაბა - Yaşayış məntəqəsi
ზღვა - Dəniz
თავი - Baş, əsas, fəsil
თარო - Rəf
იაფი - Ucuz
ინფორმაცია - Informasiya
იწონის - Çəkir(ölçü)
კაკაო - Kakao
კანფეტი - konfet
კილო - Kilo
კილოგრამი - kiloqram
კილომეტრი - kilometr
ლიტრი - Litr
მანქანა - Maşın
მარკეტი - Market
მეტი - Çox
მოყინული - Dondurulmuş
მსუბუქი - Yüngül
მძიმე - Ağır
ნაკლები - Az
ნაწილი - Hissə
პროდუქტი - ərzaq
პროდუქცია - Məhsul
რძე - Süd
სუპერმარკეტი - Supermarket
ფასი - Qiymət
ფირმა - Firma
ღირს - Dəyəri
ყავა - Qəhvə

ყველი - Pendir
შენობა - Bina
შოკოლადი - Şokolad
ჩაი - Çay
ცხელა - İstidir
ძვირი - Baha

ფრაზები - İFADƏLƏR

ზღვის დონიდან - Dəniz səviyyəsindən
მსუბუქი მანქანა - Minik maşını
პლასტიკური ბარათი - Plastik kart
სამარშრუტო ტაქსი - Marşrut taksi

გაკვეთილი 14

ტანსაცმელი; ბაზრობა

1. გაეცანით სურათს. რა სიტყვები იცით?

2. მასწავლებელთან და სხვა მსმენელებთან ერთად, შეავსეთ თქვენი პირადი ლექსიკონი.

3. აღწერეთ სურათი.

4. მოისმინეთ ტექსტი №39:

5. ამოწერეთ სიტყვები, რომლებიც ვერ გაიგეთ; დაიხმარეთ ლექსიკონი.

6. ახალ სიტყვებზე ააგეთ 10 წინადადება და წარმოთქვით.

7. მოისმინეთ დიალოგები №40,41:

8. მონიშნეთ +-ით სწორი წინადადებები.

ბექა ხვალ მაღაზიაში უნდა წავიდეს.
ბექას ზაფხულისთვის სჭირდება ტანსაცმელი.
ბექა ქარვასლაში მიდის.
თეკლა ქურთუკს ისინჯავს.
თეკლას ქურთუკი არ მოერგო.
ბექა ლურჯ სვიტერს ყიდულობს.
ბექამ კოსტუმი ვერ იყიდა.
თეკლამ ჩექმა იყიდა.

9. დააჯგუფეთ ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის აღმნიშვნელი სიტყვები.

10. შეადგინეთ და დაწერეთ მსგავსი დიალოგები თემაზე:
„ტანსაცმლის მაღაზიაში“.

11. მოუსმინეთ ტექსტს №42:

12. ამოწერეთ სიტყვები, რომლებიც ვერ გაიგეთ; დაიხმარეთ ლექსიკონი.

13. გადმოეცით ტექსტის შინაარსი თქვენი სიტყვებით.

14. წაიკითხეთ ტექსტი:

წელიწადის სხვადასხვა დროს ადამიანები სხვადასხვანაირად იცვამენ.
ყველაზე მეტი ტანსაცმელი ზამთარში აცვიათ.
ზამთარში ძალიან ცივა და ყველა თბილ ტანსაცმელს იცვამენ. კაცებს აცვიათ თბილი შალის სვიტერი, თბილი შარვალი.
ქალები თბილ ქვედაბოლოს ატარებენ ან შარვალს იცვამენ. მათ ზევიდან შალის სვიტერები აცვიათ. ზოგჯერ ჟაკეტსაც იცვამენ.
გარეთ გასვლის წინ ცივ ამინდში იცვამენ ქურთუკს ან პალტოს, თავზე იხურავენ ქუდს. ხელებზე იკეთებენ ხელთათმანებს.
ქალები ფეხზე ჩექმას იცვამენ. ჩექმა ძალიან თბილია.
გაზაფხულზე და შემოდგომაზე უფრო მსუბუქად იცვამენ. გარეთ გასვლისას ზევიდან შეიძლება ჩაიცვა თხელი ქურთუკი, პიჯაკი ან ჟაკეტი ამინდის მიხედვით.
ყველაზე მსუბუქად ზაფხულში აცვიათ. ფეხზე ფეხსაცმელს იცვამენ. ფეხსაცმელი ორნაირია: ღია და დახურული. ადამიანები ამინდის მიხედვით არჩევენ ჩასაცმელს.

ზაფხულში ძალიან ცხელა და ტანზე თხელ, მოკლემკლავიან მაისურებს ან პერანგებს იცვამენ. კაბებიც უმკალვებო ან მოკლემკლავიანი აცვიათ.
ზოგიერთ ქვეყანაში სულ ცხელა და იქ ზაფხულის სამოსს ატარებენ, ზოგგან ზამთარი არ იცის და იქ მხოლოდ ზაფხულისა და გაზაფხული–შემოდგომის ტანსაცმელს ატარებენ. საქართველოში ოთხივე სეზონის ტანსაცმელი აუცილებელია.

15. შეაერთეთ კითხვასთან სწორი პასუხი:

- როდის აცვიათ ადამიანებს ყველაზე მეტი ტანსაცმელი?
- რას იცვამენ კაცები ზამთარში?
- რას იცვამენ ქალები ზამთარში?
- რას იცვამენ ფეხზე ქალები ზამთარში?
- როდის აცვიათ ადამიანებს ყველაზე მსუბუქად?
- რის მიხედვით ირჩევენ ადამიანები ტანსაცმელს?
- ადამიანები ამინდის მიხედვით არჩევენ ჩასაცმელს.
- კაცებს აცვიათ თბილი შალის სვიტერი, თბილი შარვალი.
- ქალები თბილ ქვედაბოლოს ატარებენ ან შარვალს იცვამენ. მათ ზევიდან შალის სვიტერები აცვიათ. ზოგჯერ ჟაკეტსაც იცვამენ.
- ყველაზე მსუბუქად ადამიანებს ზაფხულში აცვიათ.
- ქალები ფეხზე ჩექმას იცვამენ. ჩექმა ძალიან თბილია.
- ყველაზე მეტი ტანსაცმელი ზამთარში აცვიათ.

16. მონიშნეთ, სწორია თუ არასწორი:

წელიწადის სხვადასხვა დროს ადამიანები სხვადასხვანაირად იცვამენ.	
ზამთარში გარეთ გასვლის წინ ცივ ამინდში იცვამენ ქურთუკს ან პალტოს, თავზე იხურავენ ქუდს. ხელებზე იკეთებენ ხელთათმანებს.	
გაზაფხულზე და შემოდგომაზე ადამიანები უფრო მსუბუქად იცვამენ.	
ყველაზე მსუბუქად გაზაფხულზე აცვიათ.	
ზაფხულში ძალიან ცივა.	
ადამიანები ამინდის მიხედვით არჩევენ ჩასაცმელს.	
ზოგიერთ ქვეყანაში სულ ცხელა და იქ ზაფხულის სამოსს ატარებენ.	
საქართველოში ოთხივე სეზონის ტანსაცმელი არ არის აუცილებელი.	

"უნდა" ზმნის უღლება და კონსტრუქციები

ზმნა უნდა თავისებურად იუღლება. მას არ აქვს წყვეტილის მწკრივის ფორმები. მომავალ დროსაც თავისებურად აწარმოებს: ეცვლება (ურთულდება) ფუძე:

უნდა – ენდომება...

უნდა იმ თავისებურ ზმნათა ტიპს განეკუთვნება, რომლებსაც სუბიექტი მიცემითში აქვს: უნდა მას (შეადარეთ: აკეთებს ის; არის ის...).

ახლანდელი		მომავალი		წარსული	
მე	მ–ინდ–ა	მე	მ–ენდომებ–ა	მე	მ–ინდოდ–ა
შენ	გ–ინდ–ა	შენ	გ–ენდომებ–ა	შენ	გ–ინდოდ–ა
მას	უნდ–ა	მას	ენდომებ–ა	მას	უნდოდ–ა

17. ააგეთ 5 წინადადება „უნდა“ ზმნის სხვადასხვა დროის ფორმების გამოყენებით

აცვი-ა - იცვამ-ს

ფორმა *აცვია* გამოხატავს სტატიკას, ანუ ისეთ მოვლენას, როცა მითითება ხდება მოქმედების შედეგზე (პერანგი აცვია – ესე იგი, პერანგი ჩაიცვა და ახლა ტანზე აქვს...); *იცვამს* – დინამიკურ მოქმედებაზე მიუთითებს (მოქმედება, რომელიც პროცესს ასახავს).

ზმნები *აცვია* და *იცვამს* განსხვავებულად იუღლებიან:

ახლანდელი დრო

მხ. რ.			*მრ. რ.*		
მე	ვ–იცვამ	მე	მ–აცვი–ა	ჩვენ ვ–იცვამ–თ	ჩვენ გვ–აცვი–ა
შენ	იცვამ	შენ	გ–აცვი–ა	თქვენ იცვამ–თ	თქვენ გ–აცვი–ა–თ
ის	იცვამ–ს	მას	აცვი–ა	ისინი იცვამ–ენ	მათ აცვი–ა–თ

მომავალი

მხ. რ.			*მრ. რ.*		
მე	ჩა–ვ–იცვამ	მე	მ–ეცმევ–ა	ჩვენ ჩა–ვ–იცვამ–თ	ჩვენ გვ–ეცმევ–ა
შენ	ჩა–იცვამ	შენ	გ–ეცმევ–ა	თქვენ ჩა–იცვამ–თ	თქვენ გ–ეცმევ–ა–თ
ის	ჩა–იცვამ–ს	მას	ეცმევ–ა	ისინი ჩა–იცვამ–ენ	მათ ეცმევ–ა–თ

წარსული

მხ. რ.			*მრ. რ.*		
მე	ჩა–ვ–იცვი	მე	მ–ეცვ–ა	ჩვენ ჩა–ვ–იცვი–თ	ჩვენ გვ–ეცვ–ა
შენ	ჩა–იცვი	შენ	გ–ეცვ–ა	თქვენ ჩა–იცვი–თ	თქვენ გ–ეცვ–ა–თ
მან	ჩა–იცვ–ა	მას	ეცვ–ა	მათ ჩა–იცვ–ეს	მათ ეცვ–ა–თ

18. დაწერეთ სწორი ფორმა: იცვამს, ჩაიცვამ, აცვია

1. გიორგი ფესაცმელებს _____
2. ნუბარს ფეხსაცმელები _____
3. ხვალ ახალ კაბას _____

თუ – არჩევითობის გამომხატველი კავშირი

კითხვით წინადადებებში არჩევანის გაკეთებისას ქართულში თუ კავშირი გამოიყენება:

ჩაი გნებავთ თუ ყავა?

ეს გოგო მაღალია თუ დაბალი?

ახლა დილაა თუ შუადღე?

19. ჩასვით სათანადო ადგილას თუ კავშირი

ღვინოს	მიირთმევთ	შამპანურს?
სადილს	ინებებთ	ტკბილეულს?
კინოში	წახვალთ	თეატრში?
ღვინოს	დალევ	არაყს?

მსაზღვრელ-საზღვრულის შეუთანხმებლობა რიცხვში

ქართულ ენაში მსაზღვრელი საზღვრულს ეთანხმება ბრუნვაში (მაღალ-ი ქალ-ი, მაღალ-მა ქალ-მა...), მაგრამ არ ეთანხმება რიცხვში:

მაღალი ბიჭი – მაღალი ბიჭ-ებ-ი

კარგი მოსწავლე – კარგი მოსწავლე-ებ-ი...

20. მსაზღვრელი ჩასვით სწორი ფორმით

კალათბურთს ———————— (მაღალი / მაღლები) ბიჭები თამაშობენ.

ეკას ———————— (ლამაზი / ლამაზები) მეგობრები ჰყავს.

მილანში ———————— (სწრაფი / სწრაფები) ფეხბურთელები არიან.

ლექსიკონი

არჩევანი - Seçim
დახურული - Örtülü
ზევით - Yuxarıda
ზოგჯერ - Bəzən
ზომა - Ölçü
თბილი - Isti
თხელი - Nazik
იზომებს - Ölçür
იკეთებს - Düzəldir
ისინჯავს - Yoxlayır
იხურავს - Örtür
მანეკენი - Maniken
მიხედვით - əsasında
მოერგება - uyğunlaşdırmaq
მოკლემკლავიანი - Qısaqol
მშვიდობაში! - Mübarəkdir!
პალტო - Palto
პერანგი - Köynək
პიჯაკი - Pencək
ჟაკეტი - Jaket
რეცხავს - Yuyur
სამოსი - Libas (üst geyimi)
სეზონი - Mövsüm
სვიტერი - Sviter
სხვადასხვა - Başqa-başqa
ტანსაცმელი - Geyim,paltar
უმკლავებო - Qolsuz(köynək)
ფეხსაცმელი - Ayaqqabı
ქამარი - Toqqa,kəmər
ქვედაბოლო - ətək
ქუდი - Papaq
ქურთუკი - Gödəkçə
შარვალი - Şalvar
შარფი - Şərf
შოკოლადისფერი - Şokolad rəngi
ჩექმა - Çəkmə
ხელთათმანი - əlcək

ფრაზები - İFADƏLƏR

მზით გაცვითეთ! - Günəşin altında!
ქუდი ახურავს - Papaq örtmüşdür
შარვალი აცვია - Şalvar geyinmişdir
ხელთათმანი უკეთია - Əlcək taxmışdır

გაკვეთილი 15

დროის მითითება (საათი, კვირა, თვე)

– რომელი საათია?
– ოთხი საათია.

– რომელი საათია?
– ახლა ხუთის ხუთი წუთია.

ყურადღება მიაქციეთ: როცა ისარი თორმეტიდან გადავა, იწყება მომდევნო საათი, ამიტომ ის წუთები მისი კუთვნილებაა. ამ შემთხვევაში გამოიყენება ნათესაობითი ბრუნვის ფორმა.

ხუთის ათი
წუთია

ხუთის თხუთმეტი
წუთია

ხუთის ოცი
წუთია

ხუთის ოცდახუთი
წუთია

ხუთის ნახევარია – ამბობენ ქართულში იმის ნაცვლად, რომ ითქვას: ხუთის ოცდაათი წუთია.

მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვები დროის გამოხატვის ფუნქციით
(-ს აკლია; -ის ნახევარია/ხუთი წუთია)

დროის გამოსახატავად ქართულში მიცემითი (–ს ნიშნით) და ნათესაობითი (–ის ნიშნით) გამოიყენება. როცა ისარი თორმეტიდან გადავა, იწყება მომდევნო საათი, ამიტომ ის წუთები მისი კუთვნილებაა. ამ შემთხვევაში გამოიყენება ნათესაობითი ბრუნვის ფორმა.:
ხუთის (ორის, ექვსის, თერთმეტის...) ათი, (თხუთმეტი, ოცი...) წუთია.

ხუთის (ორის, ექვსის, თერთმეტის...) ნახევარია – ამბობენ ქართულში იმის ნაცვლად, რომ ითქვას: ხუთის (ორის, ექვსის, თერთმეტის...) ოცდაათი წუთია.

როცა ნახევარს გადასცდება, გამოიყენება მიცემითი ბრუნვა:

ხუთს (ორს, ექვსს, თერთმეტს...) ათი, (თხუთმეტი, ოცი...) წუთი აკლია.

1. **მოუსმინეთ დიალოგებს №43,44:**

2. **უპასუხეთ კითხვებს:**

ტექსტის მიხედვით, რომელი საათია ახლა?
როდის მოვლენ ნიკა და მისი მეგობარი სახლში?
რის ბილეთები იყიდეს ბიჭებმა?
რამდენ წუთში მივლენ ნიკა და მისი მეგობარი სტადიონზე?
რომელი გუნდები თამაშობენ?

3. **ამოწერეთ ტექსტიდან და დიალოგებიდან საათის აღმნიშვნელი ფრაზები.**

ნიმუში: ახლა რვა საათია.

_____

_____

4. **რომელი საათია? (დაწერეთ სიტყვიერად):**

12:25 – _____

11:33 – _____

22:15 – _____

18:55 – _____

09:30 – _____

17:45 – _____

5. **მონიშნეთ +-ით სწორი წინადადებები.**

ახლა ხუთი საათია.
ნიკა და მისი მეგობარი ცხრის ნახევარზე მოვლენ.
ნიკას მეგობარს გიორგი ჰქვია.
ბიჭებმა რაგბის ბილეთები იყიდეს.
ნიკა და გიორგი სტადიონზე 20 წუთში მივლენ.
ანამ საათის ცნობა არ იცის.

6. **წაიკითხეთ ტექსტი:**

ახლა რვა საათია. ჯაბა ამ დროს იღვიძებს, ის ლექციებზე დადის. სწავლა ცხრა საათზე იწყება. ჯაბა უნივერსიტეტში სწავლობს.

საათი ზუსტად რვაზე რეკავს. უნივერსიტეტი მისი სახლიდან შორს არ არის, ახლოსაა. ცხრას თხუთმეტი წუთი აკლია, ჯაბა სახლიდან გადის. უნივერსიტეტამდე ის ფეხით მიდის.

ადრე პატარა ჯაბა სკოლაში დადიოდა. სკოლა შორს იყო. ის რვის ნახევარზე დგებოდა და ცხრის ოც წუთზე გადიოდა სახლიდან. სკოლაში ის ავტობუსით მიდიოდა.

ახლა ჯაბა დიდია, ის უკვე სტუდენტია.

გუშინწინ მისი დაბადების დღე იყო. სახლში ბევრი სტუმარი ჰყავდა. ის გვიან დაწვა.

გუშინ ჯაბა გვიან ადგა და სახლიდან რომ გავიდა, ცხრა საათი იყო. ლექციაზე დააგვიანა.

დღეს ჯაბა აღარ დააგვიანებს. ის ადრე გავიდა სახლიდან.

ზეგ, სამ საათზე, მეგობრები კინოში მიდიან. ჯაბა პირველ საათზე მოვა სახლში და სამ საათზე წავა კინოში.

მაზეგ სტუდენტები ბოტანიკურ ბაღში მიდიან.

7. მონიშნეთ +-ით, სწორია თუ არასწორი:

ჯაბა რვა საათზე იღვიძებს	
ჯაბა უნივერსიტეტში სწავლობს.	
უნივერსიტეტი ჯაბას სახლიდან შორს არის.	
უნივერსიტეტამდე ის ავტობუსით მიდის.	
სკოლაში ჯაბა ფეხით მიდიოდა.	
გუშინწინ ჯაბას დაბადების დღე იყო.	
გუშინ ჯაბა გვიან ადგა.	
ზეგ, სამ საათზე, მეგობრები ბოტანიკურ ბაღში მიდიან.	

8. უპასუხეთ კითხვებს:

რომელ საათზე იღვიძებს ჯაბა?

რომელ საათზე იწყება სწავლა?

სად სწავლობს ჯაბა?

რით მიდის უნივერსიტეტამდე ჯაბა?

რით მიდიოდა ადრე სკოლაში პატარა ჯაბა?

როდის იყო ჯაბას დაბადების დღე?

როდის დაწვა ჯაბა?

სად მიდიან ჯაბა და მისი მეგობრები ზეგ?

როდის მიდიან სტუდენტები ბოტანიკურ ბაღში?

9. დაწერეთ წაკითხული ტექსტის მოკლე შინაარსი.

10. წაიკითხეთ ტექსტი:

თორმეტი თვე ერთი *წელია*. 365 დღე ერთი წელია. *წელიწადში* ორმოცდარვა კვირაა. თვეში ოცდაათი ან ოცდათერთმეტი დღეა. თებერვალში ხან ოცდარვა დღეა, ხან – ოცდაცხრა დღე.



7 დღე – 1 კვირა | 4 კვირა – 1 თვე | 3 თვე – 1 კვარტალი | 12 თვე – 1 წელიწადი

შვიდი *დღე* ერთი *კვირაა*. ოთხი კვირა ერთი *თვეა*. სამი თვე ერთი *კვარტალია*. კვირაში შვიდი დღეა. კვირის დღეებია: *ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი* და *კვირა*. კვირა კვირის ბოლო დღეა.

11. გაეცანით სქემას:



12. ამოიწერეთ თქვენს ლექსიკონში ახალი სიტყვები და განმარტეთ (თარგმნეთ)

13. ჩამოთვალეთ კვირის დღეები.

_____ _____ _____

_____ _____ _____

_____

14. გაეცანით სქემას:



15. დღე-ღამეში შემდეგი მონაკვეთებია:



– რა დღეა *დღეს*?
– დღეს ხუთშაბათია.
– რა დღე იყო *გუშინ*?
– გუშინ ოთხშაბათი იყო.
– რა დღე იყო *გუშინწინ*?
– გუშინწინ სამშაბათი იყო.

– რა დღე იქნება *ხვალ*?
– ხვალ პარასკევია.
– რა დღეა *ზეგ*?
– ზეგ შაბათია.
– რა დღეა *მაზეგ*?
– მაზეგ კვირაა.

16. ცარიელი ადგილები შეავსეთ სათანადო სიტყვებით:





დროის ზმნიზედები

დროის ზმნიზედებია: დღეს, ხვალ, ზეგ, გუშინ, გუშინწინ, შარშან, შარშანწინ, წელს, გაისად...

დროის ზმნიზედები უპასუხებენ კითხვაზე როდის?

17. მონიშნეთ ზედმეტი სიტყვა:

ახლა	*შორს*	*გუშინწინ*	*დღეს*
იქ	*ზეგ*	*ახლოს*	*შორს*
წუთი	*თორმეტი*	*საათი*	*წამი*

17. ტექსტიდან ამოწერეთ დროის აღმნიშვნელი სიტყვები.

_____

_____

კითხვითი ნაცვალსახელები რომელი? როდის?

დროის ამოსაცნობად თუ გასაგებად დაისმის კითხვები: როდის? რომელი საათია? როდის? – გუშინ, დღეს, ხვალ, 12 საათზე, დილიით, საღამოს, ოთხის ნახევარზე...

რომელი საათია? – ორი საათია, შვიდის ნახევარია; ხუთს აკლია ოცი წუთი; სამის ათი წუთია.

18. სწორად დაუსვით კითხვა (რომელი საათია? თუ როდის?)

შვიდის ხუთი წუთია. რომელი საათია?

ხვალ. როდის?

ხუთს აკლია ოცი წუთი. რომელი საათია?

დღეს. როდის?

შარშან. როდის?

ორის ნახევარია. რომელი საათია?

ლექსიკონი

აგვიანებს - gecikir
ადრე - əvvəl
გვიან - Gec
ზუსტად - Dəqiq
ისარი - Ox,əqrəb
იღვიძებს - Oyanır
კინო - Kino
მაზეგ - Birisigündən sonrakı gün
რაგბი - Raqbi
სტადიონი - Stadion
სტუმარი - Qonaq
სწავლა - Oxu

აგვიანებს - gecikir
ადრე - əvvəl
გვიან - Gec
ზუსტად - Dəqiq
ისარი - Ox,əqrəb
იღვიძებს - Oyanır
კინო - Kino
მაზეგ - Birisigündən sonrakı gün
რაგბი - Raqbi
სტადიონი - Stadion
სტუმარი - Qonaq
სწავლა - Oxu

გაკვეთილი 16

წელიწადის დროები

დავიმახსოვროთ:

ზამთრის თვეებია:

დეკემბერი, იანვარი, თებერვალი.

გაზაფხულის თვეებია:

მარტი, აპრილი, მაისი.

ზაფხულის თვეებია:

ივნისი, ივლისი, აგვისტო.

შემოდგომის თვეებია:

სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი -

ზამთარ'ში *ცივა.*

ზაფხულ'ში *ცხელა.*

გაზაფხულ'ზე *თბილა.*

შემოდგომაზე *გრილა.*

ზამთარში მოკლე *დღეები* და გრძელი *ღამეებია*.

ზაფხულში დღეები გრძელია, ღამეები კი – მოკლე.

დაიმახსოვრეთ:



1. წაიკითხეთ დიალოგები:

* * *

– რომელია *წელიწადის* ყველაზე *ლამაზი* დრო?

– მე მგონი, გაზაფხული.

– მე ზაფხული უფრო მიყვარს.

– გეთანხმები, ზაფხულიც ლამაზია.

– ზაფხულში ზღვაზე დავდივარ.

– მეც.

– ზამთარში ბაკურიანია *კარგი*.

– ზამთარში მე გუდაურში დავდიოდი.

– *წელს* სად წახვალ?

– ჯერ არ ვიცი.

– ისე, შემოდგომა მაინც *ულამაზესია*.

– ასეა, ყველა დრო ლამაზია.

* * *

– ზაფხულში *სათევზაოდ* წავალ.

– რომელ თვეში?

– ივნისში.

– გიყვარს თევზაობა?

– ძალიან მიყვარს *ანკესით* თევზაობა.

– ჩემს ძმასაც უყვარს.

* * *

– რამდენი დროა წელიწადში?

– წელიწადში არის ოთხი დრო; გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი.

– რომელია ყველაზე ლამაზი დრო?
– ყველა დრო ლამაზია. მე გაზაფხული უფრო მიყვარს.
– რომელია წელიწადის ყველაზე
ცხელი დრო?
– წელიწადის ყველაზე ცხელი
დროა ზაფხული.
– ყველაზე ცივი დრო?
– ყველაზე ცივი დრო ზამთარია.
– გაზაფხული და შემოდგომა?
– გაზაფხული და შემოდგომა ზომიერია, არც ძალიან ცივა და არც ძალიან ცხელა.

* * *

– ახალი წელი როდის დგება?
– ზამთარში.
– რომელ თვეში?
– იანვარში, პირველი იანვარი ახალი წლის
პირველი დღეა.
– ძალიან ცივა ამ დროს?
– დიახ, ხშირად თოვლიც მოდის.

2. ამოიწერეთ ახალი სიტყვები და ფრაზები თქვენს პირად ლექსიკონში; განმარტეთ.

3. მოისმინეთ აუდიოტექსტი №45.

4. დაასრულეთ წინადადებები:

ზამთრის თვეებია: . . . . . .
. . . . . .გაზაფხულის თვეებია.
ზაფხულის თვეებია: . . . . . .
. . . . . .შემოდგომის თვეებია.
იანვარი და თებერვალი . . . . . თვეებია.
ივლისი და აგვისტო ზაფხულის . . . . . .
სექტემბერი . . . . . თვეა.
მარტი გაზაფხულის . . . . . .

5. უპასუხეთ კითხვებს:

I. რამდენი დროა წელიწადში?

II. რამდენი თვეა წელიწადში?

III. როდის არის დღე მოკლე?

IV. როდის არის ღამე გრძელი?

V. წელიწადის რომელი დროა მარტი?

VI. წელიწადის რომელი დროა იანვარი?

VII. როდის ცხელა?

VIII. როდის თბილა?

IX. როდის გრილა?

X. როდის ცივა?

6. მოისმინეთ და დაიმახსოვრეთ №46:

7. პასუხი გაეცით შემდეგ კითხვებს:

I. რის შესახებაა ტექსტი?

II. წელიწადის რომელი დრო მოსწონს მას?

III. როგორი ამინდებია წლის ამ დროს?

8. წაიკითხეთ წერილი:

გამარჯობა, დედა! როგორ ხარ? მამა და ჩემი და–ძმა როგორ არიან? მე კარგად ვარ. ახლა ლექციებიდან მოვედი და წერილს გწერთ. ჩემს ჯგუფში 15 ბავშვია. ყველა ქართულ ენას სწავლობს. სამი გოგო ახალციხიდანაა, ორი ბიჭი – წალკიდან, ხუთი გოგო თბილისელია და ოთხი ბიჭი ნინოწმინდიდანაა. ჯგუფში მარტო მე ვარ ახალქალაქიდან. ისინი უკვე ჩემი მეგობრები არიან. აქ უკვე აცივდა. და მალე ზამთარი დაიწყება. ამ დილით ძალიან წვიმდა. წუხელ, საღამოს ათ საათზე ჩემთან ჩვენი მეზობელები ბაგრატი და არმენი მოვიდნენ. ისინიც თბილისში სწავლობენ. ძალიან გამიხარდა მათი ნახვა. ისინი ხვალ მოდიან ახალქალაქში ორი დღით.

მე მომავალ პარასკევს ჩამოვალ და კვირამდე ვიქნები.

კარგად იყავი,

შენი ალიკა.

9. მესამე პირში გადმოეცით ამ წერილის შინაარსი.

10. წაიკითხეთ ტექსტი; მიუწერეთ ამინდის აღმნიშვნელ ფრაზებს თარგმანი:

– როგორი ამინდია დღეს?

დღეს:

– ცუდი ამინდია = ავდარია -
– კარგი ამინდია = დარია -
– ღრუბლიანი ამინდია = მოღრუბლულია –
– ყინავს –
– ცრის -
– ქუხს –
– ელავს –
– წვიმს (წვიმა მოდის) –
– თოვს (თოვლი მოდის) –

როგორი ამინდი იყო გუშინ? -

გუშინ:

– წვიმდა (წვიმა მოდიოდა) -
– თოვდა (თოვლი მოდიოდა) -
– ქარი ქროდა –
– იწვიმა (წვიმა მოვიდა) -
– მოთოვა (თოვლი მოვიდა) -

როგორი ამინდი იქნება ხვალ? -

ხვალ:

– იწვიმებს (წვიმა იქნება // წვიმა წამოვა) –
– ქარი იქნება = ქარი ამოვარდება –
ქარი ქრის -
ქარი ამოვარდა -
ქარი ჩადგა -
წვიმამ გადაიღო –

11. წაიკითხეთ დიალოგები და გაითამაშეთ:

– *როგორი* ამინდი იქნება ხვალ?
– ქარიანი.
– საიდან იცით?
– სინოპტიკოსებმა თქვეს.

– სად თქვეს?
– რადიოში.
– როგორ არ მიყვარს ეს ქარი!
– ქარი არავის არ უყვარს!

* * *

– საიდან ამოდის მზე?
– აღმოსავლეთიდან.
– *საით* ჩადის?
– დასავლეთით.
– რომელი ქარი უბერავს?
– ჩრდილოეთის.
– სად მიფრინავენ ფრინველები გამოსაზამთრებლად?
– სამხრეთში.

* * *

– მშვენიერი ამინდია!
– დიახ, მზიანი დღეა.
– სასეირნოდ მინდა წასვლა.
– საღამოს შეიძლება გაწვიმდეს.
– ქოლგას წავიღებ.

* * *

– მშვენიერი ამინდია!
– დიახ, ნამდვილად კარგი ამინდია.
– როგორ გგონია, შეიცვლება?
– შეიძლება. მარტში ხშირად იცვლება ამინდი.
– რამდენი გრადუსია დღეს ტემპერატურა?
– თექვსმეტი გრადუსი სითბოა.
– საკმაოდ თბილა.
– გუშინაც მზიანი ამინდი იყო საღამომდე.
– ჰო, საღამოს გაფუჭდა - აცივდა.
– საღამოს ქარმა დაუბერა, მერე კი კოკისპირული წვიმა წამოვიდა.
– მაგრამ მალე ქარიც ჩადგა და წვიმამაც გადაიღო.
– არ მიყვარს ასეთი არეული ამინდები. აი, დღესაც არ ვიცი, რა ჩავიცვა.

ანდაზა: ქარის მოტანილს ისევ ქარი წაიღებსო.

12. რას ნიშნავს ეს ანდაზა? გადმოეცით თქვენი სიტყვებით.

13. წაიკითხეთ ტექსტი:

ჰავა საქართველოში ყველგან ერთნაირი არ არის. დასავლეთში წვიმა ხშირად მოდის და ძალიან ნოტიო ჰაერია. ამის მიზეზი შავი ზღვის სიახლოვეა. ზღვიდან დასავლეთის ქარს ღრუბელი მოაქვს. აღმოსავლეთ საქართველოში უფრო იშვიათად მოდის წვიმა და აქაური ჰაერიც უფრო მშრალია. ზამთარი აღმოსავლეთში უფრო ცივია, ვიდრე დასავლეთში.

-ში, -ზე თანდებულები დროის გამოხატვის ფუნქციით

ქართულ ენაში სხვადასხვაგვარად იწარმოება წელიწადის დროზე მითითება: გამოიყენება **–ში** ან **–ზე** დაბოლოებები:

ზამთარ-ში, ზაფხულ-ში

მაგრამ

გაზაფხულ-ზე, შემოდგომა-ზე.

-ზე და **–ში** თანდებულებია. ქართულში სახელს ბოლოში დაერთვის თანდებული.

14. ამოიწერეთ ტექსტიდან -ში და -ზე თანდებულიანი სახელები დროის გამოხატვის ფუნქციით.

–ის შემდეგ, -ის წინ კონსტრუქციები

დროის გამოსახატავად ხშირად გამოიყენება *–ის შემდეგ, -ის წინ* კონსტრუქციები:

–ის შემდეგ მომავალზე მიუთითებს:

ხუთი დღის შემდეგ, ორი საათის შემდეგ...

–ის წინ კონსტრუქცია – პირიქით – მიუთითებს წარსულზე:

ხუთი დღის წინ, ორი საათის წინ...

15. ამოიწერეთ ტექსტიდან –ის შემდეგ, -ის წინ შემცველი კონსტრუქციები:

_____

_____

_____

–იდან - -მდე თანდებულები დროის გამოხატვის ფუნქციით

–იდან თანდებული მოქმედების (// მოძრაობის) დაწყების ან ადამიანის წარმომავლობის აღსანიშნავად გამოიყენება. **–იდან** აგრეთვე დროის საწყის მომენტზე მიუთითებს:

დილიდან მუშაობს; ხვალიდან დავიწყებ...

მოქმედების (//მოძრაობის) დასრულების აღსანიშნავად გამოიყენება თანდებული –მდე; ეს თანდებული დროში დასასრულსაც გამოხატავს:

ხვალამდე მოვრჩები; დღემდე ცუდად ვიყავი...

16. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სწორი ფორმა

დასაწყისიდან ბოლომდე, დასაწყისის ბოლოში, ბოლოდან დასაწყისამდე

საუკუნის ..... ასი წელი გადის.

ლექსიკონი

აგვისტო - Avqust
აპრილი - Aprel
აუცილებლად - Mütləq
ახალი - Yeni,təzə
გაზაფხული - Yaz
გრილა - Isti
გრძელი - Uzun
დგამს - qoyur
დნება - əriyir
ზამთარი - Qış
ზაფხული - Yay
თებერვალი - Fevral
თოვლი - Qar
თოვს - Qar yağır
იანვარი - Yanvar
ივლისი - Iyul
ივნისი - Iyun
მაისი - May
მარტი - Mart
მოკლე - Qısa
ნაძვი - Şam ağacı
ნოემბერი - Noyabr
ოქტომბერი - Oktyabr
სექტემბერი - Sentyabr
სიცივე - soyuq
უყვარს - Sevir
შემოდგომა - Payız
წვიმს - Yağır
წუხელ - Dünən

ფრაზები - İFADƏLƏR

ახალი წელი - Yeni il

ბედნიერ ახალ წელს გისურვებ! - Uğurlu Yeni il arzulayıram!

დიდი ხნით - Uzun müddətə

ნაძვის ხე - Şam ağacı

ცოტა ხნით - Az müddətə

გაკვეთილი 17

ფერები

1. მოისმინეთ დიალოგი №47.

2. მონიშნეთ, სწორია თუ არასწორი:

ის ჩემი დის მეგობარია, მას ნანა ჰქვია.
ნანას იისფერი კაბა აცვია და გრძელი წაბლისფერი თმა აქვს.
ნანა ბექას მეგობარია.
ანას ძაღლი ჰყავს.
ცხოველები ფერებს ვერ არჩევენ.

3. მოისმინეთ ტექსტი №48 და უპასუხეთ კითხვებს: (25-4-მ).

4. მონიშნეთ, სწორია თუ არასწორი:

ბექა მხატვარია.
ბექა გიორგის მოსწავლეა.
ბექა გიორგის ხატვას ასწავლის.
გიორგის ფერადი ფანქრები და საღებავები აქვს.
გიორგი ადრე საღებავებით ხატავდა.
გიორგი შემოდგომის თბილისს ხატავს.
მზე ოქროსფერია.
ბექას არ მოსწონს გიორგის ნახატი.

5. უპასუხეთ კითხვებს:

რას ასწავლის ბექა თავის მოსწავლეს?
წელიწადის რომელი დროა?
რის შემდეგ მიდის ბექა დასახატად?
რა იცის მასწავლებელმა?
როგორი მოსწავლეა გიორგი?
რომელ ქალაქში ცხოვრობენ მოსწავლე და მასწავლებელი?
რომელი სიტყვის სინონიმია მოწაფე?
რომელი სიტყვის სინონიმია წინათ?

6. წაიკითხეთ ტექსტი:

–თეა, სად იყავი ამ ზაფხულს, ზღვაზე თუ მთაში?

–ზღვაზე ვიყავი, წელს ზღვა ძალიან კარგი იყო, ძალიან ლერწი.

–შენ სად იყავი?

–მე მთაში, რაჭაში.

–რაჭა სად არის?

–რაჭა საქართველოს ერთ–ერთი კუთხეა, სოფლები მაღალ მთებზეა. ჩვენ იქ სოფელი გვაქვს. მე ძალიან მიყვარს რაჭა. ივლისში მივდივართ და აგვისტოს ბოლოს ჩამოვდივარ. ხოლმე.

–ზამთარში არ მიდიხართ?

–კი, ზამთარში დიდი თოვლი დევს რაჭაში და ძალიან ლამაზია. მთები, სოფლები, სახლები თეთრია, ცაც თეთრია. ზაფხულში კი მთები მწვანეა, მინდვრები ფერადია, იქ ფერად–ფერადი ყვავილები იზრდება, ცა ძალიან ლურჯია და მზე – ოქროსფერი.

– ძალიან მინდა რაჭის ნახვა.

–მე ზღვაზე არ ვყოფილვარ, როგორია ის?

–ზღვა ლურჯია, ზოგჯერ მწვანეც, წვიმის დროს ღელავს და რუხი ან ყავისფერი ხდება. ამ დროს ზღვაში შესვლა არ შეიძლება. ნაპირზე სილაა ან ქვები. თუ ნაპირზე სილაა, მას სილიან ნაპირს უწოდებენ, თუ ნაპირზე ქვებია, მას ქვიანი ნაპირი ჰქვია. პატარა ქვებს კენჭებს ეძახიან. ზღვის ნაპირზე ზოგი კენჭი ფერადია: მწვანე, იისფერი, ცისფერი.

–მე მომავალ წელს აუცილებლად წავალ ზღვაზე.

–მე რაჭაში წავალ.

7. ამოიწერეთ ტექსტიდან უცხო სიტყვები და მოიძიეთ ლექსიკონში.

8. უპასუხეთ კითხვებს წერილობით:

სად დაისვენა თეამ ზაფხულში?

_____

მოეწონა თეას ზღვა?

_____

სად არის რაჭა?

_____

_____

რაჭა მაღალ ადგილზეა თუ დაბალზე?

_____

ნამყოფია თეა რაჭაში?

_____

როგორია ზამთარში რაჭა?

_____

_____

როდის არ შეიძლება ზღვაში შესვლა?

_____

_____

9. დაწერეთ მცირე ზომის თხზულება: ზღვაზე.

10. წაიკითხეთ მოთხრობა:

საღებავების კამათი

დალი თაყაძის მიხედვით

საღებავებს კამათი მოუვიდათ. ვერ შეთანხმდნენ, რომელი უფრო ლამაზი იყო. მივიდნენ ფუნჯთან, – ტყუილ-მართალი შენ გაგვირკვიეო.

– ჯერ თქვენ თქვით, – უთხრა მათ ფუნჯმა, – მე კი მოგისმენთ.

– მე ყანებს ყვითლად ვაფერადებ, – დაიწყო ყვითელმა საღებავმა.

წითელმა სიტყვა გააწყვეტინა:

– იმ ყანებს ყაყაჩო რომ წითლად გამოერევა, ხომ ლამაზია?

– წითელო, უჩემოდ რას გახდებოდი? – გაჯავრდა შავი საღებავი, – ყაყაჩოს ეშხს მე ვანიჭებ. მისი გული ხომ შავია.

– მე არაფერს წარმოვადგენ? – გაწიწმატდა მწვანე, – ყაყაჩო რა იქნებოდა, მისი ფოთლები რომ მწვანედ არ შემეღება.

– მე არაფერს მათქმევინებთ? – გაბრაზდა ლურჯი, – ერთი ცას ახედეთ, თქვენს ყანებს და ყაყაჩოებს რომ გადმოჰყურებს. ეს ცა ჩემი მოხატულია.

ფუნჯი მხატვართან მივიდა. სთხოვა, საღებავები შენ მოარიგეო. მხატვარმა დახატა ყვითლად მოელვარე ყანა. ყანაში - წითლად მოელვარე ყაყაჩოები... მინდვრის ყვავილებს ძალიან უხდებოდათ მწვანე ფოთლები და შავი გული. ყანას და ყაყაჩოებს ზემოდან ლურჯი ცა გადმოჰყურებდა.

საღებავებმა ნახეს სურათი და შერცხვათ. მიხვდნენ, რომ ერთად უფრო ლამაზები იყვნენ. გადაწყვიტეს, ამიერიდან მეგობრულად ეცხოვრათ.

11. გადმოეცით ტექსტის შინაარსი თხრობით.

12. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

კომპოზიტები (ც-ის+ფერი)

ორი ან მეტი სიტყვის შეერთებით მიღებულ სიტყვას კომპოზიტი ეწოდება. ქართულში ხშირია რთული სიტყვების წარმოება; ჩვეულებრივია ფუძის გაორკეცებით ან ორი სხვადასხვა სიტყვის შეერთებით მიღებული სიტყვების გამოყენება: *ნელ-ნელა, ქუჩა-ქუჩა, დედ-მამა...* რთული სიტყვების წარმოებისას ხშირად გამოიყენება ნათესაობითი ბრუნვა კომპოზიტის პირველ შემადგენელ ნაწილად: *ქინძ-ის + თავი; ჯარ-ის + კაცი, ც-ის + ფერი...*

13. მოიძიეთ ტექსტში კომპოზიტები და ამოიწერეთ

_____

_____

_____

ფუძემონაცვლე "ამბობს" ზმნის ფორმები და კონსტრუქცია

"ამბობს" თავისებური ზმნაა. ის სხვადასხვა დროის გამოხატვისას იცვლის ფუძეს:

ახლანდელი:	*ამბობ–ს*
მომავალი:	*იტყვი–ს*
წარსული:	*თქვ–ა.*

ახლანდელი		*მომავალი*		*წარსული*	
მე	ვ–ამბობ	მე	ვ–იტყვი	მე	ვ-თქვი
შენ	ამბობ	შენ	იტყვი	შენ	თქვი
ის	ამბობ–ს	ის	იტყვი–ს	მან	თქვ–ა

14. მონიშნეთ სწორი ფორმა

1. ანა გალაკტიონ ტაბიძის ლექსს ....

ა) თქვა

ბ) ვამბობ

გ) ამბობს

2. ხვალ ზაზა ტელეგადაცემის სტუმარია და საინტერესო სიტყვას ....

ა) იტყვი

ბ) იტყვის

გ) ვიტყვი

3. ნიკამ ..... გუშინ სკოლაში არ ვიყავიო.

ა) ვთქვი

ბ) თქვა

გ) თქვი

15. შეავსეთ ცხრილში გამოტოვებული ადგილები

ახლანდელი		*მომავალი*		*წარსული*	
მე	ვ–ამბობ	მე	ვ–იტყვი	მე	_____
შენ	ამბობ	შენ	_____	შენ	თქვი
ის	_____	ის	იტყვი–ს	მან	თქვ–ა

ლექსიკონი

გული - Ürək
ენძელა - novruzgülü
ეშინია - Qorxur
იასამანი - Yasəmən
იისფერი - Bənövşəyi
იფარება - örtür
იცვლის - Dəyişir
კაბა - Don
კენჭი - Daş
კესანე - Yaddaşçiçəyi
კუთხე - Künc
ლურჯი - Göy
მთა - Dağ
მინდორი - Çöl,çəmən
მუქი - Tünd
მხატვარი - Rəssam
ნაპირი - Kənar,qıraq
ნარინჯისფერი - Narıncı

ნაცრისფერი - Boz rəng
ოქროსფერი - Qızılı(rəng)
რუხი - Boz
საღებავი - Boya
სილა - Torpaq
ტონი - Ton
ფანქარი - Qələm
ფერადი - Rəngli
ფერი - Rəng
ფოთოლი - Yarpaq
ქვა - Daş
ქრება - Sönür
ღელავს - Narahat olur
ღია - Açıq
ღრუბელი - Bulud
ყავისფერი - Qəhvəyi
ყეფს - Hürür
ყოჩივარდა - Alpbənövşəsi
ყრია - Tökülüb
ჩანს - Görünür
ცისარტყელა - Göyqurşağı
ცისფერი - Mavi
ძაღლი - It
წაბლისფერი - Şabalıdı
ხატვა - Rəsm

ფრაზები - İFADƏLƏR

მომავალ წელს - Gələn il
მუქი ფერი - Tünd rəng
ნუ გეშინია - Qorxma
ღია ფერი - Açıq rəng

გაკვეთილი 18

სხეული

1. მოისმინეთ ტექსტი №49:

3. შეაერთეთ კითხვასთან სწორი პასუხი:

რა ნაწილებისგან შედგება ადამიანის სხეული?	კისერი.
	ყელი.
სხეულის რა ნაწილი აკავშირებს ერთმანეთთან თავს და ტანს?	ოცდათორმეტი.
რა არის ცხვირის ქვემოთ?	თეთრი.
სად არის კბილები?	კეფა.
რამდენი კბილი აქვს ადამიანს?	პირი.
რა ფერისაა კბილები?	ცერა თითი, საჩვენებელი თითი, შუა თითი, არათითი
რა ჰქვია თავის უკანა ნაწილს?	და ნეკა თითი.
რა ჰქვია კისრის წინა ნაწილს?	თავი, ტანი და კიდურები.
რა სახელები აქვს თითებს?	პირის ღრუში.

3. მიუწერეთ, სწორია თუ არასწორი:

ადამიანის სხეული შემდეგი ნაწილებისგან შედგება: თავი, ტანი და კიდურები. _____

სახის ზედა ნაწილი შუბლია. _____

ცხვირის ქვემოთ თვალია. _____

თვალებსა და შუბლს შორის წარბებია. _____

ადამიანს ოცდათორმეტი კბილი აქვს. _____

კბილები შავია. _____

ადამიანს აქვს კიდურები: ერთი ფეხი და ერთი ხელი. _____

თითები მთავრდება ფრჩხილებით. _____

4. მოიძიეთ ლექსიკონში ახალი სიტყვები და განმარტეთ.

5. დააკვირდით ნახატს:



6. დაწერეთ ადამიანის სხეულის აგებულების შესახებ.

7. წაიკითხეთ მოთხრობა:

იაკობ გოგებაშვილი

ჩხუბი ადამიანის სხეულის ნაწილებისა

ერთხელ ადამიანის სხეულის ნაწილებმა ჩხუბი დაიწყეს.

ფეხებმა თქვეს:

– აღარ გვინდა თქვენი ტარება. თქვენ თვითონ იარეთ!

ხელებმა წამოიძახეს:

– აღარ გვინდა ამდენი მუშაობა თქვენთვის! თქვენ თვითონ იმუშავეთ!

პირმა წაიბუტბუტა:

– ადარ მინდა თქვენთვის საჭმლის ღეჭვა! თქვენ თვითონ ჭამეთ!

თვალები ამბობდნენ:

– ადარ გვინდა თქვენი ამდენი დარაჯობა!

ყურებმაც ხელი აიღეს სმენაზე.

ასე წაიჩხუბნენ ადამიანის სხეულის ნაწილები და შეწყვიტეს ერთმანეთის სამსახური. მაგრამ სხეულის ყველა ნაწილი დასუსტდა, სხეული გახდა და სიკვდილზე მიდგა. მაშინ მიხვდნენ ნაწილები, რომ ჩხუბით ისინი ერთმანეთს დაღუპავდნენ. ისევ შერიგდნენ, დაიწყეს ერთმანეთის დახმარება და სხეული ისევ საღი და ღონიერი შეიქნა.

8. ამოიწერეთ ტექსტიდან უცხო სიტყვები და მოიძიეთ ლექსიკონში.

9. გადმოეცით ტექსტი თხრობით.

10. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი

11. წაიკითხეთ ტექსტი:

ეს მარიამის და ნინოს სურათია.

მარიამი ძალიან ლამაზი ქალია. მას აქვს გრძელი წაბლისფერი თმა. მისი თმა ხვეულია. მაღალი შუბლი. დიდი შავი თვალები გრძელი წამწამებით. მაღალი ყელი.

მარიამი მაღალია. მას მოხდენილი ტან–ფეხი აქვს.

მარიამი შავგვრემანია.

ამ სურათზე მარიამის გვერდით ნინო დგას. ნინოც ლამაზი ქალია. მას სწორი ქერა თმა აქვს.

ნინოს ძალიან ლურჯი თვალები აქვს, მაღალი შუბლი და დიდი წარბები.

ნინო შავგვრემანი არ არის, ის თეთრია.

ნინო მარიამზე მაღალი არ არის, მარიამი ნინოზე დაბალი არ არის. ისინი ტოლები არიან.

12. **უპასუხეთ კითხვებს:**

რამდენი ადამიანია სურათზე?

მარიამს სწორი თმა აქვს?

რა ფერის თვალები აქვს მარიამს?

როგორია ნინოს თმა?

რომელია თეთრი ქალი, ნინო თუ მარიამი?

13. **თქვენი სიტყვებით აღწერეთ მარიამის და ნინოს სურათი.**

14. **წაიკითხეთ ტექსტი:**

დრაკონი

შესავალი

ერთ უცნაურ ცხოველზე მინდა მოგიყვეთ. ეს ცხოველი უცნაური იმიტომ არის, რომ დანამდვილებით ვერ იტყვი, ის მართლა რეალურია თუ გამოგონილი, როგორც ზღაპრის გმირი. ცხოველია მეთქი - გეუბნებით, მაგრამ თქვენ შეიძლება ის ფრინველიც კი გეგონოთ და არც შეცდებით, რადგან ძალიან კარგად დაფრინავს. ამ ცხოველმა თუ ფრინველმა იმდენად კარგად იცის ცურვა და მიწაზე ხოხვაც, რომ ქვეწარმავალიც კი გეგონებათ. ძალიან უცნაურია, არა? ნუ დაიბნევით, ყველაფერს თანმიმდევრობით მოგიყვებით მასზე და ბოლოს თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ, ის ცხოველებს მიაკუთვნოთ, ფრინველებს თუ ქვეწარმავლებს.

დრაკონის გარეგნობა

ამ უცნაურ არსებას დრაკონი ჰქვია. ის რეალურად არავის უნახავს, თუმცა მითები და ლეგენდები მისი არსებობის შესახებ ბევრს გვიყვებიან. დრაკონი უზარმაზარი ცხოველია და ყველა სხვა ცხოველისგან განსხვავდება. მისი სხეულის ნაწილები სხვადასხვა ცხოველის სხეულის ნაწილებია. მაგალითად, დრაკონს თავი აქლემისა აქვს, ყურები - ძროხის, რქები - ირმის, წელს ქვემოთ, უკანა ნაწილი ნიჟარას მოგაგონებთ. დრაკონს ტანზე თევზის ფარფლები აყრია, ფრთები არწივისა აქვს, თათები - ვეფხვის, თვალები კი - ეშმაკის...

აი, ასეთი უცნაური სხეულის აგებულება აქვს დრაკონს. სწორედ ამიტომ შეუძლია მას ფრენა, ცურვა, მიწაზე ხოხვა და, რაც ყველაზე მთავარია, პირიდან ცეცხლის გამოშვება.

ზოგი მითი ერთთავიანი დრაკონის შესახებ მოგვითხრობს: ამ მითებში დრაკონი ზუსტად ასეთია, როგორც აქ აღვწერეთ, მაგრამ ზოგიერთი დრაკონი მრავალთავიანია. ხან ოთხფეხიანი დრაკონია დახატული ძველ სურათებზე, ხანაც - ორფეხა.

ყველა ქვეყანაში დრაკონებზე სხვადასხვანაირი წარმოდგენა ჰქონდათ და ამიტომაც იყო მათი გარეგნობა ყველგან განსხვავებული.

15. წერილობით გადმოეცით დრაკონის გარეგნობა:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

ქონა-ყოლის გამომხატველი ზმნების უღლება

ჰყავს, აქვს *ზმნების უღლება თავისებურებებს იჩენს: იცვლება ამ სიტყვების ფუძე* როგორც მომავალ, ისე წარსულ დროებში:

ჰყავს

ახლანდელი		*მომავალი*		*წარსული*	
მე	მ–ყავ–ს	მე	მ–ეყოლებ–ა	მე	მ–ყავდ–ა
შენ	გ–ყავ–ს	შენ	გ–ეყოლებ–ა	შენ	გ–ყავდ–ა
მას	ჰ–ყავ–ს	მას	ეყოლებ–ა	მას	ჰ–ყავდ–ა

აქვს

ახლანდელი		*მომავალი*		*წარსული*	
მე	მ–აქვ–ს	მე	მ–ექნებ–ა	მე	მ–ქონდ–ა
შენ	გ–აქვ–ს	შენ	გ–ექნებ–ა	შენ	გ–ქონდ–ა
მას	აქვ–ს	მას	ექნებ–ა	მას	ჰ–ქონდ–ა

16. ამოიწერეთ ტექსტიდან ჰყავს, აქვს ზმნები. მიუწერეთ, რომელი დროის ფორმაა:

_____ - _____

_____ - _____

_____ - _____

"-თან" თანდებული ადგილმდებარეობის გამოსახატავად

რაიმეს ან ვინმეს გვერდით // ახლოს ადგილის აღსანიშნად ქართულში –თან თანდებული გამოიყენება:

სახლ-თან დგას, ჩემ-თან დგას; დედა-ს-თან დგას...

თანხმოვანზე დაბოლოებულ სიტყვებთან –თან პირდაპირ დაერთვის ფუძეს; ხმოვანფუძიან სიტყვებთან აუცილებელია მიცემითი ბრუნვის –ს ნიშანი:

გოგო-ს-თან; ქუჩა-ს-თან, ეზო-ს-თან...

17. ჩასვით წინადადებაში –თან თანდებულიანი სწორი ფორმა

ჩემი შვილი ———————— თამაშობს. (სახლი)

———————— გვიანობამდე დავრჩი. (მეზობელი)

მანაქანას ———————— ვერ გააჩერებ. (ეზო)

ვინ დგას ———————— ? (დედა)

18. ამოიწერეთ ტექსტებიდან –თან თანდებულიანი სიტყვები:

_____

_____

_____

ლექსიკონი

ადამიანი - Insan
არათითი - Adsız barmaq
გამხდარი - Arıq
გვერდით - Yanı,yanakı
ეტყვის - Deyəcək
ზის - Oturur
თვალი - Göz
თითი - Barmaq
თმა - Saç
კარი - Qapı
კბილი - Diş
კეფა - Boyun ardı
კიდური - əl-ayaq
კისერი - Boyun
მარცხნივ - Sola
მარჯვნივ - Sağa
მოხდენილი - Baş bermiş
მსხვილი - Iri
მხარი - Öküz
ნიკაპი - Çənə
პირი - Ağız
სახე - Üz,sifət
სუსტი - Zəif
სხეული - Bədən
ტანი - Bədən,gövdə
ტუჩი - Dodaq
ფრჩხილი - Dırnaq
ქერა - Sarışın
ქუთუთო - Gpz qapağı
ყელი - Boğaz
შაგვრემანი - qarayanız
შუბლი - Alın
ცერა - Baş barmaq
ცხვირი - Burun
წამწამი - kirpik
წარბი - Qaş
წვრილი - Xırda
ხელი - əəəl
ჰყავს - Varıdır

ფრაზები - İFADƏLƏR

ადამიანის აგებულება - İnsanın quruluşu

ზურგით დგას - Arxası ilə durur

ნეკა თითი - Çeçələ barmaq

პირის ღრუ - Ağız boşluğu

საჩვენებელი თითი - Şəhadət barmağı

ქერა თმა - sarısaçlı

შუა თითი - Orta barmaq

ჭაღარა თმა - Ağ saç

ხელის მტევანი - əlin içi, ovuc

ხვეული თმა - Qıvrım saç

გაკვეთილი 19

ჯანმრთელობა, ექიმი

1. მოისმინეთ დიალოგი №50:

2. შეაერთეთ კითხვები სწორ პასუხებთან:

–თეა, სად იყავი გუშინ დილით?	–კი, ძალიან და ვერ მივდივარ!
–დიდი რიგი იყო?	–არა, არაფერი გამიგია.
–გეტკინა?	–სტომატოლოგთან წავედი. კბილი მქონდა ამოსაღები.
–შენ გაწუხებს კბილი?	–მე დავრეკე და ჩავეწერე, თერთმეტ საათზე დამიბარეს.

3. გადმოეცით თხრობით თქვენი მოგონება: კბილის ექიმთან (გამოიყენეთ დიალოგიდან ახალი სიტყვები და ფრაზები).

4. ყურადღებით მოისმინეთ ტექსტი №51:

5. ჩაიწერეთ პირად ლექსიკონში ახალი სიტყვები და განმარტეთ.

6. გადმოეცით მოკლე შინაარსი მესამე პირში.

7. ტექსტიდან ამოიწერეთ სიტყვები და ფრაზები, რომლებიც ავადმყოფობას უკავშირდება.

_____

_____

_____

8. <u>საავადმყოფო</u> – დაუკვირდით ამ სიტყვას. როგორაა იგი მიღებული?

9. ისაუბრეთ ქვემოთ მოყვანილი სქემის მიხედვით.



10. მოისმინეთ ტექსტი №52:

11. დაიმახსოვრეთ ქვემოთ წარმოდგენილი ფრაზები და მათი გამოყენებით შეადგინეთ ტექსტი: „ჩემი მეგობარი ავად გახდა...“

– თავს როგორ გრძნობ? როგორ ხარ?
– ძალიან ცუდად ვარ. ახლა ცოტათი უკეთ ვარ. თავს კარგად ვერ ვგრძნობ.
– საშინლად ვარ გაციებული. თავი მტკივა. სურდოც მაქვს. სიცხე დაბალი მაქვს.
– მაღალი სიცხე მაქვს. მე მგონი, გრიპია.
– რა გაწუხებთ?
– მახველებს. არ მახველებს, მაგრამ სურდო მაქვს.
– სურდო არ მაქვს, მაგრამ მახველებს.
– რამდენიმე დღეა, მაღალი სიცხეები მაქვს.
– უბნის ექიმი გამოიძახე? წამლები დაგინიშნა?
– უკვე კარგად ვარ. გამოვჯანმრთელდი.
– ძალიან ცუდად იყო. სასწრაფო დახმარება გამოიძახეთ.
– სიცხე არ მაქვს, მაგრამ მაციებს. ეტყობა სიცხე ამიწევს.
– სიცხის დამწევი უნდა დალიო.
– გრიპის საწინააღმდეგო რა მიიღე?

– წამლებთან ერთად ბევრი სითხე მიიღეთ.
– წნევამ ამიწია. წამალი დავლიე, მაგრამ არ დამიგდო.
– გულის წნევა მაღალი მაქვს.
– გული მაწუხებს. მოვლით ტკივილებს ვგრძნობ.

12. შედგენილი ტექსტების პრეზენტაცია (მონაწილეობს ინდივიდუალურად ყველა შემსწავლელი).

13. მოისმინეთ ტექსტი №53:

14. დაყავით ტექსტი 3–4 ეპიზოდად და გადმოეცით თითოეულის მოკლე შინაარსი.

15. გადმოეცით ტექსტის შინაარსი სრულად.

16. შეაფასეთ ნანას საქციელი (დაწერეთ).

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

17. წაიკითხეთ ტექსტი:

* * *

იმ დილით მწვავე ტკივილმა გამომაღვიძა. კუჭი მტკიოდა. სასწრაფო დახმარების მანქანა გამოვიძახეთ. ათ წუთში მოვიდნენ. გამსინჯეს და გადაწყვიტეს, რომ საავადმყოფოში ვიყავი წასაყვანი. როგორც გამოირკვა, სასწრაფო ოპერაცია იყო გასაკეთებელი. ნარკოზი გამიკეთეს და რომ გამომეღვიძა, ყველაფერი დამთავრებული იყო. ჯერ რეანიმაციის განყოფილებაში ვიწექი, მხოლოდ მეორე დღეს დამაწვინეს პალატაში. ოპერაციის მერე მაღალი სიცხეები და ტკივილები მქონდა, მაგრამ გამაყუჩებელი ნემსი გამიკეთეს და ტკივილები მომეხსნა. დიდხანს მეძინა. კრიტიკულმა პერიოდმა მესამე დღეს გაიარა. მერე უკვე გაცილებით კარგად ვგრძნობდი თავს. მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩემი მეუღლე მიელიდა. მნახველები ყოველ წუთში აღებდნენ პალატის კარებს. მოდიოდნენ ჩემი მეგობრები, ნათესავები, მეზობლები, თანამშრომლები. ერთ კვირაში გამომწერეს. ყველაფერი კარგად დამთავრდა

18. ამოიწერეთ ტექსტიდან უცხო სიტყვები, მოიძიეთ ლექსიკონში.

19. გადმოეცით ტექსტის მოკლე შინაარსი თქვენი სიტყვებით.

მიზეზის გამოხატვა

მიზეზს (კითხვები: *რატომ? რის გამო? რა მიზეზით?*) გამოხატავს ზმნიზედები: *იმიტომ, ამიტომ,* ან თანდებულიანი სახელები: *ამის გამო, იმის გამო...* წინადადებაში მიზეზის გამოსახატად ამ სიტყვებს ხშირად მოსდევს *რომ* კავშირი:

სახლში იმიტომ წავედი, რომ გაკვეთილები გაცდა.

რატომ აცდენდი გაკვეთილებს ასე ხშირად? – იმიტომ, რომ ავად ვიყავი.

ბავშვებმა შიშისაგან ტირილი დაიწყეს.

ავადმყოფობის გამო ორი დღე სკოლაში ვერ წავედი.

დავალება იმიტომ ვერ დავწერე, რომ ძნელი იყო.

20. ჩასვით სწორი დაბოლოება: –ში, –ის გამო, –ის, –ად, –ისგან

1. ზაზა საავადმყოფოში წევს, ის ცუდ..... არის.
2. ავადყოფობ..... გამო ანო ხშირად აცდენს გაკვეთილებს.
3. სახლ..... იმიტომ წავედი, რომ ცუდად ვიყავი.
4. ნიკას სიცხის..... შუბლზე ოფლი ჩამოსდიოდა.
5. სიცივ..... გამო ვარდის ბუჩქი გაიყინა.

ხოლმე ნაწილაკი

ხოლმე ნაწილაკია, რომელიც გამოხატავს მოქმედების მრავალგზისობას, სიხშირეს. იგი შეიძლება დაერთოს ზმნის ახლანდელი დროის ფორმას და აღნიშნავს, რომ ზმნით გამოხატული მოქმედება განმეორებადია, ხშირია, მრავალჯერ ხდება. ხოლმე ნაწილაკი ყოველთვის მოსდევს ზმნას.

ზმნა + ხოლმე

მუშაობს ხოლმე
წერს ხოლმე
მოდის ხოლმე
ვხუმრობთ ხოლმე
ვთამაშობთ ხოლმე
ვიცინით ხოლმე

21. შეადგინეთ წინადადებები ხოლმე ნაწილაკიანი ფორმების გამოყენებით

კუმშვა და კვეცა

სიტყვის შიგნიდან ხმოვნის დაკარგვას კუმშვა ჰქვია, ბოლო ხმოვნის ჩამოშორებას კი - კვეცა.

კუმშვა ხდება 3 ბრუნვაში: ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში:

ქათამ–ი – ქათმ–ის, ქათმ–ით, ქათმ–ად

მასწავლებელი – მასწავლებლ–ის, მასწავლებლ–ით, მასწავლებლ–ად...

კვეცა მხოლოდ 2 ბრუნვაში გვაქვს – ნათესაობითსა და მოქმედებითში:

დედა – დედ–ის, დედ–ით

სარკე – სარკ–ის, სარკ–ით

რკ–ის, სარკ–ით...

22. ჩასვით სწორი ფორმები:

სახელობითი	*ნათესაობითი*	*მოქმედებითი*	*ვითარებითი*
მამალი	_____	_____	_____
კალამი	_____	_____	_____
ბეჭედი	_____	_____	_____
მატარებელი	_____	_____	_____
ალუბალი	_____	_____	_____

23. მიუწერეთ სწორი ფორმები:

	ნათესაობითი	*მოქმედებითი*
მამა –	_____	_____
კლდე –	_____	_____
ზღვა –	_____	_____
ტბა –	_____	_____
ხე –	_____	_____
სახე –	_____	_____

ლექსიკონი

ავადმყოფი - Xəstə
ამოსაღები - Götürülmüş,alınmış
აფთიაქარი - əczaçı
აფთიაქი - Aptek
აღფრთოვანებული - Heyran qalmış
ახველებს - Öskʀrʀr
ბრაზდება - Hirslənir,qəzəblənir
გამოცდილი - Təcrübəli
გამოჯანმრთელება - sağalma
გაოცდება - Təəccüblənəcək
გართულება - Mürəkkəbləşəcək
გაციებული - soyuqlamış
გოგონა - Qızcığaz
გრიპი - Qrip
გრძნობს - Hiss edir
დალევს - Içir
დამწუხრებული - Narahat olmuş
დასრულება - Son, başa çatma
ეღიმება - Gülümsəyir
ეჩქარება - Tələsir
თერმომეტრი - Termometr
იშმუშნება - əyilir, büzülür
იხრება - Tərpənir, əyilir
კლინიკა - Klinika
მიღება - Qəbul
მკვახე - Kal
მკურნალობს - Müalicə olunur
მოარჩენს - Sağaldır
მოთმინებადაკარგული - Hövsələsiz,səbirsiz
მოიფიქრებს - Fikirləşir
მოულოდნელად - Gözlənilməz
მუცელი - Qarın
ოკულისტი - Okulist(göz həkimi)
ოპერაცია - əməliyyat
რწმენა - Inam
სასწაული - Möcüzə
საუბარი - Söhbət
საშიში - Qorxu
სისუსტე - Zəiflik
სიცოცხლე - Həyat
სტკივა - Ağrıyır
სტომატოლოგი - Stomatoloq
სუნთქვა - Nəfəs
სუფთა - Təmiz
სჭირდება - Lazımdır
უფასო - Pulsuz
უყრის - Səpir,tökür
უცხოეთი - Xaric
უჭერს - Saxlayır, tutur
უხერხული - Narahat, münasib olmayan
ფილტვი - Ağciyər
ფიქრობს - Fikirləşir
ქირურგი - Cərrah
ღიმილი - Təbəssüm
შესჩივის - Şikayətlənir
შეუპოვრობა - Dəyanət, dözümlülük
ცრემლმორეული - Göz yaşlarına qərq olmuş
ძვირადღირებული - Bahalı
წამალი - Dərman
ჯანმრთელი - Sağlam

ფრაზები - İFADƏLƏR

ავად არის - Xəstədir

არ იშლის თავისას - Özününkünü açmır

აჩქარებული პულსი - Tez-tez döyünən nəbz

თავბრუ ეხვევა - Başı gicəllənir

თერმომეტრის ჩადება - Termometr qoymaq

თვალების გახელა - Ziyalı görünüşlü

ინტელიგენტურიგარეგნობის -

კბილის ამოღება - Dişini çıxarmaq

მაღალი სიცხე - Yüksək hərarət

პულსის გასინჯვა - Nəbzini yoxlamaq

სასწრაფო დახმარების მანქანა - Təcili yardım maşını

სიცხის გასინჯვა - Hərarətini ölçmək

უსაზღვროდ ბედნიერი - Çox xoşbəxt

ღრმად ისუნთქეთ - Dərindən nəfəs alın

ყური მოკრა - Qulaq asdı

ცრემლიანი თვალები - Gözüyaşlı

ცუდად გრძნობს თავს - Özüni pis hiss edir

წამლის გამოწერა - Dərman yazmaq

გაკვეთილი 20

ტრანსპორტი

ავტობუსი



ტროლეიბუსი

ტაქსი

სამარშრუტო ტაქსი

1. კიდევ რომელი ტრანსპორტი იცით? ჩამოთვალეთ.

2. წაიკითხეთ ტექსტი:

ტრანსპორტი გადაადგილების საშუალებაა. დიდ ქალაქებში სხვადასხვა სახის ტრანსპორტს გადაჰყავს მგზავრები: ავტობუსს, ტროლეიბუსს, ტრამვაის, სამარშრუტო ტაქსებს; ბევრ ქალაქში არის მიწისქვეშა ტრანსპორტი – მეტრო.

* * *

– რა მარშრუტით მიდის ეს ტროლეიბუსი?
– ეს ავტობუსი ქალაქის ცენტრს გაივლის?
– სად არის ტრამვაის (ავტობუსის, ტროლეიბუსის, ტაქსის) გაჩერება?
– აი ტრამვაის (ავტობუსის, ტროლეიბუსის, ტაქსის) გაჩერება.
– რა ღირს სამგზავრო ბილეთი?
– გააჩერეთ (გამიჩერეთ) თუ შეიძლება!
– რა ჰქვია მეტროს ამ სადგურს?
– როგორ მოგწონთ ჩვენი მეტრო?

3. ამ ფრაზების გამოყენებით, ააგეთ დიალოგები და გაითამაშეთ.

* * *

ავტობუსი თბილისი-სენაკი გავა 15 წუთში.
ავტობუსი თბილისი-ვალე დგას მე-5 ბაქანზე.
ავტობუსი თბილისი-წალკა გავა 20 წუთში.
მატარებელი №553 – თბილისი – ერევანი დგას პირველ ლიანდაგზე. П

4. ამოიწერეთ ახალი სიტყვები პირად ლექსიკონში და განმარტეთ.

5. მოისმინეთ დიალოგები №54: [86]

6. ახალი სიტყვები და ფრაზები ამოიწერეთ პირად ლექსიკონში და განმარტეთ.

7. თითოეულმა შემსწავლელმა შეადგინოს მცირე ტექსტი: „როგორ და რით ვმგზავრობ ქალაქში“

8. დაიმახსოვრეთ ანტონიმები:

ძველი	–	ახალი
ვიწრო	–	განიერი
ახლოს	–	შორს
ზემოთ	–	ქვემოთ
მარჯვნივ	–	მარცხნივ

9. მოისმინეთ დიალოგები №55:

10. დააკავშირეთ ერთმანეთთან კითხვა და სწორი პასუხი:

–როდის მიდიხარ?	–თბილისი–ოზურგეთი ჩამოდგება მე–2 ლიანდაგზე.
–რითი მიდიხარ?	–ხვალ.
–როდის გადის თბილისი–ოზურგეთის მატარებელი?	–თვითმფრინავით მივდივარ.
–ყველგან აჩერებს?	–მატარებელი გადის ათის ხუთ წუთზე.
–რომელ ბაქანზე ჩამოდგება ეს მატარებელი?	–არა, ყველა სადგურზე არ აჩერებს.

11. ამოიწერეთ ახალი სიტყვები და გაითამაშეთ მსგავსი დიალოგები ერთმანეთში.

12. მოსმენილი დიალოგების მიხედვით შეადგინეთ ტექსტი და აღწერეთ ზეპირად მგზავრობა სახლიდან რომელიმე ადგილამდე (ყველა სტუდენტი ინდივიდუალურად მონაწილეობს აქტივობაში).

13. ყურადღებით მოისმინეთ ტექსტი №56:

14. უპასუხეთ კითხვებს:

    რა იყო ძველ ხმელეთზე გადაადგილების საუკეთესო საშუალება?
    რა დაცურავდა ზღვაზე?
    რა მოძრაობს ახლა ხმელეთზე?
    მოძრაობს მიწისზედა და მიწისქვეშა ტრანსპორტი.
    რისგან შედგენა მატარებელი?
    რა მოძრაობს თავისი რეისით?
    რა მოძრაობდა ადრე ქალაქში?
    რომელია მიწისქვეშა ტრანსპორტი?
    რომელია საზღვაო ტრანსპორტი?
    რომელია საჰაერო ტრანსპორტი?
    რა არის ძალიან სწრაფი და კომფორტული?

15. დაწერეთ თემა: „მგზავრობა“.

უარყოფა წარსულში: არ მიყიდია – არ ვიყიდე

წარსულ დროში უარყოფის გამოსახატავად ქართულში სამი განსხვავებული ფორმა გამოიყენება:

გააკეთე? –

1. *არ გავაკეთე*
2. *ვერ გავაკეთე*
3. *არ გამიკეთებია*

პირველი ორი ფორმა ნაწილობრივ შეიცავს მიზეზს, თუ რატომ არ / ვერ შესრულდა მოქმედება: 1. კატეგორიულად არ გააკეთა მოქმედმა პირმა; 2. რაიმე მიზეზის გამო ვერ შეძლო გაკეთება; მესამე ფორმა - არ გამიკეთებია - ნეიტრალური პასუხია, ე.ი. მოქმედება ვერ შესრულდა და არ ჩანს, რა მიზეზით...

16. შეადგინეთ დიალოგი მოცემული პასუხების გამოყენებით:

_____?

– არ დამიწერია.

_____?

– არ მისწავლია, ვერ მოვასწარი.

_____?

– არ უთქვამს.

_____?

– არ ყოფილა.

იცის ზმნის უღლება

ვ-იცი	მე ის	ვ-იცი-თ	ჩვენ ის
იცი	შენ ის	იცი-თ	თქვენ ის
იცი-ს	მან ის	იცი-ან	მათ ის

ამ ზმნის მთავარი თავისებურება ის არის, რომ მესამე პირში მოითხოვს ფორმას *მან*, რაც სხვა ზმნებთან არ გვხვდება; შედარეთ: ***არის, აკეთებს, შლის, ალაგებს, სადილობს*** – **ის**; მაგრამ – ***იცის – მან***. მრავლობით რიცხვშიც განსხვავებაა:

აკეთებენ **ისინი**, მაგრამ – ***იციან მათ...***

17. წარმოადგინეთ ვიცი ზმნასთან შეწყობილი სახელი სწორი ბრუნვის ფორმით:

1. ——— ძალიან კარგად იცის ინგლისური.(ნანა)
2. ——— იცის, რომ შენთან ვარ. (დედაჩემი)
3. ——— კარგად არ იცის ფრანგული. (გიორგი)
4. ——— აზერბაიჯანელია და აზერბაიჯანული კარგად იცის. (ალი)

უქონლობა-უყოლობის სახელები

არსებითი სახელისაგან უყოლობას და უქონლობას აწარმოებს პრეფიქს-სუფიქსები: უ-ო, უ-ურ.

უ-ო: ეს პრეფიქს-სუფიქსი აწარმოებს უყოლობას ან უქონლობას: *უ-მთვარ-ო, უ-წესრიგ-ო...*

უ-ურ (ან უ-ულ) აღნიშნავს უქონლობას: *უ-მად-ურ-ი, უ-ბედ-ურ-ი...*

18. შეადგინეთ 5–5 წინადადება უქონლობისა და უყოლობის გამომხატველი ფორმების (უ-ო, უ-ურ სუფიქსებით ნაწარმოები)გამოყენებით

ლექსიკონი

აბრა - Lövhə
აქლემი - Dəvə
აჩერებს - Dayandırır, saxlayır
აჯარიმებს - Cərimələyir
ბაქანი - Perron
გარაჟი - Qaraj
გემი - Gəmi
ველოსიპედი - Velosiped
ვერტმფრენი - Helikopter
თვითმფრინავი - Təyyarə
ლიანდაგი - Rels
მართავს - Idarə edir
მატარებელი - Qatar
მეტროპოლიტენი - Metropoliten
მიკროავტობუსი - Mikroavtobus
მიუსწრებს - Çatır,ötür
მოტოციკლი - Motosikl
მძღოლი - Sürücü
ნავი - Qayıq
რთული - Mürəkkəb,çətin
სადგომი - Dayanacaq
სადგური - Stansiya
საშუალება - Vasitə
სპეციალური - Xüsusi
სპილო - Fil
სწრაფი - Sürətli,cəld
ტრამვაი - Tramvay
ტროლეიბუსი - Troleybus
უბანი - Məhlə
უძველესი - Qədim
ფრთხილი - Ehtiyatlı
ჩქარობს - Tələsiyir
ხმელეთი - Quru

ფრაზები - İFADƏLƏR

ბოლო გაჩერება - Sonuncu dayanacaq
მართვის მოწმობა - Sürücülük vəsiqəsi
მეტროს ხაზი - Metro xətti
მიწისზედა ტრანსპორტი - Yerüstü nəqliyyat
მიწისქვეშა გადასასვლელი - Yeraltı keçid
მოძრაობის განრიგი - Hərəkət cədvəli
საზოგადოებრივი ტრანსპორტი - İctimai nəqliyyat
სამგზავრო ბარათი - Gediş üçün kart
უბილეთო მგზავრი - Biletsiz sərnişin

გაკვეთილი 21

პროფესიები





ორივე ეს კონსტრუქცია თანაბრად შეიძლება გამოვიყენოთ საუბარში:

მე უნივერსიტეტში ვმუშაობ. – მე ვარ უნივერსიტეტის ლექტორი.

შენ სკოლაში მუშაობ. – შენ სკოლის მასწავლებელი ხარ.

ის მერიაში მუშაობს. – ის მერიის (მუნიციპალიტეტის) თანამშრომელია

1. წაიკითხეთ დიალოგი:

–თეა, გამარჯობა, როგორ ხარ?

–კარგად, შენ როგორ ხარ, ლუკა?

–მეც კარგად ვარ, სად მიდიხარ?

–სამსახურში რუსთაველზე.

–მეც იქით ვმუშაობ და თუ გინდა, წაგიყვან.

–დიდი მადლობა, მაგვიანდებოდა და ახლა დროზე მივალ.

–სად მუშაობ, თეა?

–მე პირველ საჯარო სკოლაში, დღეს მეორე გაკვეთილი მაქვს და ვაგვიანებ.

–რას ასწავლი სკოლაში?

–მათემატიკას.

–რომელ კლასებს ასწავლი?

–მეთერმეტესა და მეთორმეტეს. შენ სად მუშაობ?

–მე ბანკში, კრდიტების განყოფილებაში.

–ძალიან კარგი, იქვე ყოფილხარ. შენ რომელი ფაკულტეტი დაამთავრე?

–ეკონომიკის, საბანკო საქმე.

–შენ?

–მე უნივერსიტეტში, მათემატიკის ფაკულტეტი.

–კარგია, აი, მოვედით.

–დიდი მადლობა, დროზე მოვედი.

–ძალიან კარგი, აბა, კარგად, ნახვამდის!

–ნახვამდის, ლუკა.

2. ამოიწერეთ ახალი სიტყვები პირად ლექსიკონში და განმარტეთ.

3. შეადგინეთ და გაითამაშეთ მსგავსი დიალოგი.

4. მოისმინეთ ტექსტი №57.

5. ამოიწერეთ ტექსტიდან პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვები, მოიძიეთ ლექსიკონში და თარგმნეთ.

6. ახალი სიტყვების გამოყენებით, გადმოეცით თხრობით თემა: „ჩემი პროფესია“

7. წაიკითხეთ ტექსტი:

მე ნათია ვარ, ნათია იაძე. ოცი წლის ვარ და ვსწავლობ ეკონომიკის ფაკულტეტზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში მესამე კურსზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მე ეკონომისტად ვიმუშავებ რომელიმე დაწესებულებაში.

ეს ნიკაა, ნიკა ჩემი მეგობარია, მან უკვე დაამთავრა უნივერსიტეტი. ისიც უნივერსიტეტში სწავლობდა სოციოლოგიისა და პოლიტოლოგიის ფაკულტეტზე. ნიკამ მაგისტრატურაც დაამთავრა ფსიქოლოგიის განხრით და ახლა ბავშვთა ფსიქოლოგად მუშაობს ერთ–ერთ სკოლაში.

ნიკას საინტერესო პროფესია აქვს. ის მთელი კვირა მუშაობს და ისვენებს კვირის ბოლოს: შაბათ–კვირას. დღის მანძილზე მას შესვენება არ აქვს. მისი სამსახური ჩემს უნივერსიტეტთან ახლოსაა. მე ზოგჯერ ლექციებამდე ან ლექციების შემდეგ მივდივარ ხოლმე მის სამსახურში. მე ძალიან მომწონს მისი სამსახური, მისი პროფესია.

მე ვფიქრობ, ჩემი პროფესიაც საინტერესო იქნება. მე ეკონომისტი გავხდები და შევძლებ ჩემი პროფესიით მუშაობას.

მე და ნიკა ერთად ხშირად ვსადილობთ. ნიკა მიყვება თავისი პროფესიის შესახებ, ბავშვებზე. მე ვუყვები ჩემი ლექციების, გამოცდების შესახებ.

ჩვენ მეზობლებიც ვართ, მეზობლადაც ვცხოვრობთ და ნიკას ხშირად მივყავარ მანქანით უკან სახლში.

8. ამოიწერეთ ტექსტიდან ახალი სიტყვები, მოიძიეთ ლექსიკონში, განმარტეთ და შეადგინეთ ამ სიტყვების გამოყენებით წინადადებები.

9. უპასუხეთ კითხვებს:

რა პროფესიით აპირებს ნათია მუშაობას მომავალში?

სად მუშაობს ნიკა?

რას ასწავლის ნიკას დედა?

ვინ აშენებს გზებს, ხიდებსა და სახლებს?

ვის უყვარდა თავისი პროფესია ძალიან?

10. წაიკითხეთ ტექსტი:

ლუკა ჩემი ძმაა. ის ბანკში მუშაობს. სამი თვეა დაიწყო ბანკში მუშაობა და ძალიან მოსწონს თავისი სამსახური. ლუკა სწავლობდა უნივერსიტეტში საბანკო საქმეზე. ახლა საბანკო ოპერაციებს ასრულებს.

ნანა ჩემი ბიძაშვილია. ის ექსკურსიამძღოლია. ქართულის გარდა ნანა ლაპარაკობს რუსულად, ინგლისურად და ფრანგულად და ტურისტებს საქართველოს ისტორიის შესახებ უყვება ხოლმე.

ლია ჩვენი მეზობელია. ის მაღაზიის გამყიდველია. მის მაღაზიაში ტანსაცმელი და ფეხსაცმელი იყიდება.

ეკა ექთანია. ის საავადმყოფოში მუშაობს და ექიმს ავადმყოფის მკურნალობაში ეხმარება.

ლაშა მეხანძრეა. მეხანძრეები ძლიერები არიან. ლაშას უყვარს თავისი პროფესია.

ნინო მზარეული ანუ კულინარია, ის რესტორანში მუშაობს და გემრიელ საჭმელებს ამზადებს რესტორნის სტუმრებისათვის. ის ძალიან ცნობილი კულინარია.

ზურა ფოტოგრაფია. ის ცნობილ ადამიანებს ფოტოებს უღებს ჟურნალებისათვის.

ყველა პროფესია ძალიან საინტერესოა. მთავარია, ადამიანს უყვარდეს თავისი პროფესია.

11. უპასუხეთ კითხვებს:

როდის დაიწყო ლუკამ ბანკში მუშაობა?

რამდენი ენა იცის ნანამ?

რა არის ექთნის მოვალეობა?

რა პროფესია აქვს ნინოს?

ვინ იღებს ჟურნალებისათვის ფოტოებს?

ვითარებითი ბრუნვა პროფესიის გამომხატველ სახელებთან

პროფესიის გამომხატველ სიტყვებთან ხშირად გამოიყენება ვითარებითი ბრუნვა (დაბოლოებით – ად):

რად მუშაობს?	პედაგოგად დირექტორად ლექტორად ოფიციანტად

12. ამოიწერეთ ტექსტიდან პროფესიის გამომხატველი სახელები ვითარებით ბრუნვაში და შეადგინეთ წინადადებები.

_____

_____

_____

_____

_____

-ზე, –ში თანდებულები (სპეციალობის მითითება)

–ზე და **–ში** თანდებულებია. ისინი ძირითადად საგნის ადგილმდებარეობას გადმოსცემენ (*მაგიდაზე თეფშია; ჭიქაში* წყალია...); თუმცა, **–ზე** და **–ში** ზოგჯერ სხვა მნიშვნელობითაც იხმარება: უნივერსიტეტში, ფაკულტეტზე...

ამ შემთხვევაში ***–ზე, –ში*** თანდებულები პროფესიაზე ან ამა თუ იმ სპეციალობაზე მიუთითებენ:

პასანი უნივერსიტეტში სწავლობს; გიორგი სამედიცინოზე სწავლობს; ლელა იურიდიულ ფაკულტეტზეა; მე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ვკითხულობ ლექციებს...

13. ამოიწერეთ ტექსტიდან –ზე, –ში თანდებულიანი სახელები (პროფესიის, სპეციალობის გამოხატვის ფუნქციით) და შეადგინეთ წინადადებები.

14. დაწერეთ თემა: ჩემი პროფესია.

ლექსიკონი

აგვიანდება - Gecikir
ამთავრებს - Bitirir
ასრულებს - Yerinə yetirir, ifa edir
გამოცდა - Imtahan
ეკონომიკა - Iqtisadiyyat
ექთანი - Tibb bacısı
ექსკურსიამძღოლი - Ekskursiya sürücüsü
ინტერვიუ - Müsahibə
იქით - Orada
კულინარი - Kulinar
კურსი - Kurs
მეხანძრე - Yangınsöndürən
მზარეული - Aşpaz
მკურნალობა - Müalicə
მობილური - Mobil telefon
პოლიტოლოგია - Politologiya
პროფესია - Ixtisas,peşə
ჟურნალი - Jurnal

ჟურნალისტი - Jurnalist
რესტორანი - Restoran
საავადმყოფო - Xəstəxana
საინტერესო - Maraqlı
სამსახური - Iş yeri
სოციოლოგია - Sosioloq
ტელევიზია - Televiziya
ტურისტი - Turist
უყვება - Danışır
ფოტო - Foto
ფოტოგრაფი - Fotoqraf
ფსიქოლოგი - Psixoloq
ხშირად - Tez-tez

ფრაზები - İFADƏLƏR

ინტერვიუს აღება - Müsahibə almaq
კრედიტების განყოფილება - Kreditlər şöbəsi
საბანკო ოპერაცია - Bank əməliyyatı
საბანკო საქმე - Bank işi
საჯარო სკოლა - İctimai məktəb
ცნობილი ადამიანი - Tanınmış insan

გაკვეთილი 22

ჩემი მეგობრები

1. მოისმინეთ დიალოგები №58, 59.

2. სწორად დაალაგეთ არეული დიალოგი:

–გამარჯობა, დეა, როგორ ხარ?

–გაგიმარჯოს, კარგად. დღეს მე და გუგა ქეთისთან მივდივართ, შენ არ წამოხვალ?

–რა ხდება, დღეს რა დღეა?

–დაგავიწყდა? დღეს ქეთის დაბადების დღეა. ჩვენი მეგობრები იქ იქნებიან.

–როგორ დამავიწყდა! კარგი, აუცილებლად წამოვალ!

–საღამოს ექვს საათზე გამოგივლით!

–კარგი, საჩუქარი უყიდეთ?

–კი, ვუყიდეთ მე და გუგამ.

–კარგი, მე ახლა წავალ და ვუყიდი.

–საღამომდე, საღამოს მე და გუგა გუგას მანქანით გამოგივლით.

–კარგი, საღამომდე, მეც საჩუქრით დაგხვდებით.

2. მესამე პირში გადმოეცით მოსმენილი დიალოგები:

3. კიდევ ერთხელ მოუსმინეთ დიალოგებს, დაიყავით წყვილებად და გაითამაშეთ.

4. წაიკითხეთ ტექსტი:

მე ბევრი მეგობარი მყავს. ჩემი უახლოესი მეგობრები არიან აჩი და ანა. ჩვენ ერთ ეზოში ვცხოვრობთ, ერთად ვთამაშობთ, ერთად დავდივართ სკოლაში. ჩვენ ერთ კლასში ვართ.

წინა კვირას ჩვენი სახლის წინ ფეხბურთის მოედანი გააკეთეს. ბავშვებს ძალიან გაგვიხარდა, უბედნიერესები ვიყავით: ახლა ეზოში ფეხბურთის გუნდი გვყავს. მე და აჩი ამ გუნდში ვართ. ანა არ არის ამ გუნდში, ამ გუნდში მხოლოდ ბიჭები ვთამაშობთ.

დღეს თამაში გვაქვს. თამაში საღამოს შვიდ საათზე იწყება. დღეს დილიდან წვიმს. ჩვენ დილით ვივარჯიშეთ და ახლა ვისვენებთ.

მე ახლა ფანჯარასთან ვდგავარ, ვიყურები გარეთ და ვფიქრობ. ისევ წვიმს. გამვლელები ქოლგებით დადიან. ძალიან ცუდი ამინდია.

მე არ მიყვარს წვიმაში თამაში, არავის არ უყვარს წვიმაში თამაში. არც მაყურებელს მოსწონს ასეთ ამინდში სველ მოედანზე ჯდომა. დღეს წვიმამ თუ არ გადაიღო, ალბათ არავინ მოვა სტადიონზე...

თამაშის დაწყებამდე სამი საათი რჩება. მოედანი ცარიელია. ყველა თავის სახლშია თბილად და იქ უყურებს ტელევიზორს ან კითხულობს წიგნს. ჩემი კლასელები ალბათ არ მოვლენ ფეხბურთზე. არც ანა მოვა.

თამაშის დაწყებამდე ერთი საათი დარჩა. ისევ წვიმს, ძალიან წვიმს. ცუდი ამინდია.

სტადიონი სველია. ჩვენ სტადიონზე მივდივართ. ვემზადებით მატჩისთვის.

ტრიბუნებიც ივსება. მაყურებლები მოდიან და სხდებიან. ჩვენი მეგობრები უკვე მოვიდნენ. ანაც ტრიბუნაზე ზის. მე აღარ მეშინია. უკვე მომწონს წვიმაში თამაში!

თამაში დაიწყო. მოედანი სველია და სირბილი ძნელია. ჩვენ ხშირად ვეცემით მიწაზე, თამაშის დაწყებამდე ჩვენ თეთრი მაისურები გვეცვა, ახლა ჩვენი მაისურები შავია. უძნელესი ყოფილა ცუდ ამინდში თამაში.

დრო ისე გავიდა, ვერ გავიგეთ.

თამაშის ბოლოს ერთი ბურთი გავიტანეთ.

ჩვენი მეგობრები უბედნიერესები იყვნენ. ტრიბუნებზე ხტოდნენ და გვილოცავდნენ ყვირილით.

თამაში მალე დამთავრდა. ერთით ნული მოვიგეთ.

სახლებში სველები დავბრუნდით. გარეთ ისევ წვიმს. მე სახლში თბილად ვზივარ და აღარ ვფიქრობ წვიმაზე. მე ჩემს მეგობრებზე ვფიქრობ, მე ძალიან მიყვარს ისინი. ჩვენზე უკეთესი მეგობრები არავის ჰყავს!

5. უპასუხეთ კითხვებს:

რა უხარიათ ბავშვებს?

რატომ არ არის ანა ფეხბურთის გუნდის წევრი ანა?

როგორი ამინდია?

როდის არის თამაში?

რა ანგარიშით დამთავრდა თამაში?

რაზე ფიქრობს ბიჭი საღამოს?

6. მონიშნეთ, სწორია თუ არასწორი: (+ - სწორია)

მე ბევრი მეგობარი მყავს.

ჩემი უახლოესი მეგობრები არიან აჩი და ანა.

ჩვენ ერთ ეზოში ვცხოვრობთ.

ეზოში ფეხბურთის გუნდი არ გვყავს.

მე, აჩი და ანა ფეხბურთის გუნდში ვართ.

თამაში საღამოს შვიდ საათზე იწყება.

დღეს დილიდან კარგი ამინდია.

ჩვენ დილით ვივარჯიშეთ და ახლა ვისვენებთ.

გამვლელები ქოლგებით დადიან.

ძალიან ცუდი ამინდია.

თამაშის ბოლოს ერთი ბურთი გავიტანეთ.

ერთით ნული წავაგეთ.

მე ძალიან მიყვარს ჩემი მეგობრები.

7. **დაწერეთ მცირე ზომის მოთხრობა მეგობრების ერთგულების შესახებ (საკუთარი გამოცდილებიდან).**

8. **თქვენი აზრით, რას ნიშნავს ანდაზა:**

„მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენ!“

დაიყავით ჯგუფებად და იმსჯელეთ. მოამზადეთ პრეზენტაციები.

9. **წაიკითხეთ იგავი:**

სოფლის მაშენებლები

ძაღლი და მამალი დაძმობილდნენ. თქვეს:

– სოფელი ავაშენოთო!

ძაღლმა ჰკითხა:

– როგორ ავაშენოთო?

მამალმა უთხრა:

– შენ იყეფე, მე ვიყივლებ და აშენდებაო.

წავიდნენ ტყეში. ძაღლმა ყეფა დაიწყო და დაეძინა. მამალი ხეზე იჯდა და ყიოდა.

მელას ხმა მოესმა, მივიდა და მამალს ჰკითხა:

– მანდ რას აკეთებო?

მამალმა უთხრა:

– სოფელს ვაშენებო!

მელამ სთხოვა:

– ჩამოდი, სახლის ადგილი მაჩვენეო!

მამალმა უპასუხა: – უფროსი მანდ წევს, ეგ გაჩვენებსო.

მელია ძაღლთან მივიდა და დაუძახა:

– ადექი, სახლის ადგილი მაჩვენეო!

ძაღლი გამოეკიდა მელას და მაგრად სცემა.

ნაცემი მელა წავიდა, გორაზე დადგა და დაუძახა:

– მე ხომ ასე დამემართა და თუ თქვენ ეგრე სოფელს ააშენებთ, მაგასაც ვნახავთო!

10. გადმოეცით იგავი თქვენი სიტყვებით.

11. რა არის იგავის დედააზრი? მასწავლებლის დახმარებით შეადგინეთ ჯერ გეგმა და შემდეგ დაწერეთ.

გეგმა:

ჰქვი-ა ზმნის უღლება ახლანდელ დროში

მე	მ-ქვია	ჩვენ	გვ-ქვია
შენ	გ-ქვია	თქვენ	გ-ქვია-თ
მას	ჰ-ქვია	მათ	ჰ-ქვია-თ

12. შეაერთეთ ერთმანეთთან სწორი ფორმები

მე	ჰქვიათ
ჩვენ	გქვია
შენ	მქვია
თქვენ	გვქვია
მას	გქვიათ
მათ	ჰქვია

ზედსართავი სახელის ხარისხის წარმოება (უ -ეს)

ზედსართავი სახელი საგნის რაიმე თვისებას გამოხატავს; ზედსართავ სახელს შეუძლია გამოხატოს აღმატებითი (უფრო მეტი – უფროობითი) ხარისხი:

მაგ. დიდი – უდიდესი (ყველაზე დიდი)

ბოროტი – უბოროტესი (ყველაზე ბოროტი)

შავი – უშავესი (ყველზე შავი, ძალიან შავი...)

აღმატებით ხარისხს აწარმოებს უ- თავსართი და -ეს ბოლოსართი: *უ-წმინდ-ეს-ი, უ-ლამაზ-ეს-ი...*

13. აწარმოეთ აღმატებითი ხარისხის ფორმები:

1. ცივ-ი - _____
2. ლამაზ-ი - _____
3. მშვენიერ-ი - _____
4. გემრიელ-ი - _____

ჯდება – სხდებიან (ზის - სხედან) დაპირისპირება

ჯდება – სხდებიან (ზის – სხედან) ფუძემონაცვლე ზმნებია; ეს იმას ნიშნავს, რომ მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში მათ განსხვავებული ფუძეები აქვთ. სამივე დროის ფორმებს ისინი განსხვავებულად აწარმოებენ:

ახლანდელი დრო

მხ. რ.			*მრ. რ.*	
მე	ვ–ჯდები	მე ვ–ზი–ვარ	ჩვენ ვ–სხდები–თ	ჩვენ ვ–სხედ–ვარ–თ
შენ	ჯდები	შენ ზი–ხარ	თქვენ სხდები–თ	თქვენ სხედ–ხარ–თ
ის	ჯდებ–ა	ის ზი–ს	ისინი სხდები–ან	ისინი სხედ–ან

მომავალი დრო

მხ. რ.			*მრ. რ.*	
მე	და–ვ–ჯდები	მე ვ–იჯდებ–ი	ჩვენ და–ვ–სხდები–თ	ჩვენ ვ–ისხდები–თ
შენ	და–ჯდებ–ი	შენ იჯდები	თქვენ და–სხდები–თ	თქვენ ისხდები–თ
ის	და–ჯდებ–ა	ის იჯდებ–ა	ისინი და–სხდები–ან	ისინი ისხდები–ან

წარსული დრო

მხ. რ.			*მრ. რ.*	
მე	და–ვ–ჯექ–ი	მე ვ–იჯექ–ი	ჩვენ და–ვ–სხედი–თ	ჩვენ ვ–ისხედი–თ
შენ	და–ჯექ–ი	შენ იჯექ–ი	თქვენ და–სხედი–თ	თქვენ ისხედი–თ
ის	და–ჯდ–ა	ის იჯდ–ა	ისინი და–სხდ–ნენ	ისინი ისხდ–ნენ

14. შეადგინეთ 2–2 წინადადება ზის, სხედან, ჯდება, სხდებიან ზმნების გამოყენებით.

ლექსიკონი

ადვილი - asan
ალბათ - Yəqin ki
გამვლელი - Ötənlər
ემზადება - Hazırlaşır
ეცემა - Yıxılır,düşür
თამაში - Oyun
იგებს - udur
იღლება - Yorulur
მაისური - Mayka
მოედანი - Meydan
საჩუქარი - Hədiyyə
სველი - Yaş,nəmli
სირბილი - Qaçış
ტრიბუნა - Tribuna
უახლოესი - Yaxınlarda
უკეთესი - ən yaxşısı
ურეკავს - Zəng eləyir
უძნელესი - ən çətin
ფანჯარა - Pəncərə
ქოლგა - Çətir
ყვირილი - Qışqırtı
ცარიელი - Boş
ხვდება - Rastlaşır

ფრაზები - İFADƏLƏR

ბურთის გატანა - Top keçirmək
ერთ საათში - Bir saata
მანქანით გამოუვლის - Maşınla gələcək
ფეხბურთის გუნდი - Futbol dəstəsi
ცუდი ამინდი - Pis hava
წვიმამ გადაიღო - Yağış keçdi

გაკვეთილი 23

თბილისი

1. მოისმინეთ დიალოგები №60, 61:

2. მონიშნეთ, სწორია თუ არასწორი:

–მე მარჯანიშვილის თეატრში მინდა მისვლა. სწორია

–მე ტრანსპორტი მჭირდება. არასწორია

მარინე თბილისში არასოდეს ყოფილა. სწორია

თბილისი ახალი ქალაქია. არასწორია

თბილისი ლამაზი ქალაქია. სწორია

თბილისი ორ ნაწილად იყოფა. სწორია

3. დაასრულეთ წინადადებები:

უკაცრავად, გზას ხომ ვერ _____?

მარჯანიშვილის ქუჩაზე როგორ _____?

აღმაშენებლის გამზირს უნდა _____.

ქუჩის კუთხეში, ხელმარჯვნივ უნდა _____.

–შენ თბილისში _____?

–არა, არასოდეს, შენ _____?

4. მოსმენილი ტექსტიდან ამოიწერეთ უცნობი სიტყვები და მოიძიეთ ლექსიკონში.

5. მოსმენილი დიალოგების მიხედვით, შეადგინეთ ტექსტი და აღწერეთ ქალაქი თბილისი.

6. წაიკითხეთ ტექსტი:

თბილისი საქართველოს დედაქალაქია. ის უძველესი ქალაქია. ლეგენდის მიხედვით, თბილისი ქართლის მეფემ, ვახტანგ გორგასალმა, დააარსა მეხუთე საუკუნეში. ის ახლანდელ თბილისთან ახლოს ნადირობდა და ხოხობი მოკლა. ფრინველი წყალში ჩავარდა. ის წყლიდან ამოიღეს მისმა მსახურებმა. ხოხობი ცხელი იყო, რადგან ის ცხელ წყალში ჩავარდა.

ვახტანგ გორგასალმა აქ ქალაქი დააარსა და თბილისი უწოდა. იმ დროს საქართველოს დედაქალაქი მცხეთა იყო. მალე დედაქალაქი თბილისში გადმოიტანეს.

თბილისში დღესაც მოედინება ცხელი გოგირდის წყალი. ეს სამკურნალო წყალია. დღეს ძველ თბილისში, ძველი ციხის, ნარიყალას ძირში, გოგირდის წყლის აბანოებია.

ძველი თბილისი ძალიან ლამაზია, იქ ძველებური სახლები და ვიწრო ქუჩებია. აქ სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობს. ძველ თბილისში დგას ქართული ეკლესია, სომხური ეკლესია, მეჩეთი და სინაგოგა.

თბილისის სტუმრებს მოსწონთ ძველი თბილისიც და ახალი თბილისიც. ახალი თბილისი ევროპული სტილისაა, ძველ თბილისში კი აზიური ელემენტი უფრო მეტია.

თბილისს მტკვარი ორ ნაწილად ჰყოფს. ქალაქს აქვს მარჯვენა და მარცხენა სანაპიროები. ეს სანაპიროები ერთმანეთთან დაკავშირებულია ხიდებით. აქ ბევრი ღირსშესანიშნავი ადგილია.

თბილისში არის მუზეუმები, თეატრები, საგამოფენო დარბაზები. რუსთაველის პროსპექტზე დგას ოპერის თეატრი, რომელიც მეცხრამეტე საუკუნეში, 1851 წელს არის აშენებული.

თბილისში ბევრი დასასვენებელი პარკი და სკვერია. მთელ ქალაქში არის რესტორნები, კაფეები, ბარები, ბევრი თანამედროვე მაღაზია და სავაჭრო ცენტრი.

მთაწმინდა თბილისის საეზიტო ბარათია.

7. **ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ააგეთ ამ სიტყვებით წინადადებები.**

8. **უპასუხეთ კითხვებს:**

ვის მიერაა დაარსებული თბილისი?
რომელია საქართველოს ძველი დედაქალაქი?
ქალაქის რომელი ნაწილია ევროპული სტილის?
რა არის დამახასიათებელი ძველი თბილისისათვის?
რომელი ადგილია თბილისის საეზიტო ბარათი?

9. **დაწერეთ თემა: თბილისი – საქართველოს დედაქალაქი; გამოიყენეთ ტექსტიდან ახალი სიტყვები.**

9. გაეცანით ნახატს.

10. უცნობი სიტყვები ამოიწერეთ პირად ლექსიკონში და განმარტეთ.

11. დაიყავით ჯგუფებად და აღწერეთ ნახატი.

12. ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი:

* * *

გუშინ გუგასთან სტუმარი ჩამოვიდა. ის გუგას მეგობარი და კურსელია. ისინი გერმანიაში სწავლობდნენ ერთად და იქ დამეგობრდნენ. ალექსი გერმანელია. ის პირველადაა საქართველოში.

გუგა მას აეროპორტში დახვდა და თავის სახლში წაიყვანა. გვიანი ღამე იყო. ალექსს უნდოდა სასტუმროში გაჩერება. გუგამ არ გაუშვა.

დღეს ალექსი და გუგა თბილისის დასათვალიერებლად მიდიან.

გუგას ალექსი ძველ თბილისში მიჰყავს. ისინი მთელი დღე დაათვალიერებენ აბანოთუბანს, ხარფუხს, ავლენ ნარიყალაზე, ნახავენ მეტეხის ტაძარს, ვახტანგ გორგასლის ქანდაკებას. მერე იქვე, რესტორანში, ისადილებენ, სადაც ქართულ ნაციონალურ კერძებს ამზადებენ.

საღამოთი კუს ტბაზე ავლენ. კუს ტბა პატარაა, მაგრამ ძალიან ლამაზია. იქვეა ეთნოგრაფიული მუზეუმი. მეგობრები მუზეუმსაც ესტუმრებიან.

ხვალ გუგა დაკავებულია. სამსახურში საქმეები აქვს და ალექსი დილით მარტო გავა ქალაქში. ალექსმა იცის, რომელ ნომერ ავტობუსში უნდა ავიდეს. ის რუსთაველზე მიდის და ისტორიის მუზეუმსა და ხელოვნების მუზეუმში შევა. შუადღისას გუგა დაურეკავს ალექსს და შეხვდება სადმე. ხვალ მეგობრები მთაწმინდაზე აპირებენ ასვლას. ღამე კი რომელიმე კლუბში წავლენ.

13. ამოიწერეთ ტექსტიდან ახალი სიტყვები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ.

14. უპასუხეთ კითხვებს:

სად გაიცნო გუგამ ალექსი?
არის თუ არა ალექსი საქართველოში ნამყოფი?
ქალაქის რომელ უბანს დაათვალიერებენ ისინი პირველად?
რას აპირებენ მეგობრები საღამოს?
როგორია მეგობრების გეგმა მეორე დღისათვის?

15. დაწერეთ თემა: გასეირნება თბილისში.

მოქმედებითი ბრუნვა – დროის გამოხატვა

მოქმედებითი ბრუნვა შედარებით იშვიათად დროსაც გამოხატავს: *დილით, საღამო–თი, ღამ–ით...*

–იდან (ით–გან) ბოლოსართის დართვით დროში საწყისობაა გამოხატული:

დილიდან ვმუშაობ; ხვალიდან ვარჯიშს ვიწყებ...

16. ამოიწერეთ ტექსტიდან მოქმედებითი ბრუნვის ფორმები დროის გამოხატვის მნიშვნელობით და შეადგინეთ წინადადებები.

გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებლები: -ეთ, სა – ო, სა – ეთ...

გეოგრაფიულ სახელთა წარმოება ქართულში მრავალფეროვანია:

–ეთ: კახ–ეთ–ი, სომხ–ეთ–ი, თურქ–ეთ–ი, რუს–ეთ–ი...

სა – ო: სა–ქართველ–ო, სა–მეგრელ–ო...

სა – ეთ: სა–ფრანგ–ეთ–ი, სა–ბერძნ–ეთ–ი...

ხშირად ქვეყნის სახელწოდება უცვლელად გადმოიცემა:

გერმანია, აზერბაიჯანი, ირანი...

17. ამოიწერეთ ტექსტიდან გეოგრაფიული სახელები და დაალაგეთ წარმოების ტიპების მიხედვით.

–ეთ: _____

სა – ო: _____

სა – ეთ: _____

სადაურობის –ურ, –ელ მაწარმოებლები

სადაურობის სახელები აწარმოებს –ელ და –ურ ბოლოსართები.

–ელ მაჩვენებელია ადამიანთა სადაურობისა: *სოფლ-ელ-ი, რაჭვ-ელ-ი;* –ელ სუფიქსი აღნიშნავს აგრეთვე მიმდევრობას, წევრობას, როდინდელობას: *რაზმ-ელ-ი, წუხანდ-ელ-ი...*

–ურ (ან –ულ) მაჩვენებელია არაადამიანთა სადაურობისა: *ქიზიყ-ურ-ი, სვან-ურ-ი, არაბ-ულ-ი.*

–ურ (–ულ) სუფიქსი გვიჩვენებს აგრეთვე თვისებას: *დედაშვილ-ურ-ი, გმირ-ულ-ი.*

18. ამოიწერეთ ტექსტიდან სადაურობის აღმნიშვნელი სახელები და დაალგეთ წარმოების ტიპების მიხედვით

–ელ: _____

–ურ: _____

–ულ: _____

წარმომავლობის მაწარმოებელი –იდან თანდებული

–იდან თანდებული, როგორც ვიცით, გამოხატავს გამოსვლითობას (*სახლიდან წავიდა; ოთახიდან გავიდა...*); –იდან თანდებული ზოგჯერ წარმომავლობას აღნიშნავს:

საიდან ხარ?

ახალციხიდან, მარნეულიდან, თბილისიდან...

19. ამოიწერეთ ტექსტიდან –იდან თანდებულიანი სადაურობის გამომხატველი სიტყვები და შეადგინეთ წინადადებები.

_____

_____

_____

_____

_____

ლექსიკონი

აბანო - Hamam
ათვალიერებს - Gözdən keçirir
ბანკი - Bank
გამზირი - Prospekt
დაკავებული - Məşğul, tutulmuş
ლეგენდა - əfsanə
მანძილი - Məsafə
მარტო - Tək,tənha
მეჩეთი - Məscid
ნადირობს - Ovlayır
ოპერატორი - Operator
პირდაპირ - Birbaşa
სანაპირო - Sahil
სინაგოგა - Sinaqoq
სკვერი - Skver
უხვევს - Dönür
ფოსტა - Poçt
ქანდაკება - Heykəl
ხელმარცხნივ - Sola

ფრაზები - İFADƏLƏR

აზიური ელემენტი - Asiya elementi

ანაბრის გახსნა - Bankda hesab açmaq

გადასახადების გადახდა - Ödənişləri keçirmək

გოგირდის წყალი - Kükürdlü su

დასასვენებელი პარკი - İstirahət parkı

ეთნოგრაფიული მუზეუმი - Etnoqrafiya muzeyi

ლეგენდის მიხედვით - Əfsanəyə əsasən

ნაციონალური კერძი - Milli xörək

საგამოფენო დარბაზი - Sərgi zalı

სავაჭრო ცენტრი - Ticarət mərkəzi

სავიზიტო ბარათი - Vizit kartı

სარეგისტრაციო ბილეთი - Qeydiyyat bileti

გაკვეთილი 24

წერილის შედგენა

1. წაიკითხეთ ტექსტი:

ალის დედა *ავადაა*, მამა კი *მივლინებაშია*. დედასთან ექიმი უნდა მოვიდეს. დედას ორი *გადაუდებელი საქმე* აქვს – ქალაქის სადგურში და *იურიდიულ კონსულტაციაში*.

უცხოეთიდან ნათესავი ჩამოდის და მას სადგურში უნდა დახვდნენ. გუშინ *დეპეშა* მიიღეს:

> მატარებელი ცხრა საათზე იქნება სადგურში. დიდი ხანია, თქვენთან არ ვყოფილვარ. მენატრებით. იმედია, მალე გნახავთ.
>
> ანასტასია

ალიმ *გადაწყვიტა*: ჯერ *იურისკონსულტთან*, მერე კი – სადგურში; მაგრამ ალიმ არ იცის, სად არის იურიდიული კონსულტაცია. დედამ ალის *წერილი* და გეგმა მისცა.

> ბატონო დავით!
>
> უკაცრავად, მე ავად ვარ და თქვენთან მოსვლა არ შემიძლია.
>
> სურათი გამოატანეთ ალის. წინასწარ გიხდით მადლობას.
>
> თამარი
>
> 15. 02. 2002

2. რა არის წერილი? წაიკითხეთ ყურადღებით:

წერილი ორგვარი არსებობს: პირადი და *ოფიციალური.* პირადი წერილი *იწყება* იმ *პიროვნების* (და მისი ოჯახის) *მოკითხვით,* ვისაც ვწერთ. ძირითად *ნაწილში* მთავარი *სათქმელი* ანუ *თემაა,* ბოლოს კი ისევ მოკითხვით ან დამშვიდობების *ფრაზებით სრულდება. რა თქმა უნდა,* ეს *საკალდებულო სქემა* არ არის: პირადი წერილი მაინც ისე *იგება,* როგორც ეს მის *დამწერს სურს.* ოფიციალური წერილები კი ძირითადად *ორგანიზაციებში იგზავნება,* ამიტომ არსებობს *გარკვეული ფორმა – შაბლონი,* რომელიც მეტ-ნაკლებად ყველამ უნდა *დაიცვას.*

3. უპასუხეთ კითხვებს:

რამდენგვარი წერილი არსებობს?

რით უნდა დავიწყოთ პირადი წერილი?

რას ვწერთ ძირითად ნაწილში? რას ვუწოდებთ სხვაგვარად მთავარ სათქმელს?

რა უნდა დავიცვათ ოფიციალური წერილების წერის დროს?

4. წაიკითხეთ ტექსტი:

არტური ახალქალაქში ცხოვრობს, მაგრამ ახლა თბილისშია. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს სამართალმცოდნეობის ანუ იურიდიულ სპეციალობაზე. მისი ნათესავები ამერიკაში ცხოვრობენ და ზაფხულში ახალქალაქში *ისვენებდნენ.*

ახლა არტური წერილს *სწერს* ჯორჯს:

გამარჯობა, ჯორჯ!

როგორ ხარ? შენი ოჯახი როგორაა?

ამ წერილს ახლა თბილისში ვწერ. ექვსი თვეა უკვე აქ ვარ, უნივერსიტეტში ვსწავლობ. ახალქალაქში დიდი ხანია, არ ვყოფილვარ. თბილისი ძალიან მომწონს, ლამაზი ქალაქია. ძველი თბილისი კი ულამაზესია. ალბათ ბევრი რამ გაინტერესებს ამ ქალაქის შესახებ.

თბილისი საქართველოს დედაქალაქია. ის უდიდესი ქალაქია საქართველოში. აქ მილიონ-ნახევარი ადამიანი ცხოვრობს. თბილისში მრავალი ისტორიული ადგილია. ქალაქში ბევრი პარკი და სკვერია, სადაც თბილისელები ისვენებენ.

თბილისის შესახებ ულამაზესი ლეგენდა არსებობს. ამ ქალაქის მშენებლობა ვახტანგ გორგასალმა დაიწყო მეხუთე საუკუნეში. ლეგენდა კი ასეთია: ვახტანგ გორგასალი ერთხელ მსახურებთან ერთად სანადიროდ წავიდა. ხოხობს ისარი ესროლეს. დაჭრილი ხოხობი დაიკარგა. ცოტა ხნის შემდეგ კი ცხელ წყაროში ნაგდებული იპოვნეს. ვახტანგ გორგასალს ძალიან მოეწონა ეს ადგილი და აქ ქალაქის აშენება ბრძანა. სახელად თბილისი დაარქვეს, რაც ნიშნავს თბილი წყლის ადგილს. თბილისში ახლაცაა გოგირდის წყლის აბანოები,

რომელიც მსოფლიოშია განთქმული.

თბილისში ბევრი ძველი უბანია. აქაა ორსართულიანი ლამაზი ხის სახლები საერთო ეზოებით, ვიწრო ქუჩები, ეკლესიები.

თბილისში ახალი უბნებიცაა. აქ ძირითადად ერთნაირი მრავალსართულიანი სახლებია და თბილისის მოსახლეობის დიდი ნაწილი ცხოვრობს.

ახლა თბილისში ბევრი ახალი მაღაზია, კაფე, ბარი და რესტორანია. თბილისი უფრო და უფრო ლამაზდება.

კარგად იყავი, შენც მომწერე. მომიკითხე შენი ოჯახი.

ბაგრატი

თბილისი, 2011 წლის 4 აპრილი

5. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით მისწერეთ პირადი წერილი მეგობარს:

6. გაეცანით ოფიციალურ წერილს:

დავით გამრეკელს
მარნეულის რაიონის გამგებლობა
25 ნოემბერი, 2011 წ.

სამშენებლო მასალების შეკვეთის შესახებ

ბატონო დავით!

ვადასტურებთ, რომ თქვენი შეკვეთა (15/09, 10.11.08) სამშენებლო მასალებზე მიღებულია. თქვენთვის საინტერესო სამშენებლო მასალები მოგეწოდებათ 48 საათის განმავლობაში თანხის ნაწილობრივი გადახდის შემდეგ. სერვისში შედის ტვირთის ადგილზე მიტანა.

ვიმედოვნებთ, კმაყოფილი დარჩებით ჩვენი პროდუქციით, ისევე როგორც ჩვენი სხვა მომხმარებელი და მომავალშიც ითანამშრომლებთ ჩვენთან.

პატივისცემით

პაატა ხარბედია

7. საძმიანი წერილი იძმნება საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტის მიხედვით, ამდენად, ნებისმიერი ტიპის წერილს, მიუხედავად მოცულობისა, აქვს მკაცრად გაწერილი სტრუქტურა. საძმიანი წერილი ყოველთვის უნდა შეიცავდეს შესავალს, ძირითად და დასკვნით ნაწილებს.

შესავალი ნაწილი

ადრესატის (ვისაც ვუგზავნით წერილს) მონაცემები:

წერილის დასაწყისში მოცემულია ადრესატის სახელი და გვარი, აგრეთვე მისი კომპანიის ან ორგანიზაციის სახელწოდება, მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა ან ვებგვერდის მისამართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). რამდენჯერმე გადაამოწმეთ, თუ რამდენად სწორად დაწერეთ მიმღების სახელი და გვარი. გახსოვდეთ, რომ ადრესატის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

მაგალითი:

გიორგი დანელიას
შპს „სტილი“
ჭავჭავაძის გამზ. 15, 0128
ტელ/ფაქსი + 995 22 23 09
www.stilli.ge
danelia-giorgi - yahoo.com

თარიღი

ადრესატის მონაცემების მითითების შემდეგ უნდა დაისვას თარიღი. ეს საქმიანი წერილის გაფორმების მეორე ეტაპია. გახსოვდეთ, ყოველთვის დაათარიღეთ თქვენი წერილი. სასურველია თვე დაიწეროს სიტყვიერად.

მაგალითი:

6 იანვარი, 2008წ.

მოკლე ინფორმაცია:

ნებისმიერი საქმიანი წერილის გაფორმებისას ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტია წერილის მოკლე შინაარსის წარმოდგენა, რომელშიც აისახება თქვენი წერილის მიზანი. ამ ბლოკს ერთგვარად სათაურის ფუნქცია აქვს, – ინფორმაციას აწვდის ადრესატს, ამიტომ იგი გადმოცემული უნდა იყოს მხოლოდ ერთი წინადადებით, განსხვავებული შრიფტით და უნდა მოთავსდეს მარცხენა კუთხეში.

მაგალითი:

ქსეროაპარატების შესყიდვის შესახებ

ძირითადი ნაწილი:

საქმიანი წერილის ძირითადი ნაწილი იწყება პერსონალური მიმართვით. მიმართვის ფორმა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ურთიერთობა გაქვთ ადრესატთან. ოფიციალური

მიმართვისას უნდა დაიწეროს: ბატონო გიორგი ან ქალბატონო დალი. გარკვეულ შემთხვევაში შესაძლოა გამოიყენოთ სიტყვა პატივცემულოც. მაგ.: პატივცემულო ბატონო გიორგი ან პატივცემულო ქალბატონო დალი. თუ თქვენს წერილს აქვს არაფორმალური ხასიათი, ადრესატს შეიძლება შემდეგნაირადაც მიმართოთ: ძვირფასო დავით. საქმიანი წერილის ეტიკეტის თანახმად, სასურველია ყოველთვის მიუთითოთ კონკრეტული ადრესატის სახელი.

მაგალითი:

ბატონო გიორგი,...

ამის შემდეგ უნდა ჩამოაყალიბოთ ძირითადი ტექსტი. სასურველია, სათქმელი დაიწყოთ ადრესატთან დამყარებულ კონტაქტზე ან მომავალ თანამშრომლობაზე საუბრით:

მაგალითი:

მადლობას მოგახსენებთ თქვენი წერილისათვის...

თქვენი წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ...

გუშინდელ შეხვედრასთან დაკავშირებით წერილობით მოგმართავთ...

გაწვდით ინფორმაციას მომავალი ხელშეკრულების შესახებ...

ძირითადი ტექსტის ბოლოს შესაძლოა კიდევ უფრო დააკონკრეტოთ თქვენი მოთხოვნა, რათა გამოკვეთოთ სათქმელი და ადრესატისათვის უფრო ადვილად აღსაქმელი გახადოთ იგი.

მაგალითი:

გთხოვთ გაითვალისწინოთ...

გთხოვთ მომელაპარაკოთ...

გთხოვთ მიიღოთ სათანადო ზომები...

იმისათვის, რომ საქმიან წერილს ოფიციალური დოკუმენტის ძალა ჰქონდეს, მას ბოლოში უნდა დაუსვათ გამომგზავნის ხელმოწერა. მარცხენა მხარეს თავსდება გამომგზავნის მონაცემები, კერძოდ, თანამდებობა, მარჯვენა მხარეს – ხელმოწერა.

მაგალითი:

არასამთავრობო ორგანიზაცია

„არჩევანის“ საზოგადოებასთან

ურთიერთობის კოორდინატორი /თ. გარდავაძე/

8. გამოიყენეთ ეს შაბლონი და შეადგინეთ ოფიციალური წერილები (წერილს წერს ყველა სტუდენტი):

9. ივარჯიშეთ კითხვაში:

წერილები:

გამარჯობა, ანა!

ამ წერილს გწერ პრაღიდან. უკვე მეორე დღეა პრაღაში ვართ. ჩამოვფრინდით გვიან ღამით და დავბინავდით სასტუმროში. დილით გავედით ქალაქში. პრაღა მართლაც ულამაზესი ქალაქია ევროპაში. მთელი დღე ქალაქში დავდიოდით. ულამაზესი სანახაობაა. ყველაფრის ნახვას ერთ დღეში ვერ მოასწრებ.

პრაღაში ჩვენ კიდევ ორი დღე ვრჩებით.

თქვენ როგორ ხართ? დეიდა ნატო როგორ არის? მადლობა გადაეცი დახმარებისათვის, მისი რჩევით ავიღე ეს ტურისტული საგზური და წამოვედი ევროპაში. ძალიან კმაყოფილი ვარ.

თბილისში ერთ კვირაში ჩამოვდივართ. ჩამოვალ და მოგიყვებით ჩემს შთაბეჭდილებებს. ვიცი, შენ თბილისში არ დამხვდები, ბათუმში მიდიხარ. იმედი მაქვს, დიდხანს არ დარჩები ბათუმში და მალე შევხვდებით.

გკოცნი. მომიკითხე ყველა.

სიყვარულით,

შენი თამრიკო

გამარჯობათ, დეიდა ნატო, როგორ ბრძანდებით?

ახლა მე პრაღაში ვარ და საოცარი შთაბეჭდილებით ვარ სავსე.

გმადლობთ, დეიდა ნატო, პრაღაში წამოსვლა რომ მირჩიეთ. მართალი იყავით, საოცარი ქალაქია.

ჩვენ პრაღაში ორი დღე ვჩერდებით, ნანას ეშინია, რომ ვერ მოვასწრებთ ბევრი რამის დათვალიერებას. მთელი დღე გარეთ ვართ. სასტუმროში გვიან ღამით შევდივართ.

დღეს საღამოს მოიღრუბლა და წვიმას აპირებს. იმედი მაქვს, წვიმა არ გაგვიფუჭებს განწყობას.

ზეგ ბერლინში მივფრინავთ, ალბათ იქაც ასეთივე შთაბეჭდილებები გვექნება.

გკოცნით, მომიკითხეთ ყველა. ბერლინიდან ისევ შეგეხმიანებით.

სიყვარულით,

თამრიკო

ძვირფასო კოლეგებო,

შეგახსენებთ, რომ ხვალ ჩვენი სტუმრები ჩამოდიან უნგრეთიდან. აეროპორტში მე დავხვდები და სასტუმროში მივიყვან. 12 საათზე კი ჩვენს ოფისში მოვლენ. შეხვედრა ერთ საათს გაგრძელდება. პირველ საათზე რესტორანში ვისადილებთ. სადილის შემდეგ სტუმრები უნივერსიტეტში მიდიან. სტუდენტებსა და პროფესორებს ხვდებიან. უნივერსიტეტში 2 საათს დარჩებიან და მერე ქალაქის დათვალიერებას აპირებენ. როგორც შევთანხმდით, ქალაქის დათვალიერებისას მათთან ერთად ქალბატონი ლელა იქნება. საღამოს 9 საათზე დაგეგმილია ოფიციალური ვახშამი, რომელსაც დაესწრებიან სტუმრები და ჩვენი კომპანიის ხელმძღვანელები. ვახშამზე მიწვეულია რამდენიმე ეგვიპტელი კოლეგაც.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ხვალ ოფისში მთელი დღის განმავლობაში არ ვიქნები. ყველა კითხვაზე პასუხს ჩემი თანაშემწე გაგცემთ.

პატივისცემით

ლაშა დავლიანიძე

საგანმანათლებლო ცენტრ „ცოდნის“ დირექტორი

ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის დეპარტამენტის

უფროსს, ბატონ დავით სვანიძეს.

ბატონო დავით,

მოგმართავთ თხოვნით ქალაქ თბილისის ქავთარაძის ქუჩის მაცხოვრებლები. ჩვენს ქუჩაზე მესამე და მეოთხე კორპუსს შორის არის დიდი ტერიტორია. ჩვენ გვსურს ამ ტერიტორიაზე გაშენდეს სკვერი დასასვენებელი სკამებითა და ბავშვთა სათამაშო მოედნით. გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩვენი თხოვნა და ქალაქის მომავალი წლის ბიუჯეტში შეიტანოთ სკვერის გაშენებისთვის საჭირო თანხები.

პატივისცემით,

ქავთარაძის ქუჩის მაცხოვრებლები.

ლექსიკონი

აბანო - hamam
ათრთოლებულ-ი - dağınıq
ანგელოზ-ი - Mələk
არასამთავრობო - Qeyri-hökumət
ატრიბუტ-ი - atribut
აღიარებულ-ი - tanınmış
გადაუდებელ-ი - Təxirəsalınmaz
გადაწყვეტა - Qərara almaq, həll etmək
განთქმულ-ი - Tanınmış, adı dillər əzbəri olan
გაშენება - əkmə, yayma
დამამცირებელ-ი - alçaldıcı
დამწერ-ი - yazan
დეპეშა - Teleqram
ენატრება - darıxır
ვებგვერდ-ი - Internet səhifəsi
ვიმედოვნებთ - Ümid edirik
თანხა - Məbləğ
კეთილგანწყობა - Xoşməramlı
კიაფობს - Gəzir, dolaşır
მასალა - material
მეციხოვნე - Qala müdafiəçisi
მზეთუნახავ-ი - Qənirsiz gözəl
მივლინება - Ezamiyyət
მიმართვა - Müraciət
მოთავსება - Yerləşdirmə
მოკითხვა - Soruşmaq, salam söyləmək
მოფარფატე - Çırpınan
მოცულობა - Həcm
მრავალსართულიან-ი - Çoxmərtəbəli
ორგანიზაცია - Təşkilat
ოფიციალურ-ი - Rəsmi
პერსონალურ-ი - Xüsusi, özəl
პირად-ი - Şəxsi
პიროვნება - Şəxsiyyət
პროდუქცია - Məhsul
სავალდებულო - Məcburi, icbari
სათქმელ-ი - Söyləniləsi söz
სამართალმცოდნეობა - hüquqşünaslıq
სამშენებლო - tikinti
სანახაობა - Mənzərə, görüntü
სიტყვიერ-ი - sözlü
სიღატაკე - Yoxsulluq
სტანდარტ-ი - standart
უაზრო - zirehsiz
უბან-ი - Məhəllə
უსახლკარობა - Evsiz-eşiksizlik
შაბლონ-ი - şablon
შეკვეთა - sifariş
შესავალ-ი - Giriş
შთაბეჭდილება - Təəssürat

გაკვეთილი 25

საქართველო - ჩემი სამშობლოა

1. **წაიკითხეთ ტექსტი:**

საქართველო ამიერკავკასიის ცენტრში და ევროპა-აზიის საზღვარზე მდებარეობს. იგი მთაგორიანი ქვეყანაა. ჩრდილოეთით კავკასიონის ქედია, დასავლეთით კი – შავი ზღვა. საქართველოში ბევრია საკურორტო ადგილი.

საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა. ამ ტერიტორიაზე ჩვენს წელთაღრიცხვამდე ორი დიდი სამეფო იყო – კოლხეთი და იბერია. კოლხეთის სამეფოს უკავშირდება მითი არგონავტებისა და ოქროს საწმისის შესახებ.

საქართველოს დედაქალაქია თბილისი. ქალაქებია: ბათუმი, სოხუმი, ქუთაისი, ფოთი, გორი, თელავი, სიღნაღი, ზესტაფონი, ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა, მესტია, ჭიათურა, საჩხერე, სამტრედია, ზუგდიდი, სენაკი, ოზურგეთი, მარტვილი, ცაგერი, ბოლნისი, დმანისი.

ფოთი საპორტო ქალაქია, სამტრედია – უდიდესი სარკინიგზო ცენტრია. რუსთავში სახელგანთქმული მეტალურგიული ქარხანაა.

საქართველო რესპუბლიკაა. მას ჰყავს პრეზიდენტი და პარლამენტი, აქვს საკუთარი ფული – ლარი.

საქართველოს სახელმწიფო ენა ქართულია.

ეროვნული დამოუკიდებლობის დღეა 26 მაისი.

2. **ამოიწერეთ ძირითადი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციები; შეავსეთ ცხრილი:**

ძირითადი ინფორმაცია	არაძირითადი (მეორეხარისხოვანი) ინფორმაცია

3. მეორეხარისხოვან (არაპირითად ინფორმაციაში გამოყავით უფრო მნიშვნელოვანი და არსებითი; ჩამოწერეთ რიგითობით (უფრო მნიშვნელოვანი – წინ; ნაკლებად მნიშვნელოვანი – შემდეგ); პასუხი დაასაბუთეთ.

I. _____

_____

II. _____

_____

III. _____

_____

IV. _____

_____

V. _____

_____

VI. _____

_____

VII. _____

_____

VIII. _____

_____

IX. _____

_____

4. წაიკითხეთ ტექსტი:

საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა. აქ ცხოვრობენ ქართველები, სომხები, ებრაელები, აზერბაიჯანელები, ბერძნები, რუსები, ქურთები.

საქართველო სხვადასხვა *კუთხეებისგან* შედგება. ეს კუთხეებია:

ქართლი	სვანეთი
კახეთი	ლეჩხუმი
მესხეთი	რაჭა
ჯავახეთი	მთიულეთი
იმერეთი	ხევი
გურია	ხევსურეთი
სამეგრელო	ფშავი
აჭარა	თუშეთი
აფხაზეთი	

5. ამ კუთხეების წარმომადგენლებს შემდეგნაირად ეწოდებათ:

ქართლი – ქართლელი
კახეთი – კახელი
მესხეთი – მესხი
ჯავახეთი – ჯავახი
იმერეთი – იმერელი
გურია – გურული
სამეგრელო – მეგრელი
აჭარა – აჭარელი
სვანეთი – სვანი
ლეჩხუმი – ლეჩხუმელი
რაჭა – რაჭველი
მთიულეთი – მთიული
ხევი – მოხევე
ხევსურეთი - ხევსური
ფშავი – ფშაველი
თუშეთი – თუში
აფხაზეთი – აფხაზი
საინგილო – ინგილო
ფერეიდანი – ფერეიდნელი
ლაზეთი – ლაზი
იმერხევი – იმერხეველი

6. ამოიწერეთ მოცემული ინფორმაცია და დაიმახსოვრეთ.

7. შეავსეთ ცხრილი:

ქართლი	
	კახელი
მესხეთი	
	ჯავახი
	იმერელი
გურია	
	მეგრელი
აჭარა	
	სვანი
ლეჩხუმი	
რაჭა	
	მთიული
ხევი	მოხევე
ხევსური	
ფშავი	
თუშეთი	
აფხაზეთი	აფხაზი
	ინგილო
ფერეიდანი	
	ლაზი
იმერხევი	

8. **წაიკითხეთ დიალოგი:**

– გამარჯობა, გიორგი, როგორ ხარ?

– კარგად, გმადლობ.

– ეს დღეები სად იყავი?

– მოსკოვში სტუდენტთა *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია* იყო. სტუდენტები იყვნენ აზერბაიჯანიდან, თურქეთიდან, სომხეთიდან, საქართველოდან და სხვა რესპუბლიკებიდან.

– *საინტერესო* იყო?

– ძალიან საინტერესო იყო *მოხსენებებიც* და *შეხვედრებიც*.

– *ასეთი* კონფერენცია კიდევ იქნება?

– კი, გაისად ამიერკავკასიის რომელიმე რესპუბლიკის ქალაქში იქნება.

– ძალიან კარგი.

9. **ამოიწერეთ უცნობი სიტყვები და შეეცადეთ, გაიგოთ მათი მნიშვნელობა კონტექსტის მიხედვით.**

10. **გადმოეცით ტექსტი მესამე პირში (ჯგუფური მუშაობა).**

11. **წაიკითხეთ ტექსტი:**

ახალციხის მხარე

თრიალეთის მთის სამხრეთით ახალციხის მხარე და ჯავახეთი მდებარეობს.

ახალციხის მხარეს მეტად მაღალი მდებარეობა აქვს. ამის გამო აქ ძალიან გრილი ჰაეაა. ზამთარი ცივი იცის და ხშირად სამ-ოთხ თვეს დედამიწა თოვლით არის დაფარული. ნოემბერში, როცა შემოდგომის მშვენიერი თბილი დღეებია ქართლსა და კახეთში, ახალციხის მხარეში თოვლი დევს და ცივი ზამთარია. სიგრილისა და სიცივის გამო ამ მხარეში ქართლისა და კახეთის ბევრი ხილი სრულიად არ ხარობს. აქ ვერ ნახავ წაბლს, ლეღვსა და ბროწეულს; ყურძენი ვერ იტანს იქაურ ცივ ზამთარს და ვენახები აქ თითქმის სრულიად არ არის და ღვინოსაც, რასაკვირველია, აქაური მაცხოვრებლები მოკლებულნი არიან. ვაშლი და მსხალი კი ჩინებული მოდის.

აქაური ბაღები ვაზების მაგივრად სხვადასხვა ჩინებული ხეხილით არის სავსე; კაკალი მეტად დიდი იზრდება ბევრსაც ისხამს. შინაური საქონლიდან აქ უფრო ხშირია ცხვრისა და ღორის ყოლა. ჭირნახულიდან თესავენ სიმინდს, შვრიას, ქერს და პურს.

ახალციხის მხარეში უდიდესი ქალაქია ახალციხე. ძველად ამ ქალაქს ლომისი ერქვა. ახლანდელი სახელი დაერქვა მეჩვიდმეტე საუკუნეში. როცა ოსმალებმა აიღეს ახალციხე, ძველი ციხე დააქციეს, ახალი ააშენეს და იწყეს აქ ბატონობა. ახალციხე გაშენებულია პატარა მდინარე ფოცხოვის ნაპირზე, რომელიც დასავლეთით ერთვის მტკვარს. ფოცხოვი ქალაქს ორ ნაწილად ჰყოფს: სამხრეთის მხარეს ახალი ქალაქია გაშენებული, ჩრდილოეთის მხარეს – ძველი ქალაქი. ახალ ქალაქში უფრო სომხები ცხოვრობენ და აქ უფრო კარგი სახლებია, განიერი, სწორი და სუფთა ქუჩები, ვიდრე ძველ ქალაქში. ძველი ქალაქის მაცხოვრებლები ქართველები და ურიები არიან. ქართველებში ბევრი ფრანგია, ზოგი კი მართლმადიდებელი. ძველ ქალაქშივე არის სახელგანთქმული ციხე, მაღლა კლდეზე აშენებული, ზედ ფოცხოვის ნაპირზე.

ახალციხის მხარეში შემდეგი შესანიშნავი სოფლებია: აბასთუმანი, სადაც სამკურნალო წყლებია; რუსთავი, სადაც დაიბადა მთელი საქართველოს უწარჩინებულესი პოეტი შოთა რუსთაველი; ურაველი, შესანიშნავი რკინის წყლით, აწყური, თავის შესანიშნავი ძველი ციხით; ასპინძა, სადაც ერეკლე მეფემ ოსმალოს ჯარი საშინლად დაამარცხა, და სხვანი.

აქვე არის ორი დიდებული ნაშთი წარსულისა: ვარძია და საფარა. საზოგადოდ, ძველად ახალციხის მხარე მდიდარი იყო მონასტრებით. პირველ მონასტრად ითვლებოდა ვარძია, რომელიც მდებარეობს ახალციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ვარძიის აგება დაიწყო თამარის მამამ, გიორგი მეფემ, ხოლო დაამთავრა იგი თვით თამარ მეფემ. მანვე გამართა აქ ორი სამეფო სასახლე – ერთი საზაფხულო და ერთიც საზამთრო, რომლებიც კლდეში იყო გამოკვეთილი. აქ ხშირად უყვარდა დასვენება საქართველოს სამაგალითო დედოფალს. ეს დიდებული და მდიდარი მონასტერი მტრის ხარბ თვალს ძლიერ იზიდავდა, რის გამოც ვარძია რამდენჯერმე გაძარცვეს ურჯულოებმა. უკანასკნელად ვარძია სრულიად ააოხრა და ბერებიც ამოჟლიტა სპარსეთის ერთმა შაჰმა. ამის მერე ვარძია ვეღარ წამოდგა ფეხზე და ვეღარც მოღონიერდა. ბოლოს სრულიად დაცარიელდა, გაუქმდა ახალციხის მხარე, საქართველოს მოსწყდა და ოსმალოს ჩაუვარდა ხელში.

12. ამოიწერეთ სიტყვები, რომლებიც თქვენთვის უცნობია და მასწავლებლის დახმარებით, შეეცადეთ, ამოიცნოთ მათი მნიშვნელობა კონტექსტის საშუალებით.

13. გადმოეცით ტექსტის მოკლე შინაარსი.

14. წაიკითხეთ ტექსტი:

ახალციხის აღმოსავლეთით მდებარეობს ჯავახეთი. ჯავახეთს უჭირავს ახალციხის მხარეზე კიდევ უფრო მაღლობი და ტიტველი მინდვრები, ამიტომ აქ კიდევ უფრო გრილი ზაფხული და ცივი ზამთარი იცის. თუმცა აქ ნიადაგი მეტად ნოყიერია, ტყე საერთოდ არ არის. ამიტომ მდინარეებიც ცოტაა. ამ მდინარეებში ძალიან გემრიელი კალმახი იცის.

ჯავახების უმთავრესი საქმე ხვნა-თესვაა. სახნავი ადგილები ბევრია და მოსავალიც ჩინებული იცის, განსაკუთრებით პური და ქერი. ჯავახი ყიდის პურს და ქერს და აღებული ფულით ყიდულობს, რაც სჭირდება. მართალია, ჯავახეთი ურწყავი ქვეყანაა, მაგრამ წვიმა ხშირად იცის. ხვნა-თესვის გარდა, ჯავახეთში შინაური ცხოველების მოშენებასაც მისდევენ. ბევრია ცხვარი. იალაღები ჩინებული აქვთ.

უტყეობა ძალიან აწუხებს ჯავახეთს. შეშის მაგივრად გასათბობად ხმარობენ წივას. ზამთარი ძალიან მკაცრია და ამის გამო დიდ ტანჯვას განიცდიან.

სიცივის გამო ჯავახეთში ყურძენი არ ხარობს, ამიტომ ვენახები აქ არ აქვთ. სახლებს ქვითა და ტალახით აშენებენ.

ჯავახეთში ბევრი ტბაა. მათ შორის ულამაზესია ფარავნის და ბარალეთის ტბები.

აღსანიშნავია, რომ ჯავახეთში ცხოვრობენ ბოშები, რომლებიც მხოლოდ ქართულ ენაზე ლაპარაკობენ. ეტყობა, უძველეს დროში მოსულან აქ.

ჯავახეთში ერთი პატარა ქალაქია – ახალქალაქი, რომელიც მაღლობ ადგილზე არის აშენებული ორ დიდ ხევს შუა. წინა საუკუნეებში ახალქალაქი წმინდა ქართული ქალაქი იყო. ახლა კი მცხოვრებლები აქ თითქმის სულ სომხები არიან, რიცხვით 1500 კომლი. ჯავახეთში შესანიშნავი სოფლებია: ხიზაბავრა, ბარალეთი, ტოლოში და სხვა.

15. ამოიწერეთ სიტყვები, რომლებიც თქვენთვის უცნობია და მასწავლებლის დახმარებით, შეეცადეთ, ამოიცნოთ მათი მნიშვნელობა კონტექსტის საშუალებით.

16. დაასათაურეთ ტექსტი.

17. გადმოეცით ტექსტის მოკლე შინაარსი.

18. წაიკითხეთ ტექსტი:

მარნეული

მარნეული (1947 წლამდე ბორჩალო), ქალაქი აღმოსავლეთ საქართველოში, მარნეულის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი. მდებარეობს მარნეულის ვაკეზე, მდინარე ალგეთის ნაპირებზე. ქალაქად გამოცხადდა 1964 წელს. მოსახლეობა 19,9 ათასი] (2002 წ.). ქალაქში არის სამრეწველო საწარმოები, ჯანდაცვის, განათლებისა და კულტურის დაწესებულებები. მარნეულში არის რუსთავის ეპარქიის რეზიდენცია.

მარნეულში ზომიერად თბილი სტეპის ჰავაა. იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული. საშუალო წლიური ტემპერატურა 12°C, იანვარში 0°C, ივლისში 23,9°C. აბსოლუტური მინიმალური — 25°C, აბსოლუტური მაქსიმალური 40°C. ნალექები 500 მმ წელიწადში.

დიდ დასახლებად იქცა სოფლების: ლომთაგორა-მარნეულის, ეკლესიის, ჭანდარ-სანდარისა და სარვანის გაერთიანების შედეგად. უძველესი დასახლებაა ლომთაგორა (წყაროებში პირველად იხსენიება XIII საუკუნეში), რითაც ბოლოვდებოდა მეგალითური (ციკლოპური) ციხეების მწკრივი მდინარე ალგეთის მარჯვენა მხარეს. იყო მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე და საგზაო კვანძი. XII საუკუნეში ირანის შაჰმა აბას I-მა აქედან აყრილი მკვიდრი ქართული მოსახლეობის ნაცვლად ამ ადგილას ბორჩალუს თურქმანული ტომი დაასახლა, შემდგომში, დასახლებასაც ბორჩალო ეწოდა. 1947 წელს აღადგინეს ძველი ქართული სახელწოდება მარნეული. მარნეულის ტერიტორიაზე შემორჩენილია მეგალითური ხანის ციხის ნაშთები და ადრინდელი ფეოდალური ხანის ეკლესია.

19. მოსმენისას მონიშნეთ და ამოიწერეთ სიტყვები, რომლებიც თქვენთვის უცნობია და მასწავლებლის დახმარებით, შეეცადეთ, ამოიცნოთ მათი მნიშვნელობა კონტექსტის საშუალებით.

20. გადმოეცით ტექსტის მოკლე შინაარსი.

21. არეული თანამიმდევრობით მოცემულია რამდენიმე ნაწილად დაყოფილი ტექსტი. შეეცადეთ, დაალაგოთ სწორად. გამოიყენეთ ნიმუშად წინა ტექსტები:

ბოლნისი

მოსახლეობა 13,8 ათასი (2002 წ.). ბოლნისი მდებარეობს მდინარე მაშავერის შუა დინებაში, ზღვის დონიდან 550 მ სიმაღლეზე, თბილისიდან 64 კმ. რკინიგზის სადგური მარნეულ-კაზრეთის ხაზზე. ძირითადად გაშენებულია ვაკეზე, ჩრდილოეთი ნაწილი კი — გორაკ-ბორცვიან მთისწინეთზე.

საყურადღებოა აგრეთვე გვიანდელი ფეოდალური ხანის სატრედოს თაღოვანი ხიდი მდინარე მაშავერაზე; იგი ახლაც მკვიდრად დგას. ბოლნისში არის ბოლნისის ეპარქიის კათედრა და რეზიდენცია.

ბოლნისი ქალაქია საქართველოში, ქვემო ქართლის მხარეში, ბოლნისის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი.

XIX საუკუნის 50-იან წლებში სოფელ რატევნის მახლობლად გერმანელები ჩამოასახლეს. ამ დასახლებას ჯერ ეკატერინეფელდი ერქვა, 1921-1943 წლებში — ლუქსემბურგი. ამჟამად ბოლნისს უკავია ისტორიული სოფლების სატრედოს, ყორანთის და ველკეთილის ტერიტორიები.

საშუალო წლიური ტემპერატურა 12,0 °C; იანვარში — 0,3 °C, აგვისტოში — 23,3 °C, აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა — 24 °C, აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა 39 °C. ნალექები 572 მმ წელიწადში, მაქსიმუმი — მაისში (86 მმ), მინიმუმი — დეკემბერში (21 მმ).

ბოლნისი ქალაქს დაერქვა ამ მიდამოებში ძველთაგანვე არსებული მნიშვნელოვანი პუნქტების სახელწოდების მიხედვით. ქალაქში არის სამრეწველო საწარმოები, ჯანდაცვის, განათლებისა და კულტურის დაწესებულებები. ისტორიული ძეგლებიდან აღსანიშნავია ყორანთის ეკლესია (XIII-XIV სს.). გორა, რომელზედაც ეს ეკლესიაა აგებული, ენეოლითური ხანის ნასახლარის ნაშთებსაც შეიცავს.

22. ამოიწერეთ სიტყვები, რომლებიც თქვენთვის უცნობია და მასწავლებლის დახმარებით, შეეცადეთ, ამოიცნოთ მათი მნიშვნელობა კონტექსტის საშუალებით.

23. გადმოეცით ტექსტის მოკლე შინაარსი.

24. წაიკითხეთ ნოველა:

გული

მოკვდა.

დის ნაზ ხელს არ გაუსწორებია სასთუმალი; იდუმალი მწუხარებით არ შემოუხედავს ავადმყოფის ოთახში სატრფოს თვალებს; ნაცნობებს არ მოუკითხავთ; უკანასკნელ წამს შენდობა არ მიუღია იმ მშვიდი, წყნარი ადამიანისაგან, რომლის ძალა აღარ სწამდა, მაგრამ დამამშვიდებელი სიტყვების მისგან გაგონება მაინც უნდოდა; დედას არ დაუყრია ცხარე ცრემლები.

მოკვდა უცხოეთში.

– ათასი სნეულებით იყო ავად; არავითარმა წამალმა არ იმოქმედა, – იმართლებდა თავს ამხანაგთა წინაშე ექიმი.

ცხედარი გაჭრეს.

პროფესორმა ხელები ჩამოუშვა და გაკვირვებულმა წამოიძახა:

– შეხედეთ, ბატონებო, ეს რა ამბავია?!

ერთმანეთს შესცქეროდნენ.

– ბატონებო, გული? გული სადღაა?

გულის მაგიერ ფერფლიღა დარჩენილიყო.

დეპეშით გაგებული უბედურებისაგან თავზარდაცემული დედა შევიდა საყვარელი შვილის ობლად დატოვებულ ოთახში. ქვითინებდა: – ასე გამიმეტე ქვრივი ოხერი? სადაა შენი კარგი გული, ამდენი ვაით და უით რომ ჩაგიდგი საგულეში?

კედლიდან პატარა რუკამ გასცა პასუხი:

– მე დავაჭკნე!

– მე დავწვი! – გახმაურდა სურათი მაგიდაზე.

სიტყვები არავის გაუგონია.

ნიკო ლორთქიფანიძე

25. **როგორ ფიქრობთ, რატომ ვკითხულობთ ამ ტექსტს? რის სწავლა და გაგება მინდა ამ ტექსტით?**

26. **გაეცით პასუხები შემდეგ კითხვებს: რა? ვინ? სად? როდის? როგორ? რატომ? (მოკიებული ინფორმაცია ჩაინიშნეთ ფინასწარ სქემის პირველ გრაფაში).**

27. **ხელახლა გადაიკითხეთ ტექსტი და სქემის მეორე ნაწილში ჩაწერეთ საკუთარი ემოციები, შთაბეჭდილებები – თქვენი დამოკიდებულება ტექსტიდან ამა თუ იმ ფაქტისადმი.**

ლექსიკონი

აღმოსავლეთი - Şərq
ახარებს - Sevindirir
გიზგიზებს - Alışır
დათოვლილი - Qarlı
დასავლეთი - Qərb
დედაქალაქი - Paytaxt
ესაზღვრება - Həmsərhəddir
თავისებური - Xas, xüsusi
იდეა - Ideya
კოშკი - Qüllə
კრუიზი - Kruiz
მოკაშკაშე - Parıldayan
რეგიონი - Region,ərazi
სამხრეთ-აღმოსავლეთი - Cənub-şərqi
სამხრეთი - Cənub
სძულს - Nifrət
უმრავლესობა - əksəriyyət
შრიალებს - Xışıldayır
ჩრდილოეთი - Şimal
ცურავს - Üzür
ცურვა - Üzgüçülük
ჯეჯილი - Cücərti

ფრაზები - İFADƏLƏR

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეგიონი - İnzibati-ərazi bölgəsi
ანტიკური ხანა - Antik Dɵvr
ზამთრის კურორტი - Qış kurortu
ზაფხულის კურორტი - Yay kurortu
ზღვის ავადმყოფობა - Dəniz xəstəliyi
ზღვის კურორტი - Dəniz kurortu
მთის კურორტი - Dağ kurortu
სათხილამურო ტრასა - Xizəksürmə yolu
საკურორტო სეზონი - Kurort mɵvsʋmʋ
სახელმწიფო ენა - Dövlət dili
ტურისტული ცენტრი - Turist mərkəzi